ყოველდღიური საინფორმაციო

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

6 — 7 თებერვალი, 2010

№30 (5106)

ფასი: 30 თეთრი

რომში იტალიელ გულშემატკივრებს ძლივს გამოვასწარი

გვ.5

ყოფილ მსაჯეულტატმა მარტინორესსმენეგასცის

გვ.16

TV პროგრამა

გვ.10

„შევარდნაძეს გამსახურდიას მკვლელობას ვერ დაუმტკიცებენ“

გვ.3

პრეზიდენტის მკვლელობისბრალდებულია

გიორგი გოგიჩაიშვილი სიმამაცეზისთვის ჯერ მზად არ არის

გვ.8

ბიქიბრომ მეტალოდა7 რაგბისტმა ბენეფისი

გვ.7

მოდი ეკლესიაში, რათა ნახვიდე ციური ძღვენით აღსავსე

გვ.14

როგორ დაემსგავსა ქართული ჩოხა ჩერქეზულს

გვ.4

დავით დარჩიაშვილმა დევების გორა გათხარა

- უნიკალურია
- ეროვნულ ბუნებრივ ნაკეთობად

ბერის ჭრილობა

გვ.2

გიორგი ციმაკურიძე: „ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა“

გვ.9

ახრიკ ცვეიბა: „ცხოვრების ნახევარი ფეხბურთს შევწირე“

გვ.9

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲕᲐ

იანვრის მეორე ნახევარი და თებერვლის პირველი დღეები სულ ქართველ დამკვირვებლებზე იყო საუბარი. ჩვენს ჯელეებზე განუწყვეტლივ საუბრობდნენ როგორც ქართველი, ასევე უკრაინელი პოლი-



ტიკოსები. მეგობარ ქვეყანაში სააკაშვილმა რამდენიმე ათასი დამკვირვებელი მიავლინა.

მოხდა ისე, რომ დამკვირვებლად სულ ჯანიანი ბიჭები წავიდნენ. წესით და რიგით, ოპოზიციის უნდა გახარებოდა, ასეთი ჯელელი რომ გვყავს, მაგრამ ბოროტები არიან და ერთი ამბავი ატეხეს, ეგენი „ზონდერები“ არიანო. „ზონდერების“ შესახებ უკრაინაშიც აფრინეს ცნობები.

იმათ კიდევ ბევრი ივიშვიშეს. ინუკოვიჩის ხალმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესებაც კი მოითხოვა. მოკლედ, დიდი ნოიკი იყო. საკაშვილს ამ წოიკის დიდად არ შეეშინდა. მეორე ტურშიც აპირებდა ჩაფსკენილი ჯელელების გაგზავნას, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა გვამცნო, რომ საკაშვილმა უკრაინაში მყოფი დამკვირვებლები სულ უკან გამოიხმო. უკრაინაში დასაკვირვებლად მხოლოდ ზონდერები არ წასულან. იქ არჩევნებს ნამდვილი დამკვირვებლებიც აკვირდებოდნენ. ახლა იმათაც სახლში უხმეს.

ოპოზიციას, წესით, ეს ამბავი უნდა გახარებოდა. ოპოზიცია რისი ოპოზიცია იქნებოდა, ეს სიხარული რომ ღიად გამოუხატა. პირიქით, ისინი უკმაყოფილნი დარჩნენ და საკაშვილს შარი მოსდეს, დამკვირვებლები უკან რა უფლებით გამოიწვიეო.

ჩვენი ოპოზიციისნაირი აღმოჩნდა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ვიქტორ იანუკოვიჩი. მისმა პარტიამ ქართველ ჯელელებს ლამის უკრაინის ოკუპაცია დაუბრალა. საკმარისი იყო, საკაშვილს ხალხი უკან გამოეხმო, იანუკოვიჩმა პოზიცია შეიცვალა. „რეგიონების პარტიის“ თავკაცი გაიძახის, გინდა თუ არა, ქართველები დაგვაკვირდნენო.

— სამწუხაროა, რომ ქართველი დამკვირვებლები უკრაინის საარჩევნო ბიჭებზე არჩევნების მეორე ტურს არ დაესწრებიან. იმედია, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ საკაშვილი, გადაიფიქრებს და უკრაინაში დამკვირვებლებს წარგზავნის.მიხეილ საკაშვილმა განაცხადა, რომ ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში არ ჩავლენ. ძალიან სამწუხაროა, რადგან ესენი რეალური დამკვირვებლები რომ ყოფილიყვნენ და არა უმუშევარი მოქალაქეები და „ბრძოლისუნარიანები“, კარგი იქნებოდა, — ასეთი განცხადება გააკეთა იანუკოვიჩის წარმომადგენელმა, ანა გერმანმა.

ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲘ ᲨᲐᲠᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ

ყოფილი პრემიერი, ზურაბ ნოღაიდელი, ძალიან „ფერზსკი“ გახდა. მოსკოვში თვეში რამდენჯერმე ხომ დადის და დადის, კუდისა და გამეკობის თანამშრომლეს ხელების დამტვრევით ემუქრება, ესეც არ იკმარა და ახლა ოპოზიციონერებს დაუწყო ხალხის წართმევა.

საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის ეს ახალი ამბავი არ უნდა იყოს, რადგანაც მან ადრეც გადაიბირა სხვა პარტიებიდან ხალხი. ხმაურიანი, უბრალოდ, ეს ამბავი გამოდგა. ამჯერად ექსპრემიერმა მემარჯვენეებს ნაჰგვარა ადამიანი. მემარჯვენეები ხმაურიანი ხალხია და ამბავს საშინელი რეაქცია მოაყოლეს. ნოღაიდელი ის მოსყიდვაში დაადანაშაულეს. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი ამბები დატრიალდა. პასუხის გაცემისთვის ექსპრემიერიც მოემზადა, მერე რატომღაც გადაიფიქრა და თქვა, პასუხს მაგათ მერე გავცემო.

ბოლო დროს მან მაგარი მწარე კომენტარები დაამხეცა. ამდენად, არც მემარჯვენეების გამწარება გაუჭირდებოდა, თუმცა დრო ვერ გამონახა. ალბათ, გაიგებდით, რომ მასში მიძინებულმა პოლიგლოტმა გაიღვიძა, კვირის დასაწყისში აფხაზური ენის შესწავლის სურვილი გაუჩნდა, კვირის ბოლოს კი ოსურ ენასაც დაადგა თვალი. მემარჯვენეებსაც ამიტომ ვერ გასცა პასუხი. ეტყობა, იმის გარკვევაში იყო, რას ნიშნავდა ხუსარ ირისტონი ანდა აპსნი ახინტკარა.

თუმცა, არც მთლად ამის გამო დაუგვიანია პასუხი ნაარეკლერამ მემარჯვენეებს. მას გაცილებით სერიოზული საქმე ჰქონდა, ვიდრე პასუხის პასუხის დაწერა. მას ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერც საკაშვილმა გადააფიქრებინა.

იმ დღეს ჩვენი პრეზიდენტი სკოლაში იყო და ბავშვებს ყველაფერზე ესაუბრა, გვერდი ვერც პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს აუარა. იმ ქართველებს, რომლებიც მოსკოვში დადიან, ქვეყნის პირველმა პირმა სულ „ჩმორები“ ეძახა.

ოპოზიცია ამ იარლიყმა ვერ შეაკრთო. პირიქით, მოსკოვში წასვლის სურვილი სხვებმაც გამოთქვეს. მოსკოვში წასვლაზე უარი არც ნოღაიდელს უთქვამს. ის რუსეთის დედაქალაქს 8 თებერვალს ეწვევა.

როგორც პარტიაში აცხადებენ, მოსკოვში მას რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ექნება. 9 თებერვალს ხელი მოეწერება შეთანხმებას მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და რუსეთის მმართველ პოლიტიკურ პარტია „ედინაია როსიას“ შორის თანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულებას „ედინაია როსიას“ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მოაწერენ ხელს.

ნაციონალებმა ნოღაიდელი ისედაც სერიოზულად გაიკრიტიკეს, 9 თებერვლის შემდეგ კი მასზე უფრო სერიოზული განცხადებები გაკეთდება. არაა გამორიცხული, რაიმე კომპრომატებიც აუფრიალონ. თავად კი ამბობს, ჩემი დაჭერა ასეთი იოლი არ არისო, მაგრამ, ვინ იცის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ

პარასკევს საქართველოს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკული დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტეინბერგი და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფილიპ გორდონი შედიოდნენ.

ამერიკელი სტუმრები შეხვდნენ როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებს. ოპოზიცია ამ შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ხაზი გაუსვეს, რომ ამერიკის, როგორც მეგობარი ქვეყნის ინიჯის შექმნაზე უფრო მნიშვნელოვანი დემოკრატიული ნაბიჯების გადადგმაა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებისგან ელიან. მიუხედავად ამერიკელების მოლოდინისა, საბნუხაროდ, დემოკრატიის თვალსაზრისით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში პროგრესი არ ყოფილა. შეხვედრაზე მე სწორედ ამასაც გავუსვი ხაზი, რომ ქართველი ხალხი ელოდება იმ კულუარული მუშაობისა და ზეწოლის შედეგებს, რომლებსაც ნამდვილად აქვს ადგილი იმისთვის, რომ ადამიანებმა რეალურად იგრძნონ დემოკრატიული გარემოსა და ქვეყნის სტაბილურობის გაუმჯობესების რაიმე ნიშნები, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

შეხვედრით კმაყოფილი იყო მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძეც. ის უფრო იმით იყო აღფრთოვანებული, რომ ამერიკელები ჯერ ოპოზიციას შეხვდნენ და მერე — ხელისუფლებას.

— თბილისში ვიზიტით მყოფი ამერიკელი პოლიტიკოსების შეხვედრა ჯერ ოპოზიციასთან და შემდეგ ხელისუფლებასთან არის ხაზგასმა იმისა, რომ მათთვის პრიორიტეტი არის საქართველო, საქართველოს მოქალაქეები და არა იმ ქვეყნის რომელიმე ლიდერი ან პრეზიდენტი, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ოპოზიციონერებმა აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან სერიოზული დაპირებები მიიღეს.

— ისინი დაგვირდნენ, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ძალიან სერიოზულად და პრინციპულად დაადგენს სწორედ დემოკრატიის განვითარებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის პრიორიტეტს საქართველოსთან ურთიერთობაში. საქართველო რჩება პრიორიტეტულ ქვეყნად რჩება, — განაცხადა გამყრელიძემ.

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ამერიკელი სტუმრების ვიზიტის შემდეგ ხელისუფლება უფრო ნორმალურად მოიქცევა. ისე, ოპოზიცია სხვა ამერიკელ სტუმრებსაც ბევრჯერ შეხვედრია. თითქმის ყველა შეხვედრიდან იმედიანად გამოდიოდნენ, თუმცა, საბოლოო ჯამში, იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ ხოლმე.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲣᲜᲔᲑᲐᲡ

ამ დღეებში პარლამენტში დიდი პანიკა იყო. ჩვენი კანონმდებლები გამართული რუსულით მოლაპარაკე ქალმა დააწიოკა, თანაც, ისე საშინლად, რომ ამ საქმის შესწავლას უშიშროება აპირებს.

წივილ-კივილი ჯონდი ბაღათურიას კაბინეტიდან დაიწყო. როგორც გაირკვა, ქართველ დეპუტატს რუსეთის პრეზიდენტის აპარატიდან დაურეკავს. ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყოთ ოპოზიციასა და ნაციონალებს.

სიცილი მაშინ შეწყვეტეს, როცა საეჭვო ზარები მათ ტელეფონებშიც გაისმა. ჯონდი ბაღათურიასავით ყველას არ გაუმართლა. კანონმდებლებისთვის რუსეთის პრეზიდენტის აპარატიდან არავის დაურეკავს. მათთან გამართული რუსულით მოლაპარაკე ქალი რეკავდა.

რუსულად კარგად მოჭიკჭიკე ქალი ჩვენებურებს ბარსელონაში გამგზავრებას, ფეშენებელურ სასტუმროსა და კაი საფეხბურთო მატჩის ყურებას სთავაზობდა. მოკლედ, მაცდური წინადადება იყო.

სხვა დროს შეიძლება შემცდარიყვნენ კიდევაც ჩვენი კანონმდებლები, მაგრამ ამჯერად თავს ამის უფლება არ მისცეს, მიზეი კი იმ ქალის რუსული ენის კარგად ცოდნა გახდა.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დეპუტატები პატრიოტები არიან და რუსულად კარგად მოსაუბრე ქალის წინადადებას როგორ მიიღებდნენ. ახლა ამ ქალის ვინაობის დადგენას ჩვენი უშიშროება ცდილობს და, არ არის გამორიცხული, ის მანდილოსანი თბილისში ვინოს შოუს საყურებლად მოიწვიონ.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

უკვე კარგა ხანია, ხელისუფლება შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკების დაკავებას შეეშვა. სოსო თოფურიძე დასაჭერი ხალხის სიას ახლა უკვე მოქმედ ჩინოვნიკებთან კითხულობს ხოლმე. მართალია, მაღალი დონის ჩინოვნიკი ჯერ არ დაუჭერიათ, მაგრამ ხალხს ისევ იჭერენ.

დასაჭერთა სიაში ვარდოსნებმა თავიდანვე შეიყვანეს თემურ ბასილია. შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში საქართველოდან იყო გაქცეული. მას ამდენი წლის განმავლობაში ეძებდნენ და, როგორც ამბობენ, კაი გვარიანი „მაყუთის ახევასაც“ უპირებდნენ.

ამ წლების განმავლობაში ბასილია ვერაფრით იპოვეს და, როგორც ჩანს, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს. ხელისუფლების განმარტებით, ბასილია ამერიკაში ინტერპოლმა დააკავა. მისი ექსტრადიცია საქართველოში უახლოეს მომავალში მოხდება.

ᲒᲘᲕᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ?

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ისევ ყურადღების ცენტრშია. გივი თარგამაძეზე მითქმა-მოთქმას ოპოზიციას ვინ მოაშლევინებს.

რამდენიმე თვის განმავლობაში ის საქართველოში არ გამოჩენილა. ოპოზიცია ამის გამო ძალიან შფოთავდა. ერთ მშვენიერ დღეს დაასკვნეს, რომ მას კიევში „პაბეგი ჰქონდა აწეული“. მერე თარგამაძე მიავიწყდათ, უკრაინის არჩევნებმა კი მისი სახელი ისევ წინ წამოსწია.

ახლა ოპოზიცია იმის მოლოდინშია, როდის გამოაძევებენ თარგამაძეს უკრაინიდან. სოზარ სუბარის თქმით, უკრაინელებმა თარგამაძე საქართველოში უკვე გამოაძევეს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲙᲔᲑᲡ ᲮᲐᲜᲯᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲘᲩᲥᲜᲘᲐᲜ

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით არაერთხელ აგორდა სკანდალი. ხელისუფლებამ ვე-

რა და ვერ მოიცალა აქაუროობისთვის. ტერიტორია, სადაც ეს უნიკალური კომპლექსი მდებარეობს, დღემდე დავის საგნად არის ქცეული.

მეზობელ აზერბაიჯანთან ხელისუფლებამ საზღვრების დადგენა ვერა და ვერ მოახერხა. ამისთვის ხელისუფლებას არ სცალია. სახელმწიფო საზღვრის დადგენა მაშინ გახდება პრიორიტეტი, თუ ის პიარისთვის იქნება საჭირო.

ამ ეტაპისთვის პიარის გაკეთება სხვა თემებით შეიძლება. ამასობაში კი ქართული სამონასტრო კომპლექსი ზიანდება.

2007 წელს ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ფრესკები დააზიანეს. ეს ფაქტი ერთმა უცხოელმა იურისტმა დაფიქსირა. ოპოზიციამ ამასთან დაკავშირებით ხმაური ატეხა, ხელისუფლებამ კი — ვითომ არაფერიაო, უფრო მეტიც, კინაღამ იმის მტკიცება დაგვიწყეს, რომ აზერბაიჯანელები ქართული

ფრესკების დაცვით არიან დაკავებული.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა დავითგარეჯთან დაკავშირებით ახალი სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, აზერბაიჯანელი მწყემსები დავითგარეჯის ტერიტორიაზე, ბერთუბანში, ფრესკების ფრაგმენტებს ხანჯლებით ჩიჩქნან. ეს ინფორმაცია საინფორმაციო ცენტრს საგარეჯოში მცხოვრებმა ისტორიკოსმა ალექსანდრე ელერდაშვილი მიაწოდა.

მისი თქმით, ბერთუბანი აზერბაიჯანის კონტროლირებად ტერიტორიაზეა და მწყემსებთან ერთად ფრესკების ფრაგმენტებს აზერბაიჯანელი მესაზღვრეებიც ანადგურებენ.

— რაც იქ ხდება, ვანდალიზმია. იქაურობა წაბილწულია, — აღნიშნავს ისტორიკოსი ელერდაშვილი.

ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი რეაქცია არ ჰქონია. ოპოზიცია ამ თემაზე ისევ აპირებს ხმაურის ატეხას. იმედი ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლება დავითგარეჯისთვის მოიცლის.

შორენა ბარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი „ სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი „ ლიანა ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე „ შორენა ბარსაგიშვილი

კონსულტანტები
თამარ ნინაშვილი, დავით ყიფიანი
სფინანსო სამსახური „ ელარა ბალაკაძე

სარეკლამო სამსახური „ 94–02–55
გაფრცელების სამსახური „ შერან ღლიღრაშვილი
დირექტორი „ ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება „ ინგა დვალიშვილი, ნინა კანდელაკი, ეზნა ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილისპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და აგურრებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების ხარისხზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

შევარდნაძეს გამსახურდიას მკვლელობას ვერ დაუმტკიცებენ

პირველი პრეზიდენტის მკვლელობიდან ნისმკვდარია

**იგორ გიორგაძე ისტორიული ხასიათის ინტერვიუს ჩვენს მკითხველისთვის ისტორიკოსთან ერეკლეს ... 7 რიდლეი ... ეზე ... ...

დავით დარჩიაშვილმა დევების გორა გათხარა

□უნიკალური□ვირადღირებულსტრატეგიტყიდელი

ნინიმელაშვილი

პარლამენტისწევრმაგით დარჩიაშვილსმეოლის სახლისსინისტერული დრომშარსლიცმართველიმ მაშინსაბჭოთამერიდი იყოდასწოებერი სხვადასხვაფერინის□ებაზე სტუდენტებმშარად გადიოდნენ ნინოროთ სპორტულფერმა დარჩიაშვილსმეოლის სახლისსინისტერთან რაკლასერსს ალიან მეგობარ

ერთი პერიოდი დავით დარჩიაშვილი სიმამრთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დღეს სიმამრის საყვარელი ფაიფურის ვაზა გატეხა და, ჩუმად რომ შეენებებინა, ნამსხვრევები პალტოს ჯიბეში დამალა, დილით კი აღმოჩნდა, რომ საკუთარი პალტოს ნაცვლად, გატეხილი ვაზის ნამსხვრევები სიმამრის პალტოს ჯიბეში „შეინახა“.

დარჩიაშვილი არ მალავს, რომ სახლშიც და მეგობრებიც ეუბნებიან, რომ ძუნწია. არ უყვარს ძვირადღირებული ნივთების ყიდვა და რაღაცის ყიდვის დროს ფასს ყურადღებას აქცევს. ყოველთვის თვლის ოჯახის ბიუჯეტს, რომ ძირითადი მოვალეობები, რაც ოჯახის შენახვასთან არის დაკავშირებული, შეასრულოს.

დეპუტატი ამჟამადაც არ წყვეტს სტუდენტებთან ურთიერთობას. ინტერვიუს ჩაწერის წინ კი დავით დარჩიაშვილი საგამოცდო საკითხებზე მუშაობდა. თავად თვლის, რომ მკაცრი ლექტორი არ არის, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთ სტუდენტს ის მკაცრად მოეჩვენოს.

რატომ ბგავს ადამიანების ურთიერთობა მაჩვ-ზღარბების ურთიერთობას? რატომ არის ყველაფერი ძველი დარჩიაშვილისთვის საინტერესო და როგორ ხდებოდა მისი წარსულთან ზიარება?

„ახალი თაობა“ დეპუტატ დავით დარჩიაშვილს ესაუბრა:

— გაგვაცანით თქვენი ოჯახი, თქვენი შვილები...

— ორი შვილი მყავს, 24 წლის მარიამი და 22 წლის გიორგი. მარიამმა დაამთავრა პოლიტიკური მეცნიერებების ბაკალავრიატი, მერე ბუდაპეშტში — მაგისტრატურა, ახლა კი ლექციებს კითხულობს. გიორგი ამთავრებს სამხატვრო აკადემიას რესტავრაციის განხრით და ასევე ფოტოხელოვნებით არის გატაცებული. მეუღლე რამდენიმე წელია განათლების სამინისტროში მუშაობს.

— გიორგი იმ ასაკშია, როცა შვილები ზოგჯერ მამებს პრობლემებს უქმნიან. ეს პრობლემა თქვენც ხომ არა გაქვთ?

— არა.

— მოწესრიგებულია?

— ცოტა სუბიექტური კი ვიქნები, მაგრამ ძალიან მოწესრიგებული, დინჯი და რაციონალურად მოაზროვნე ადამიანია, თავისი საქმე ძალიან უყვარს, იცის, რა უნდა ცხოვრებაში.

— შენიშვნებს არ აძლევთ?

— კი, როგორ არა.

— ძირითადად რის გამო?

— მინდა, რომ მეტი იმუშაოს საკუთარ თავზე. ხან სწავლობს, ხან, შესაძლოა, ნაკლებს სწავლობს.

— მეუღლე როგორ გაიცანით?

— რთველში გავიცანი.

— ეს, ალბათ, სტუდენტობის პერიოდში იყო...

— კი, უნივერსიტეტიდან სტუდენტობის პერიოდში რთველში ვიყავით და იქ გავიცანით ერთმანეთი. ჩემზე ერთი კურსით დაბალი იყო. მაშინ მაინცდამაინც არაფერი გვიფიქრია, შემდეგ ნელ-ნელა დავმეგობრდით.

— მალე მოიგეთ მეუღლის გული?

— რაღაცნაირად ისე აეწყო, რომ ძალიან მალე დავახლოვდით და გადავწყვიტეთ დაქორწინება.

— გაიპარეთ თუ ტრადიციული, ქართული წესით დაქორწინდით?

— გავიპარეთ.

— სად?

— თერჯოლაში, ჩემი კურსელი იყო და მის სახლში წავედით.

— მეუღლის გამო არაორდინარული საქციელი თუ ჩაგიდენიათ, რომ მისი გული მოგეგოთ?

— რაიმე განსაკუთრებული არ ჩამიდენია, თუმცა, რაღაცები იყო... მეგობრებთან ერთად მის სახლის წინ დროება აღვმართე.

— რომელი დროშა აღმართეთ?

— მაშინ საბჭოთა პერიოდი იყო. ეს მოხდა ნოემბერში. მაშინ სტუდენტები სხვადასხვა ღონისძიებაზე გაპყავდათ. იქ ბევრი ნაირფერი დროშა იყო. ერთ-ერთი წამოვიღე და მეუღლის სახლის წინ აღვმართე. როგორც მეუღლისგან ვიცი, ეს სიმამრს ძალიან გაუხარდა და ამ დროშით კარგად გაერთო.

— მსგავსი საქციელი კიდევ ჩაგიდენიათ?

— თავისთავად, ჩვენი გაპარვა ოჯახისთვის შოკისმომგვრელი იყო. მაშინ ლეკა 19 წლის იყო. ოჯახი თვლიდა, რომ გათხოვებისთვის ჯერ პატარა იყო.

— თქვენ რამდენი წლის იყავით?

— 24 წლის.

— სიმამრს სასიძოდ მოსწონდით?

— თავიდან არ იყო მომხრე, რომ მისი შვილი გათხოვილიყო. რაც დრო გადიოდა, მერე კარგად შევეწყვეთ. თავიდან იყო სირთულეებიც. მატერიალური პირობების გამო მათთან ცხოვრება მიწევდა. ერთ დღეს რაღაც ფაიფურის ვაზა შემთხვევით გავტეხე, რომელიც სიმამრის საყვარელი ვაზა ყოფილა. მეუღლეს ვუთხარი, რომ მამამისისთვის არ ეთქვა და გატეხილ ვაზას შევაწებებდი. ვაზის ნამსხვრევები პალტოს ჯიბეში ჩავყარე, დილას კი აღმოჩნდა, რომ სიმამრის პალტოს ჯიბეში ჩამიყრია.

— ანუ გატეხილი ვაზის ნამსხვრევები სიმამრის პალტოს ჯიბეში დამალეთ?

— ჩემი პალტო მეგონა, თან ვაზა დავუმსხვრიე და თან ნამსხვრევები ჯიბეში ჩავუყარე.

— სიმამრის რეაქცია როგორი იყო?

— საკმაოდ კოლორიტული ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ახლა ცოცხალი აღარ არის, კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. თავიდან შეწუხდა, მერე ყვირილიც აღმოხდა, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი კეთილად ჩათვალა. საერთოდ, კეთილად აღვიქმებოდი მის თვალში.

— რატომ?

— ვთქვათ, ბავშვი ხელში მეჭირა, თან წიგნს ვკითხულობდი და კარში გასვლის დროს შეიძლებოდა, ბავშვი თავით კარზე მიმეჯახებინა.

— აბა, მაშინ სიმამრთან კონფლიქტში იქნებოდით...

— კი, მაგრამ სერიოზულ ჩხუბში არ გადადიოდა ეს ყველაფერი.

— სიმამრი კოლორიტული ფიგურა თუ იყო, ალბათ, სუფრასთან ხშირად გიწევდათ ერთად მოლხენა...

— ქეიფის მოყვარული ადამიანი არ იყო, სმა მაინცდამაინც დიდად არ უყვარდა, მაგრამ მოლხენა იცოდა, კარგად მღეროდა. თუკი შესაფერისი სუფრა იყო, ძალიან ხალისობდა.

— თქვენ სიმღერასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— სიმღერა მიყვარს, მაგრამ, ეჭვი მეპარება, რომ ამის დიდი ნიჭი მქონდეს. ერთიორი სიმღერა გამოგვდის და იმას ვასრულებთ მე და ჩემი მეუღლე.

— ქართული ხალხური სიმღერის შესრულება თუ შეგიძლიათ?

— არა, ამას დახვეწილი სმენა სჭირდება.

— ღვინოსთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, მსმელ კაცად ითვლებით?

— ძალიან მიყვარს, მაგრამ არა — დათრობა, არამედ — შეთრობა. უნივერსიტეტიდან, ისტორიის ფაკულტეტიდან, არქეოლოგიური ექსპედიციებიდან და ასეთი ცხოვრებიდან ღვინოსთან მწყრალად იყო, ცოტა უცნაურია.

— ისე თუ დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არაფერი გახსომებიათ?

— ძალიან დიდი ხანია, მსგავსი არაფერი მახსენდება. სუფრასთან დიდი ხნით ყოფნისას ათასგვარ რამეზე საუბრობ, შეიძლება, მეორე დღეს გავიხსენო, რაღაც ზედმეტი ხომ არ ვთქვი, რაც შეიძლებოდა, ვინმეს სწყენოდა.

— თქვენ მარტივად გწყინთ რაღაცები ან წყენის გულში ჩადება თუ იცით?

— ეტყობა, ასაკთან ერთად, უფრო იოლად ვიყურებ სიტყვებსა თუ ცალკეულ ფენომენებს. ერთ ჭკვიან კაცს აქვს ნათქვამი: ადამიანების ურთიერთობა მაჩვ-ზღარბების ურთიერთობას ჰგავს, იმიტომ, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ, ერთმანეთთან ახლოს მიდიან, ზოგჯერ ეხუტებიან და მერე ჩხვლეტენ ეკლებითო. ადრე უფრო გულისყურით ვეკიდებოდი ასეთ ჩხვლეტებს, ახლა ცოტა მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება რაღაცების იგნორირების საშუალებას მაძლევს. ისე, წყენა არ იცის ჩემთვის უცხო, ისევე, როგორც წყენის დავიწყება.

— ანუ შეგიძლიათ, რაღაცები „გაატარეთ“?

— რაღაცების „გატარებაც“ შემიძლია და, თუ ადამიანი მიხვდება, რომ მაწყენინა და ამის გამოსწორებას შეეცდება, ეს ძალიან მშვიელის, რომ ყოველგვარი წყენა დავივიწყო.

— იუმორი გეხმარებათ, რომ რთული სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოთ?

— იუმორი ნამდვილად დიდი საყრდენია გაჭირვებაში, როდესაც რაღაც ვითარებაში ძალა აღმართს ხნავს. გნებავთ, პოლიტიკაში იუმორი ნამდვილად გვეხმარება.

— რაც შეეხება მოთმინების უნარს, როდესაც სოროსის ფონდში მუშაობდით, კარგა ხნის განმავლობაში იქ აქციები იმართებოდა. ამ ყველაფერს მოთმინებით უყურებდით?

— წელიწად-ნახევარი გრძელდებოდა ეს აქციები. თავიდან ყოველდღე მოდიოდნენ, ბოლოს — კვირაში ორჯერ. ერთხელ ფონდის მანქანის საჭესთან მე თავად ვიჯექი, გვერდით შვილი მეჯდა. აღარ მახსოვდა, რომ აქცია იყო, პირდაპირ შევუხვიე და დავინახე აქციის მონაწილეები. მანქანა იცნეს და კიბილი დაიწყეს. უცებ გაჩუმდნენ და გაეცალნენ მანქანას, დაინახეს, რომ მძღოლის გვერდით სხვა იჯდა. მე მძღოლად ჩამთვალეს და ამიტომ გაჩუმდნენ. უცებ ერთმა იყვირა: საჭესთან ზისო. ატყდა ყიჟინა-ხივილი, მეც გამეცინა, თუმცა ყოველთვის ასე არ იყო, დაძაბული მომენტებიც იყო.

— პარლამენტში ერთ-ერთ მოწესრიგებულ დეპუტატად ითვლებით...

— მართლა? ეს ძალიან მახარებს...

— ჩაცმის კუთხითაც აკადემიურად ჩაცმულად ითვლებით, ეს თქვენი სტილია თუ პარლამენტი მოითხოვს ასეთი ჩაცმის სტილს? ჯინსებით შეგიძლიათ პარლამენტში მოხვიდეთ?

— კი, ჯინსები ხანდახან მაცვია.

— დახეული ჯინსებით პარლამენტში შეგიძლიათ მოხვიდეთ?

— მოლად დახეული ჯინსებით — არა, მაგრამ ჯინსებით რამდენჯერმე ვყოფილვარ მოსული. გაარნია ჯინსებს. ჯინსების თანამედროვე ფორმებია, რომელსაც მე ვერასდროს ჩავიცვამ. მეტ-ნაკლებად კლასიკური სტილის ჯინსი შეიძლება ჩაიცვა.

— კლასიკური სტილი უფრაა თქვენი სტილი თუ შერეული?

— რა თქმა უნდა, კლასიკური, თუმცა ჯინსის გარკვეული სახეობები მშვენივრად ერწყმის პიჯაკს.

— მეუღლე გირჩევთ, რა ჩაიცვათ თუ თქვენ ირჩევთ?

— როდესაც სცალია, ძალიან მკაცრად იღებს ამ საქმეში მონაწილეობას, როდესაც დაკავებულია, მე ვარჩევ.

— შეგიძლიათ, შეხამებულად შეარჩიოთ პერანგი და პიჯაკი?

— თუ სხვა რაღაცაზე ვფიქრობ, ზოგჯერ შეუხამებლად შეიძლება ჩავიცვა, მერე, იძულებული ვარ, გავიხადო და სხვა ჩავიცვა.

— თუ გაქვთ კარგი ფირმის და ძვირადღირებული ჰალსტუხები?

— სახლშიც და მეგობრებიც მეუბნებიან, რომ ძუნწი ვარ. ასე რომ, ძვირადღირებულს არაფერს ვყიდულობ.

— საკუთარი თავისთვის არ გიყვართ რაღაცის ყიდვა?

— კი, მაგრამ ყოველთვის ფასს ვაქცევ ყურადღებას. საშუალო დონის სიმპათიური ჰალტუხები ჩემს გარდერობში არის.

— მეგობრები თუ გჩუქნიან ჰალსტუხებს?

— კი, რამდენიმე ნაჩუქარი ჰალსტუხი მაქვს.

— ვინ გაჩუქათ?

— ორი ჰალსტუხი მეგობარმა მაჩუქა, ერთი-ორი უცხოელებმა მაჩუქეს, ერთი — ოჯახმა.

— საჩუქრებს სხვას მარტივად თუ ჩუქნით თუ უფრო გიხარიათ, როდესაც თქვენ გჩუქნიან?

— შეიძლება, ამას ჩემმა განვლილმა ცხოვრებამ დაამჩნია კვალი, ასევე ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობამ, ყოველთვის ვთვლი ჩემს ბიუჯეტს, რომ თვიდან თვემდე ძირითადი მოვალეობები, რაც ოჯახთან არის დაკავშირებული, პირნათლად შევასრულო. თანხებს ვუფრთხილდები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მეგობრის დაბადების დღეზე ან რაიმე ღონისძიების დროს თავი შევიკავო.

— ბოლოს თქვენ რა საჩუქარი მიიღეთ?

— საათი მაჩუქეს.

— ვინ გაჩუქათ, თუ საიდუმლო არ არის?

— შვილებმა და მათმა მეგობრებმა ერთად მიყიდეს ეს საათი.

— აქსესუარებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ? კარგ მობილურს თქვენთვის მნიშვნელობა აქვს?

— ეს მობილური რამდენიმე წელია მაქვს, ბევრ ადგილას არის დავარდნილი და დაჭყლეტილი, მაგრამ მუშაობს.

— ნივთების ამოჩემება ან შეჩვევა თუ იცით?

— ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ნივთებს ვეჩვევი ან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ნივთებისადმი. არც ლამაზ, ბრჭყვიალა ნივთებზე გამოკიდება მახასიათებს. უბრალოდ, მობილური მჭირდება. ის ახლა თავის ფუნქციას ჯერ კიდევ ასრულებს, ცოტა ხანში მოკვდება და ახლის ყიდვა მომიწევს.

— ისტორიული ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული, გარდა ამისა, არქეოლოგიური გათხრების დროს სხვადასხვა ექსპედიციაში ყოფნა გიწევდათ. თავისი სირთულიდან გამომდინარე, თუ გახსენდებათ ახლა რაიმე შემოხვევა?

— ბევრ ადგილას ვყოფილვარ, გონებით ძალიან ბევრი სირთულე მახსენდება. შემიძლია მოვყვე, როგორი იყო უცნაურ გარემოში მოხვედრა, პირველი ღამეები. მაგრამ, რაც ემოციურად მახსენდება, ყველაფერი დაკავშირებულია ხალისთან, მეგობრობასთან, სირთულის გადალახვასთან, ახლის სწავლასთან. ემოციურად მხოლოდ კარგი მახსენდება, გაუგებრობებიც იყო, მაგრამ გულისტკივნეა მინავლულია და ძირითადად ყველაფერი კარგი მახსენდება.

— არქეოლოგიური გათხრების დროს ყველას კონკრეტული შედეგი აინტერესებს. თქვენთვის ყველაზე შთამბეჭდავი რომელი აღმოჩენა იყო?

— ყველაზე ბანალურად ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს ის, როცა ფუნჯითა და პატარა დანით მინიდან რომელიღაც ქვის კონტურს გამოკვეთ. ამას დრო სჭირდება, მაგრამ, როცა იცი, რომ ქვა ძველია და ასობით წლის წინ არის ჩადებული, რომელსაც შეიძლება, კიდევ სხვა ქვა მოჰყვეს, ამას სიამოვნებით აკეთებ. ადარ ვლაპარაკობ იმაზე, მძივი ან მონეტა რიცა აღმოჩნდება, თუნდაც ადამიანის ნაშთი, რომელიც ასობით წლის არის. ფშავში ვთხრიდით მერვე-მეცხრე საუკუნეების სამარხებს, დევების გორა ერქვა, ძალიან საინტერესო იყო ეს გათხრა. თავისთავად პროცესი იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, წარსულთან ზიარების პროცესი. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველაფერს ძველს, რადგან დროთა და თაობათა კავშირს მაგრძნობინებს.

— დეპუტატობის შემდეგ არქეოლოგიას ხომ არ დაუბრუნდებით?

— სხვადასხვა კურსებზე ზაფხულობით ექსპედიციაში სულ დავდიოდი, მაგრამ ჩემი პროფესია უფრო იყო თანამედროვე პერიოდის ისტორია, მე-19, მე-20 საუკუნეების ისტორია, მერე პოლიტიკურ მეცნიერებებში წავედი. ახლაც არ ვწყვეტ კავშირს, ახლაც სტუდენტებისთვის საგამოცდო კითხვებს ვწერ.

— სტუდენტები ხშირად მიმართავენ ხრიკებს, რომ ლექტორისგან მაღალი ნიშნები მიიღონ. სად კითხულობთ ახლა ლექციებს?

— ჭავჭავაძის უნივერსიტეტში. 1992 წლიდან 2004 წლამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. პარალელურად რამდენიმე ადამიანმა ავაწყვეთ ახალი ტიპის ფაკულტეტი, ახალი ტიპის ნიშნთა სისტემით, სადაც გამოირიცხებოდა სტუდენტის მხრიდან ზედმეტი დაუმსახურებელი თხოვნა.

— მკაცრ ლექტორად ითვლებით თუ არა?

— არა მგონია, რომ მაინცდამაინც მკაცრ ლექტორად ვითვლებოდე, თუმცა ცოტა ხნის წინ რამდენიმე სტუდენტს ვუთხარი, რომ გამოცდაზე არ დაიშვება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ახალი წესი გვაქვს, შუალედური ქულები უნდა ჰქონდეთ დაგროვებული საშინაო დავალებებით და, ვინც ვერ დააგროვა მინიმალური, გამოცდაზე არ დაიშვება. ამის გამო ზოგიერთების თვალში, ალბათ, მკაცრი ვარ.

— მაგრამ, თქვენ თვლით, რომ მკაცრი არა ხართ?

— მე არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც მკაცრი ლექტორი ვარ.

ინტერვიუ

რომში იტალიელ გულშემატკივრებს ძლივს გამოვასწარი

ყოფილმა ფეხბურთელმა ანტონიო ცირეამ

ინტერვიუ პარტია „თავისუფლების“ ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

— „აღორძინებიდან“ წამოსვლის შემდეგ თქვენ გარკვეული პაუზა გაიკეთეთ, შემდეგ აღმოჩნდით კონსტანტინე გამსახურდიას პარტიაში. რატომ გადაწყვიტეთ მის პარტიაში შესვლა?

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ბლოგ „აღორძინებიდან“ მე წამოვედი 2002 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე 2003 წლის არჩევნები იქნებოდა. ბოლო პერიოდში თუ რას აკეთებდა ეს პოლიტიკური გუნდი, ჩემთვის უცნობი იყო. მე ჩამოვაყალიბე ფრაქცია „თავისუფლება“ და ამ ფრაქციას ვხელმძღვანელობდი, სადაც ძირითადად შედიოდნენ ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები იყვნენ. შემდგომ პერიოდში, როდესაც რევოლუცია მოხდა, გარკვეული ხნის განმავლობაში არ ვიყავი საქართველოში და, სიმართლე რომ გითხრათ, ვემზადებოდი იმისათვის, რომ ხელახლა მოვსულიყავი პოლიტიკაში. თქვენთვის ცნობილია, რომ მოხდა ჩემი გაერთიანება პარტია „თავისუფლებაში“. მაშინ ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ ჩემი ადგილი არის მხოლოდ იმ ძალებს შორის, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოდიან.

— თუმცა დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ თქვენსა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის შავმა კატამ გაირბინა...

— არა, ეს არ არის მართალი, არანაირი სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობს ჩვენ შორის...

— ალბათ, რაღაც მაინც მოხდა, რადგან ასეთი ინფორმაციები გავრცელდა...

— შეიძლება, ეს ხმები უფრო იმიტომ გავრცელდა, რომ მე არ ვიღებ აქტიურ მონაწილეობას ამ კომისიის მუშაობაში, რომლის შექმნაც, ფაქტობრივად, ჩემი ინიციატივით მოხდა და ძალიან დიდი წვლილი მიმიძღვის ამ კომისიის შექმნაში, რომელიც პარლამენტშია და, ალბათ, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ასეთი ხმები გავრცელებულიყო. პოლიტიკური უთანხმოება, როგორც ასეთი, არ არის. მე დღეს ვარ პარტია „თავისუფლების“ წევრი და ერთი-ორი წლის შემდეგ რა იქნება, არავინ იცის.

— რატომ არ მონაწილეობთ ამ კომისიის მუშაობაში?

— მე ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ საჭირო იყო ამ კომისიის შექმნა. პროფესიით არა ვარ გამომძიებელი, კომისიის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ პროფესიონალური ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა აწარმოონ გამოძიება. მე თავიდანვე ვურჩევდი ბატონ კონსტანტინეს, პროფესიონალები მოეწვია ამ კომისიაში. თუ როგორი იქნება ეს გამოძიება, ამაზე პასუხისმგებლობას ვერ ვიღებ, რადგან ამ პროცესებში არ ვმონაწილეობ. დიდი იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა აღდგება და სიმართლე გაირკვევა ის მოვლენასთან დაკავშირებით, რომელსაც პირველი პრეზიდენტის მკვლელობა ჰქვია.

— რაც შეეხება იმ განცხადებებს, რომელიც კოკო გამსახურდიამ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ გაიკეთა, მან ღიად დასდო ბრალი შევარდნაძეს და მკვლელობის შემკვეთად დასახელა...

— ეს ისედაც ცალსახაა, რომ ქვეყნის მაშინდელი ფატმბრივი ხელისუფალი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, რომ მომხდარიყო ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია. კონსტანტინე გამსახურდიას მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება აბსოლუტურად ლოგიკური იყო. გეტყვით იმასაც, რომ საკმაოდ სარწმუნო ინფორმაცია მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ შევარდნაძეს ამოქმედებული ჰყავს საკმაოდ სეროზულად თავისი ყოფილი ჩინოსნები იმისათვის, რომ არ მივიდეს კვალი საქართველოს მაშინდელ ფატმბრივ ხელისუფლებამდე, კერძოდ კი — შევარდნაძემდე. მე ღიად ბრალს ვერავის ვიყავი ფრაქციის თავმჯდომარე. საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა მქონდა იმისა, რომ ბიზნესი მეწარმოებინა და, სხვათა შორის, ძალიან ბევრი წინადადებაც მქონდა ამის თაობაზე სხვადასხვა პირისგან. ეს არასოდეს გამიკეთებია, მაშინ არ მქონია ბიზნესი, თუმცაღა, იმ პერიოდში, როცა პოლიტიკას ვიყავი ჩამოცილებული, იმისათვის, რომ საარსებო წყარო ჰქონდეს ადამიანს, რაღაც ამის მსგავს საქმიანობას ვეწეოდი.

— რაც შეეხება თქვენს პირად ცხოვრებას, ვინ არის თქვენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე არის ნინა ცაგარეიშვილი, მყავს სამი შვილი, უფროსი ბიჭი, ბაქარი, 16 წლისა, შუათანა, მარიამი — 7 წლის, პატარა დავითი 6 წლის ხდება. მყავს დედ-მამა და ერთი და. აი, ეს არის ჩემი ოჯახი.

— როგორ გაიცანით მეუღლე, იქნებ გაიხსენოთ თქვენი სასიყვარულო ისტორია?

— ჩემი მეუღლე იმ პერიოდში გავიცანი, როდესაც ქვეყანაში ძალიან არეული სიტუაცია იყო. მე. პირადად, ძებნილი ვიყავი ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ ორი წლის განმავლობაში, ორჯერ ვიყავი დაპატიმრებული მხედრიონის მიერ და, როდესაც ეს საქმები შეწყდა, ამის შემდეგ გამოვჩნდი ქალაქში. მანამდე ჩემი გამოჩენა შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ლიკვიდაციის ბრძანება იყო გაცემული. იმ პერიოდში საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო დაპატიმრებული და დახვრეტილი. ასეთ რთულ პერიოდში გავიცანი ჩემი მეუღლე. ის იმავე უბანში ცხოვრობს, სადაც მე ვცხოვრობდი და დღესაც ვცხოვრობ — საბურთალოზე. გავიცანი და საკმაოდ მოკლე ხანში დავქორწინდით. ფაქტიურად, მიწევდა დილის 9 საათზე გასვლა სახლიდან და გვიან 3-4 საათზე შემოსვლა. ამ დროს, რა თქმა უნდა, ისეთ აქტიურ ურთიერთობას ვერ ახერხებ ბავშვებთან. დიდ დროს ვერ ვუთმობდი ოჯახს. დღესაც ასეა, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობ, ბავშვებთან მქონდეს ინტენსიური ურთიერთობა და გარკვეული წვლილი შევიტანო მათ აღზრდაში.

— მეუღლე რა პროფესიის ბრძანდება და თუ მუშაობს?

— პროფესიით ექიმია, მაგრამ არ მუშაობს, სამი ბავშვის პირობებში საკმაოდ რთული მუშაობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ბავშვები წამოიზრდებიან, ალბათ, გაგაგრძელებს თავის პროფესიულ საქმიანობას. ამ ეტაპზე ძირითადად ბავშვების აღზრდით არის დაკავებული. მე ვთვლი, რომ ეს საკმაოდ დიდი მისიაა.

— როგორი დიასახლისია?

— ნორმალური. ხომ გაგიგიათ, ცოლის ქება აუგიაო... და თავს შევიკავებ ამისგან, ნორმალური დიასახლისია, შესანიშნავი დედა და ბავშვებისთვის თავგადაკლული ადამიანია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ქართველი ქალი. არ მინდა, აზიატობა დამდონ ბრალად, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა — ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ქალისთვის, მას შემდეგ, რაც ის ოჯახს შექმნის, არის შვილების აღზრდა და ოჯახის გაძღოლა იქ კუთხით, რომელიც ქალს ეკისრება. სიმართლე გითხრათ, არ მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც შვილები სხვისთვის ჰყავთ მიბარებული აღსაზრდელად და თვითონ სხვა საქმიანობით არიან დაკავებული. შვილი აუცილებლად მშობელმა უნდა აღზარდოს, თუმცა, არც იმას ვამბობ, რომ ქალი აუცილებლად სახლში უნდა იჯდეს

მათთვის ნორმალური სიტუაცია იყო. ჩემთვის რომ ნორმალური არ იყო, აქედან გამომდინარე დაურქმევიათ მაჩო. ჩემმა ცოლმა მითხრა, მთელი ეს უბანი ასე გეძახისო. მე მიმაჩნია, რომ ცხოვრების ის სტილია ნორმალური, რომელიც ჩვენ გვაქვს და არა ის, რომელიც მათ აქვთ.

— მკაცრი თუ ხართ ოჯახში?

— სხვათა შორის, არა ვარ მკაცრი. ჩემი მეუღლის უფრო ეშინიათ ბავშვებს, ვიდრე ჩემი. ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს მათთან. არც მეუღლის მიმართ ვარ მკაცრი.

— რაიმე მხიარულ თავგადასავალს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— 2000 წელს რომის პაპის მიწვევით რომში ვიყავით დელეგაცია. მეოცე საუკუნის გაცილებასთან დაკავშირებით მილენიუმი ტარდებოდა და მსოფლიოს ყველა პარლამენტიდან იყო სამ-ოთხკაციანი დელეგაცია. ერთ-ერთ სხდომაზე საკმაოდ ნასვამი მივედი. გამოვდივარ გარეთ და ვხედავ, წინ მოდის გორბაჩოვი. მივედი, მივესალმე, როგორ ხართ, მიხაილ სერგეევიჩ-მეთქი და ჩავედი. ვხედავ გორბაჩოვს, დაინტერესებულა, ვინ ვიყავი. ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით და ადვილად მიპოვა. დავსხედით, დამიწყო ლაპარაკი, საიდან მიცნობო, მეც ვუთხარი, რომ საქართველოდან ვიყავი. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვისაუბრეთ. ჩვენი დელეგაციის წევრები ჩამოვიდნენ, მაშინდელი დეპუტატები და ხედავენ, რომ გორბაჩოვთან ერთად ვზივარ და ვლაპარაკობ, თანაც — მაგარი მთვრალი. მკითხეს, საიდან იცნობ გორბაჩოვსო. მე ვუთხარი, ჩვენ დიდი ხნის ურთიერთობა გვაქვსო-მეთქი და მთელი ამდენი წელი სჯეროდათ, რომ მე და გორბაჩოვს გვქონდა შესანიშნავი, მეგობრული ურთიერთობა, არადა, საიდან უნდა მქონოდა. ეს ისტორიაც რომს უკავშირდება: ერთი კვირა გავჩერდით იქ. მთელი დღის განრიგი წინასწარ იყო შედგენილი. დღის განმავლობაში ერთი და იგივე ამომვიდა ყელში. ჩემთან ერთად ვინც იყვნენ, ის დეპუტატები ხანში შესული ხალხი იყო. მე მაშინ ვიყავი 26 წლის. ამათ ინგლისური არ იცოდნენ არც ერთმა. ერთ მშვენიერ დღესაც დავათვალიერე ბროშურა და ვხედავ, ლონისძიებების სიას დამატებია ფეხბურთი, რომელიც რომის ოლიმპიურ სტადიონზე იმართებოდა, რომა და ლაციო თამაშობდნენ. რომ იკითხეს, ამ საღამოს სად მივდიოვართო, მთელ დელეგაციას მოვატყუე, რომ ფეხბურთის მატჩზე დასწრება სავალდებულო იყო, რადგან მე მინდოდა ძალიან წასვლა. ქალები მივაცილეთ სასტუმროამდე და მე და ერთ-ერთი დეპუტატი, გვარს არ დავასახელებ, წავედით. გზაში ვუყიდე ამ კაცს ლაციოს ქუდი, შარფი, მაისური, ჩავსვი ტიფოზებში, ვაყვირე, ვაკივლე მთელი მატჩის განმავლობაში. ბოლოს ტიფოზებს შორის ჩხუბი ატყდა და მე და ის კაცმა ძლივს გამოვასწარით იქიდან. მერე სულ იმას იხსენებდა, იქ სად წამიყვანე, რა მინდოდა იმ ფეხბურთის მატჩზეო (იცინის). აი, ამის გახსენება შემიძლია. ისე, კურიოზი ძალიან ბევრი გვქონია. კარგია ის კურიოზი, რომელიც კარგად მთავრდება.

ეთთ ამმვენიერ დღესაც დავათვალიერე ბროშურა და ვხედავ, ღონისძიებების სიას დამატებია ფეხბურთი, ჰომელიც ჰომის ოლიმპიურ სტადიონზე იმართებოდა, ჰომა და ლაციო თამაშობდნენ. ჰომ იკითხეს, ამ საღამოს სად მივდიოვართო, მთელ დელეგაციას მოვატყუე, ჰომ ფეხბურთის მატჩზე დასწრება სავალდებულო იყო, ჰადგან მე მინდოდა ძალიან წასვლა. ქალები მივაცილეთ სასტუმროამდე და მე და ეთთ-ეთთი დეპუტატი, გვარს აი დავასახელებ, ნავედით. გზაში ვუყიდე ამ კაცს ლაციოს ქუდი, შარფი, მაისური, ჩავსვი ტიფოზებში, ვაყვირე, ვაკივლე მთელი მატჩის განმავლობაში.



ბეღის დაავადებებისას

წელინადში 4-ჯერ 4-4 დღის განმავლობაში მიიღეთ ყვავილებისგან დამზადებული ნაყენი.

ჰაღიჯეიტი

ნოვოკაინით დაასველეთ ორ ფენად გადაკეცილი დოლბანდი და დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე. დოლბანდის ზევიდან დაანყვეთ მდოგვის ფურცლები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს ცხელ წყალში დასველებული. ზევიდან გადააფარეთ ნაჭერი ან პირსახოცი. გააჩერეთ 20 წუთი. გაიმეორეთ 4-5-ჯერ საღამოობით. შეიხვიეთ თბილად.



ხეღ-ფეხის ჯანჯაღი, პარკინსონის დაავადება

სამ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაყარეთ ნიგვზის ყვავილი (ერთი მუჭა). ადუღეთ, სანამ მასა არ გახდება ლიტრნახევარი. შემდეგ განწურეთ. მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ, 50 გრამი.

ნიგვზის ყვავილი ყვავილობს აპრილის თვეში.

სკლეროზი



სკლეროზის საწინააღმდეგოდ მიიღეთ 1 ჭიქა ხახვის წვენისა და ერთი ჭიქა თაფლის ნარევი სამჯერ დღეში, თითო სუფრის კოვზით ორი თვის განმავლობაში.

სკლეროზის დროს და, საერთოდ, ჯანმრთელობისთვის ძალზე მარგებელია ნივრიანი სპირტის ნაყენი. ამისთვის აიღეთ 300 გრამი ნიორი, ჩაყარეთ ნახევარლიტრიან რძის ბოთლში და შეაჯსეთ სპირტით. სამი კვირის შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ დღეში ერთხელ 20 წვეთი, გაზავებული ნახევარი ჭიქა რძით.

ხეჭისა და თოჩმეტგოჯას ნყეული

აიღეთ თანაბარი რაოდენობით თაფლი, შავი ღვინო და ნახეკარი წილი ალოეს წვენი. ჩაასხით ყოველივე ეს მინის ქილაში. კარგად დაახურეთ და დადგით ბნელ ადგილას 3 დღე. შემდეგ მიიღეთ 1 ღვინის ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ. ნარევი უნდა ინახებოდეს ბნელ ადგილას.

ხევმატიზმი

100 გრამი სპირტი ჩაასხით ფინჯანში და გახსენით მასში 50 გრამი ქაფური, ჩაყარეთ ამ ხსნარში 50 გრამი მდოგვის ფხვნილი და კარგად მოურიეთ. ცალკე 100 გრამი კვერცხის ცილა ათქვიფეთ და აქციეთ სქელ მასად. შეურიეთ ორივე შემადგენლობა ერთმანეთს. მიიღებთ თხევად მალამოს.

საღამოს, ძილის წინ, მტკივნეულ ადგილებში შეიზილეთ ეს მალამო, მაგრამ ისე, რომ მცირე ფენა დარჩეს კანზე. შემდეგ პირსახოცით ჩამოიწმინდეთ.

ბრონეეიღის ჯანის სასნაეღმოქმედება

ბრონეულის ყვავილს იგივე სამკურნალო თვისება გააჩნია, როგორც მწიფე ანწლის ნაყენს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ხმარებისათვის სრულიად არ არის საჭირო არც კანის მოხარშვა და არც რაიმე ნაყენის დამზადება.

საკმარისია, პირში მოვითავსოთ ბრონეულის კანის 4 პატარა ნაჭერი და დავლეჭოთ იგი, რომ მაშინვე ვიგრძნობთ მის თავისებურ, ოდნავ მწკლარტე გემოს. თუ ჩვენ ამ მცირეოდენ თხევად მასას გადავყლაპავთ, 10-15 წუთის შემდეგ შეგვიჩერდება მუცლის კბილიანება და კუჭის აშლილობაც.

მიწის ძალა

თქვენ ძალიან დაიღალეთ. გეჩვენებათ, რომ სასიცოცხლო ძალები თითქმის აღარ დაგრჩათ, და აი, მოხვდით მდინარის წყარო ნაპირზე, შიშველი ფეხებით გაიარეთ ბალახზე, შეისუნთქეთ სუფთა ჰაერი, სახე მიაპყარით მზეს, მიაყურადეთ წყლის ჩქაფუნს. უკვე ნახევარი საათის შემდეგ თქვენ გაოცებით შენიშნავთ, რომ დაისვენეთ; რომ ძარღვებში თითქოს განახლებული სისხლი მოძრაობს, სხეული კი აივსო ცოცხალი ძალით. საიდან? მიწიდან, ჰაერიდან, მზიდან, წყლიდან. მათთან ხანმოკლე ურთიერთობასაც სარგებლობა მოაქვს. ხოლო თუ ყოველდღიურად 15-30 წუთს დაკუთმობთ გაჯანსაღებას ბუნების მეშვეობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაკაჟებას — აქედან მხოლოდ სარგებელი გელით. ფეხშიშველი სიარული მიწაზე, მდინარეში ბანაობა, სუფთა ჰაერზე მეტხანს ყოფნა, მზის სხივების ზომიერი მიღება — აი, წყაროები, საიდანაც შესაძლოა ჯანმრთელობის მოპოვება, სიმხნევითა და ახალგაზრდული ენერგიით დამუხტვა.

ავიტამინოზი

როგორც წესი, ამით იტანჯებიან ზამთრის დასასრულს, გაზაფხულზე. მას თან სდევს თავბრუსხვევა, გულისრევა, საერთო სისუსტე, თავის ტკივილები. სხვათა შორის, მისგან განკურნება იოლია. შემოიღეთ წესად მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ასკილის გამონახარშის სმა, ბევრი ბოსტნეულის ჭამა — სასურველია უმი სახით. ძალიან სასარგებლოა დღეში რამდენჯერმე ცოტაოდენი შავი ბოლოკის წვენის სმა. და, რაღა თქმა უნდა, არ დაიკიწყოთ სხვადასხვა თქვენთვის სასარგებლო ბალახების გამონახარშების შესახებ. ამ გამონახარშებში ვიტამინებიცაა, ორგანიზმისთვის საჭირო მიკროელემენტებიც და წამლებიც.

რა უნდა ვიცოდეთ C ვიტამინის მიღებისას

ბევრ ავადმყოფს არ შველის ამ ვიტამინის დიდი დოზაც კი. მიზეზი?

მიზეზის ასახსნელად დაინტერესდნენ ბრიტანელი ფარმაკოლეგები და გაირკვა: C ვიტამინის ასამოქმედებლად საჭიროა, რომ ის რეაქციაში შევიდეს სპილენძის იონებთან. თუ ორგანიზმში ამ იონების ნაკლებობაა, ვიტამინის დოზის მომატება სრულ უაზრობად იქცევა. ამიტომ, გრიპის ეპიდემიის დროს აუცილებელია კვების რაციონში სპილენძის იონებით მდიდარი პროდუქტების ჩართვა; ესაა ხილი და ბოსტნეული, ძირითადად ჭერამი, ჭარხალი, ნესვი, ლობიო, სოკოები. ნუ შეშინდებით, თუ შუა ზამთარში ახალი ხილი ვერ იშოვეთ. ამ მიზნით ჩირიც ივარგებს, უკიდურეს შემთხვევაში კი, კონსერვებიც.

***

ჩანასახი განვითარების პირველი სამი თვის განმავლობაში განსაკუთრებით მგრძნობიარეა წამლების მიმართ. ზოგიერთი წამალი ამ დროს საშიშროებას უქმნის ჩანასახს, იწვევს მის სიკვდილს ან თანდაყოლილ სიმახინჯეს. თითქოსდა უვნებელმა დამამშვიდებელმა საშუალებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ ნაყოფს.

ორსულობის პერიოდში ქალმა უნდა მიიღოს წამალი მხოლოდ ექიმის დანიშნულებით აუცილებელ შემთხვევაში.

***

წამლები, რომლებიც ტაბლეტის ან კაფსულის სახითაა, უკეთესია მიიღოთ ფეხზე მდგომმა ან დამჯდარმა, არავითარ შემთხვევაში დწოლილმა. აუცილებელია დააყოლოთ წყალი. მაშინვე ნუ დაწვებით, თორემ წამალი შეიძლება მიეკრას საყლაპავ მილს, 10 წუთში დაიშალოს ისე, რომ კუჭამდე ვერ მიაღწიოს.

***

არც ერთი წვეთი ალკოჰოლის მიღება არ შეიძლება ისეთი წამლების გამოყენებისას, როგორიცაა ელენიუმი, სედუქსინი, ტაზეპამი, ვინაიდან შეიძლება უმძიმესი შედეგი მივიღოთ.

ალკოჰოლი, რომელიც ხვდება დედის რძეში, სწრაფად აქვეითებს მასში ცილების შემცველობას. ცილა კი აუცილებელია ბავშვის ზრდისა და სწორი განვითარებისთვის. ბავშვებს, რომელთა დედები სვამენ, უზიანდებათ ნერვული სისტემა, ეშლებათ ფსიქიკა, უვითარდებათ საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ღვიძლის, ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

შესანიშნავი აბაზანა — 20 შესანიშნავი წუთი

1 კგ. წვრილად დაჭრილ ბალახეულს დაასხით 3-4 ლიტრი ცივი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი. შემდეგ ადუღეთ 5 წუთი, გააჩერეთ 10 წუთი, გადაწურეთ და ჩაუმატეთ აბაზანის წყალს. ამგვარი აბაზანები კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღოთ და თანაც 20 წუთით. ცაცხვის ყვავილის აბაზანა აძლიერებს ოფლის დენას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხელს უწყობს ღრმა და მშვიდ ძილს. პიტნის აბაზანა შესანიშნავი საშუალებაა გაციების დროს, ამშვიდებს გაღიზიანებულ კანს, ამცირებს ქავილს. მუხის ქერქისა და შროშანის აბაზანა გამოიყენება ცხიმიანი კანისა და ოფლიანობის დროს. გვირილას აბაზანა გამოიყენება მშრალი და დამსკდარი კანის დროს.

წითელიმოცვი

მედიცინაში წითელი მოცვის ფოთლები გამოიყენება ნაყენისა და ნახარშის სახით შარდდენის გასაძლიერებლად, უმთავრესად, თირკმლების კენჭოვანი დაავადებისას. უნიშნავენ აგრეთვე რევმატიზმის, პანკრეასის ქარის სამკურნალოდ, ასევე ავიტამინოზის დროს.

წითელი მოცვიდან ნახარშს შემდეგნაირად ამზადებენ: იღებენ ერთ მუჭ ფოთოლს, ასხამენ 3 ჭიქა წყალს და ადუღებენ 10 წუთს. ნახარშს სვამენ ერთი დღის განმავლობაში სამ ნაწილად. ასეთი ნახარში სასარგებლოა არამარტო თირკმელების, არამედ ღვიძლის სამკურნალოდაც. მიუხედავად იმისა, რომ ფოთლები შარდმდენად მოქმედებს, მათი ნახარშის გამოყენება კარგ შედეგს იძლევა იმ ბავშვებში, ვისაც შარდის შეუკავებლობა აქვს ღამდამობით. ამ შემთხვევაში შეიძლება შემდეგი ნაყენის გამოყენებაც: წითელი მოცვის ფოთლებსა და ნაყოფებს 2 კოვზ კრაზანას ბალახს უმატებენ, ასხამენ 3 ჭიქა წყალს და 10 წუთი ადუღებენ. მიიღება დღეში 3 ჭიქა, დაწყებული დღის 4 საათიდან, დამთავრებული ძილის წინ.

ფოთლების ნახარში გამოიყენება მარილების დაგროვების დროსაც. წითელი მოცვის ნაყოფის ხანგრძლივი ჭამაც კარგ შედეგს იძლევა სახსრებში მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

ტიბეტური მედიცინა წითელი მოცვის ფოთლის ნახარშს და ფხვნილს სიცხის დამწევად იყენებს წითელას დროს. ასევე გამოიყენება კუჭის წვენის სიმჟავიანობის შესამცირებლად.

რამშველისბილისტკივილს

ხალხურ მკურნალობათა შორის კბილის ტკივილის დროს იყენებენ ღორის ქონში შემწვარ ნივრის რამდენიმე კბილს, რომელსაც ცხელ მდგომარეობაში ვიდებთ მტკივან კბილზე, შემდეგ ყბებს მაგრად მოვუჭერთ ერთმანეთს ისე, რომ კბილი შემწვარ ნიორში ჩაერჭოს. ეს მტკივნეული და მეტად არასასიამოვნო პროცესია, მაგრამ ნერვი კვდება და ავადმყოფიც შვებას გრძნობს.

კბილის ტკივილის სამკურნალოდ კარგია აგრეთვე კრამატის ნატეხზე დამწვარი პრასის თესლი. თესლს რომ ცეცხლი კარგად მოეკიდოს, მას უნდა დავუმატოთ ცოტა სანთელი. მოკიდებულ თესლს ფრთო ძირით დავაფაროთ ძაბრი, მისი ვიწრო მილი კი მივიდოთ კბილთან ისე, რომ ბოლი კბილში შევიდეს.

კბილის რყევის დროს

— ყოლოს (ან მაყვლის), კაკლის და პიტნის ფოთლები ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ცხელი ღვინის ძმარი, გააჩერეთ 3 დღე. გამოივლეთ დღეში რამდენჯერმე.

— 2 ჩ/ჭ არაყში ჩაუშვით 15 ცალი დაფნის ფოთოლი და 2-3 წუთით წამოადიეთეთ ნელ ცეცხლზე. გამოივლეთ თბილი ნაყენი დღეში 2-3-ჯერ.

როგორ განვიკურნოთ პარადონტოზისაგან

ძალზე სასარგებლოა პირის ღრუში ზღვის მარილიანი ხსნარის გამოვლება (ნახევარი ჩ/კ ჭიქა წყალზე). ეს ხსნარი კურნავს პარადონტოზს, აჩერებს ღრძილებიდან სისხლდენას, ათეთრებს და ამაგრებს კბილებს. ღრძილების ანთებას მარწყვის ფოთლების ნაყენითაც მკურნალობენ — 1 ს/კ წვრილად დაჭრილ მარწყვის ხმელ ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 15 წუთის განმავლობაში. მიღებული ნაყენი 1 დღის სამკურნალო დოზას წარმოადგენს.

ღრძილების გასამაგრებლად ღეჭეთ კომბოსტოს მწნილი.

ალერგიული გამონაყარი



20 დღის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე უნდა მიეცეთ ცერცველას ნახარში, ისე, როგორც ჩაი.

იბანავეთ წყალში, რომელიც შეიცავს მუხის ქერქის ნაყენს.

ალერგიული გამონაყარის შემთხვევაში სასარგებლოა ბანაობის შემდეგ გადაივლოთ კაკლის ფოთლების ნახარში: აიღეთ 15 ფოთოლი, ხარშეთ 10-15 წუთი 2 ლიტრ წყალში.

ბავშვთა გამონაყარი (ჭინჭრის ციება)

მოვხარშოთ თანაბარ ნაწილებად ჭინჭრისა და დიდგულას ფოთლები. როცა ნახარში გაცივდება, გადავავლოთ ბავშვს ტანზე. ეს პროცედურა შეიძლება ჩავუტაროთ მოზრდილ ადამიანსაც.

ალერგია მტკვრზე (მათ შორის წიგნის მტვერზე)

1. ასკილის ნაყოფი და ბაბუაწვერას ფესვები დავაქუცმაცოთ ან გავატაროთ ხორცსაკეპში, კარგად ავურიოთ; 2 სუფრის კოვზი ნარევი გავხსნათ 1,25 ჭიქა წყალში. შეიძლება მოვამზადოთ ერთდროულად 2-3 დღის სამყოფი. მივიღოთ სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში.

2. ერთ სუფრის კოვზ ჭინჭრის ყვავილებს დავუსხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი და დავაყოვნოთ შეფუთულად 30 წუთი, შემდეგ გავწუროთ. მივიღოთ ნახევარი ჭიქა 4-5-ჯერ დღეში ან თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში. ღებულობენ ალერგიული გამონაყრების, ჭინჭრის ციების, ფურუნკულებისა და ეგზემის დროს, როგორც კარგ სისხლგამწმენდ საშუალებას.

***

თუ გნებავთ, გაიწმინდოთ ორგანიზმი ტოქსინებისა და წიდებისგან, უნდა სვათ ბევრი სტაფილოს წვენი (დღეში 500 მლ).

ორგანიზმში დაგროვილი შხამების გამოდევნა შეიძლება, თუ ყოველ დილით 20 წუთს 2 ჩაის კოვზ ზეითუნის ან მზესუმზრის ზეთს პირში დაიგროვებთ და წაწნით. ზეთი რძესავით უნდა გათხელდეს, გათეთრდეს, არ ჩაყლაპოთ, რის შემდეგაც პირის ღრუ კარგად გამოირეცხეთ.

***

ბოტულიზმი საშიში დაავადებაა, რომელსაც კონსერვირებული ბადრიჯანი, სოკო და სხვა პროდუქტები იწვევს. ამ დროს გართულებულია ყლაპვა, ავადმყოფს უჭირს თავის დაჭერა, გაორებულია მხედველობა, ხმა ჩახლეჩილია. გამოიძახეთ სასწრაფო! ექიმის მოსვლამდე გამოირეცხეთ კუჭი სოდიანი ხსნარით. შემდეგ მიიღეთ ნახშირის 10 ტაბლეტი.

ახალგაზრდობის ელექსირი

ეს რეცეპტი შეესაბამება კურნავს ქოშინს, აახალგაზრდავებს, წმენდს სისხლს. განსაკუთრებით სასარგებლოა მისი გამოყენება მსუქანი, ხნიერი ადამიანებისთვის.

400 გრამი ნიორი დანაყეთ. გამოწურეთ წვენი 4 ლიმნიდან, ჩაასხით ფარფოფყლიან ქილაში წვენი და დანაყილი ნიორი, აურიეთ, დაახურეთ ქილას მსუბუქი ქსოვილის ნაჭერი და გააჩერეთ 24 დღე ბნელ ადგილას.

ხმარებისას შეანჯღრიეთ. მიიღეთ დღეში ერთხელ ძილის წინ 1 ჩაის კოვზი ამ ნარევისა ნახევარ ჭიქა წყალზე. მიღებიდან 10-12 დღის შემდეგ იგრძნობთ დაღლილობის მოხსნას, დაგეძინებათ ღრმა ძილით. ამგვარი რეცეპტი ფართოდ იყო გავრცელებული უკრაინასა და კავკასიაში. მას არანაკლებ 500 წლის ისტორია აქვს.

ვაგზალი [illegible]
ნიერზე 30-30 [illegible]
[illegible]
[illegible] ნიერზე 30-30 [illegible]
[illegible]
[illegible]
**[

მოდი ეკლესიაში, რათა წახვიდე ციური ძღვენით აღსავსე

ეკლესიაში ყოფნა — ადამიანურად ყოფნაა

ვინ არიან ისინი, ვინც არ დადიან ტაძარში? ნუთუ ისინი ადამიანები არ არიან? ნუთუ მათ არა აქვთ ფეხები, ყურები, თვალები? ჩემმა მეგობარო, თვალები, ფეხები და სხვა ორგანოები ცხოველებსაც აქვთ და თანაც უფრო დიდი ზომისა, მაგრამ ამის გამო ისინი არ არიან ადამიანები. ადამიანი ცხოველისაგან განირჩევა არამარტო გარეგნობით, არამედ ღვთისაგან ბოძებული აზროვნებითაც, რის ერთ-ერთ გამოვლინებასაც ეკლესიურობა წარმოადგენს. თუ ადამიანი არ დადის ეკლესიაში, ნუ მიწყენთ და იგი ემსგავსება ცხოველს.

თვითონ დაფიქრდი: მთელი კვირის განმავლობაში იგი, როგორც ცხოველი, მუდმივად დაკავებულია საკვების მოპოვებით, მუშაობს, რომ გამოკვებოს საკუთარი თავიც და ოჯახიც. მას სძინავს, სძინავს მხეცსაც. ის ჭამს, ჭამს პირუტყვიც. ისვენებს — დასვენება სჭირდება ოთხფეხსაც. მაშ რა განსხვავებაა? განსხვავება ჩანს კვირა დღეს. ადამიანი მიდის ტაძარში და იქ წარდგება ღვთის წინაშე, რასაც ცხოველი არ აკეთებს. ვინც არ დადის ეკლესიაში, ივიწყებს, რომ ადამიანია და ეშვება ცხოველური ცხოვრების წესამდე, ველურდება, მხეცად იქცევა. ის შეიძლება ჰალსტუხს ატარებდეს, დადიოდეს სუფთად გაპარსული, მაგრამ მისი გული მხეცის გულია.

საზოგადოებრივი ბედნიერების ნყარო

რისგან იტანჯება დღეს საზოგადოება? ძლიერთა ამა ქვეყნისა მტრობისა და განხეთქილებებისაგან, საკუთარი თავის სიყვარულისა და გულქვაობისაგან, უსამართლობისა და ტყუილისაგან. ტაძარი კი საერთო საქმის სახელოსნოა, საზოგადოებრივი სამართლიანობის საოცარი წყაროა. საზარების კითხვით, ზარებით იშლება საზოგადოებრივი ზღვრები, როგორც იერიქონის კედლები. ადამიანთა დაყოფა, გამოწვეული სოციალური განსხვავებით, ტაძრის მიღმა რჩება. მდიდარი და ღარიბი, დიდი და პატარა, მაღალი თუ დაბალი მდგომარეობის მქონენი, მეგობრები და ყოფილი მტრები — აქ თანაბარნი არიან და ეზიარებიან ერთი წმინდა ბარძიმიდან. ეკლესიაში ყველანი, ღვთის მონები, საერთო მემკვიდრეობის — ცათა სასუფევლის მქონე ძმები არიან. ლბები მათი გულები, ტაძრიდან უფრო მშვიდნი და თავმდაბალნი გამოდიან, სახლებში უფრო თავშეკავებულები ბრუნდებიან.

თუ ტაძარში შედის ძუნწი მდიდარი და ესმის სახარების სიტყვები: „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე რომელი მოიმზადე, ვისა იყოს?“ მისი სულის გაღიზიანებას იწყებს სინდისის ქენჯნა. ის მოუთმენლად ელოდება სახლში წასვლის დროს. რატომ? საქმე ისაა, რომ გუშინ მან უსამართლოდ მიითვისა თავისი ძმის ქვრივის ერთადერთი სახლი. ლიტურგიის შემდეგ მიისწრაფვის მასთან შესახვედრად. „მაპატიე, — ეუბნება ის, — არასწორად მოვიქეცი. სახლი შენია. მე გიბრუნებ მას“.

ბევრია ისეთი, ვინც გუშინ თავს სჭირდა საზოგადოებას და ტანჯვავდა ოჯახს, მაგრამ ეკლესიაში მოსვლამ შეცვალა.

პირეოსში ცხოვრობდა ერთი ხულიგანი. იგი ადრე დაობლდა. თორმეტი წლიდან დაიწყო ქურდობა. ჩაეფლო ცხოვრების ჭაობში. მისი მეგობრებსაც კი ეშინოდათ. მისი ეშინოდათ ცოლსაც და ოჯახსაც. გალლოდა, ღამე გვიან ბრუნდებოდა სახლში.

ერთმა მეწაღემ დაიყოლია, წასულიყო კვირა დღეს ტაძარში. მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა იმან, რომ იქ მყოფნი არ ჰგავდნენ მის მეგობრებს. მან დაიწყო ეკლესიაში სიარული. ჩააბარა აღსარება. მიატოვა სმა და ნარკოტიკები, ფული სახლში მიჰქონდა, ხელი მოჰკიდა ბავშვების აღზრდას და მათთან ერთად დადიოდა ტაძარში, გარშემოყოფთ მეგობრულად ექცეოდა. თვითონ კითხვა არ იცოდა, მაგრამ ყოველთვის თან ატარებდა სულის განმანათლებელ წიგნს, რათა სხვებისთვის სარგებლობა მოეტანა. ასე ეკლესიაში მისვლით დაიწყო მისი ცხოვრების შემობრუნება.

ერთხელ, ერთმა უხასიათოდ მყოფმა პორტის მუშამ, სილამ გააწნა, მაგრამ მან არ უპასუხა. კაფეში სადილობისას, ყველა, ვინც მას იცნობდა, მსჯელობდა მომხდარზე. „დღეს, — ამბობდნენ მუშები, — ვიხილეთ საოცრება. ტაბკანი მგელს სცემდა, მგელი კი არ გაბრაზებულა“.

ის, ვინც ეკლესიაში დადის, საზოგადოების უკეთეს ნაწილს წარმოადგენს. შევადაროთ ეკლესიაში მოსიარულე ათასი კაცი და ათასი — მის გარეთ მყოფი. დანაშაულებათა პროცენტი მორწმუნეებში ნაკლებია. სამართლიანად ამბობენ, რომ როდესაც ტაძრები იხურება, იხსნება საპატიმროები და პირიქით, როდესაც ტაძრები იხსნება, საპატიმროები იხურება.

სულიერი ეკონიდღეობის ნყარო

ქრისტიანები ყველა თავგამოდებული მოღვაწეები როდი ვართ. არიან ზომიერები, ზარმაცები, ნელთბილებიც — ვინც ქრისტიანის სახელს ატარებს მხოლოდ. რა გვჭირდება იმისათვის, რომ გამოვფხიზლდეთ, გამოვიდეთ სულიერი უძრაობის მდგომარეობიდან და აღვეშვითოთ შინაგანად? ბიძგი, დახმარების ხელი, შესაფერისი ატმოსფერო და თბილი, სიცოცხლის მომნიჭებელი გარემოცვა.

რა თქმა უნდა, ეკლესიური გარემო, მისი მშვიდი ატმოსფერო გვმატებს სულიერებას. ნუთუ არ ვიცით ეს გამოცდილებით? ფსალმუნები, ჰიმნები, სადიდებლები, ღვთისმსახურის ლოცვა-კურთხევა, ლოცვები, საკმევლის კმეკვა, წმინდანთა ხატები და, პირველ რიგში, საღმრთო ლიტურგია აღგვამაღლებს.

გარემოცულნი ვართ მორწმუნეთა თბილი ღვთისმოსაობით, მრევლის გულისამაჩუყებელი წუხილით. მათი რწმენის წმიდა ცეცხლი ჩვენს სულებსაც გადმოეცემა. რამდენჯერ დაგვიჩოქია, როდესაც სხვები მუხლმოყრილნი დაგვინახავს! რამდენჯერ გვიღვრია ცრემლები, გულაჩუყებულ გარშემომყოფთა დანახვით აღელვებულებს! რამდენჯერ გამოვსულვართ ტაძრიდან განახლებული სულით და მტკიცე გადაწყვეტილებით, უფრო სერიოზული და ამაღლებული გავხადოთ ჩვენი შინაგანი ცხოვრება! ეჭვგარეშეა, ეკლესიაში ყოფნა სულიერად აღგვამაღლებს.

ძალთა განახლების ნყარო

საფრანგეთის რევოლუციის დროს მისმა ლიდერებმა იმ მიზნით, რომ შეეხუსტებინათ ეკლესიის ზეგავლენა, აკრძალეს კვირას დასვენება. კონვენტის დადგენილებით, უქმე უნდა ყოფილიყო არა ყოველი მეშვიდე დღე, როგორც ღმერთმა დაადგინა, არამედ — მეათე. მაგრამ მალე რევოლუციონერები იძულებულნი გახდნენ დაბრუნებოდნენ კვირა უქმეს, რადგან ადამიანის ორგანიზმი ვერ უძლებდა ცხრა დღის გადაბმულ შრომას. შეტოქმედმა უკეთესად იცოდა ადამიანი, როდესაც მცნებად დაუდო მას: „ექუსს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა“.

დასვენება არ ნიშნავს, რომ მთელი ღამე ფილმებს უყურო, ან იმხიარულო საღამოებზე, შემდეგ შუადღემდე იძინო და გააცდინო საკვიროო მსახურება. არ არის საჭირო ახლობელი ბავშვების და მოხუცების წაყვანა ზღვაზე საბანაოდ ან მთაში სასეირნოდ ტაძრებიდან შორს. დასვენება არც რომანების კითხვაა, არც უხამსი ჟურნალების ფურცვლა და არც თავაშვებული დროსტარება. ყოველივე ეს სულში ჭუჭყიან ლაქებს ტოვებს და ამახინჯებს არამარტო სულს, არამედ ხორცსაც.

დაცვა და ღვთის მფარველობა

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ღმერთმა დააარსა ეკლესია, როგორც ნავსაყუდელი, რათა ცხოვრების ზღვის ხმაურისა და მღელვარებისაგან შეფარებული ხალხი დატკბეს დიადი სიმშვიდით“. ეკლესიაში იძენ ძალებს, რათა წინ აღუდგე ცხოვრებისეულ უწესრიგობას. „უფალო, გეკვდრებით, ყოველივე ჩვენზედა მონევნული ჩვენდა სასიკეთოდ მოაქცე. რომელნი სნეულ არიან, დაიცევ და კურნება მიჰმადლე მათ. მოგზაურთა თანამავალ ექმენ. განმწმიდენ ჩვენ ყოველისაგან შეგინებისა ხორცთასა და სულისა“. თუ ტაძარში დადიხარ, უფალი გიცავს ყოველგვარი თავდასხმისა და უბედურებისაგან, რომლებზედაც შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს.

თეოდოსი დიდის დროს, კონსტანტინოპოლში მონად გაყიდეს ვინმე თეოფილე. მშობლისადმი მისი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ დათანხმდა, გამხდარიყო მონა, რათა მის მოხუც მამას საკვები ჰქონოდა! გამომშვიდობებისას მამამ უთხრა: „შვილო, რა დავალებაც უნდა მოგცენ, კვირას აუცილებლად მიდი ტაძარში. ლიტურგიას ბოლომდე დაესწარი, შემდეგ კი შენს საქმეებს შეუდექი“.

თეოფილეს მყიდველ, იმპერატორის კარზე დაწინაურებულ, პატრიცი კონსტანტინეს ძალიან შეუყვარდა იგი კეთილი ხასიათის გამო და ყოველთვის თან დაჰყავდა. ერთხელ იმპერატორთან მიმავალ კონსტანტინეს, სიჩქარეში, დაავიწყდა საქაღალდე მნიშვნელოვანი დოკუმენტებით. სახლში საქაღალდისათვის მიბრუნებულმა თეოფილემ ნახა, რომ პატრიცის ცოლი ღალატობდა ერთ მონასთან.

უსინდისო ქალმა, თავისი დანაშაულის დასაფარად სახლში დაბრუნებულ ქმარს უთხრა: „ამ მონას, რომელიც სულ თან დაგყავს, ჩემი ცდუნება უნდოდა და გამაუპატურებდა კიდეც, ჩემს ყვირილზე სხვა მონა რომ არ მომშველებოდა. შენ ან მოკლავ მას დამსახურებისამებრ, ანდა მე წავალ ჩემს მამასთან“. დანაშავეს დაარწმუნა ქმარი, რომ სიკვიდილით დაესაჯა თეოფილე.

პატრიცი მოელაპარაკა ეპარქს, რომ მისი მონისათვის თავი მოეკვეთათ, და მოჭრილი თავი მისთვის გამოეგზავნათ. სასჯელის აღსრულება მომდევნო დღისთვის დათქვეს. დილით პატრიცი კონსტანტინეს უთხრა თეოფილეს: „წადი ეპარქთან, მიესალმე ჩემი სახელით და ის მოგცემს პასუხს, რომელსაც ველოდები“. თეოფილე, რომელმაც არაფერი იცოდა, წავიდა ეპარქთან, მაგრამ ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ტაძართან შეჩერდა. მიდიოდა ლიტურგია. ის შევიდა ტაძარში და ბოლომდე დაესწრო მას.

ამ დროს დამნაშავე მონა ადგილს ვერ პოულობდა, მოუთმენლად ელოდა ეპარქის მიერ გამოგზავნილ ხალხს თეოფილეს თავით, „ბატონო, — უთხრა მან კონსტანტინეს, — ხომ არ წავიდე ეპარქთან პასუხის მისაგანად?“ „წადი“, — უპასუხა პატრიციმ. საჩქაროდ გაიქცა უსინდისო მონა ეპარქის სახლისაკენ და მიესალმა მას პატრიციის სახელით. იქ მყოფმა ჯალათმა ჩათვალა, რომ ეს ის მონა იყო, ვისი მოკვლაც პატრიციის უნდოდა და ყოველგვარი ფიქრის გარეშე მოჰკვეთა მას თავი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა თეოფილე და მიესალმა ეპარქს პატრიციის სახელით. ეპარქმა გადასცა მას დაბეჭდილი ფუთა და მანაც წაუღო თავის ბატონს.

— რა გიჭირავს ხელში? — ჰკითხა მას კონსტანტინემ.

— ამანათი, რომელიც ეპარქმა გამომატანა შენთან!

ტაძარში შესვლამ გადაარჩინა თეოფილე, ხოლო კონსტანტინემ გაიგო სიმართლე და იშვნა იგი.

თეოფილე გადარჩა ტაძარში შესვლით!

ჩემო მეგობარო, ეკლესიიდან ბრუნდები მადლითა და სიხარულით აღსავსე. „მოდი ეკლესიაში, — ამბობს იოანე ოქროპირი, — რათა წახვიდე ციური ძღვენით აღსავსე, რათა ნებისმიერ სიტუაციაში დარჩე უვნებელი, რათა სულიერი იარაღით შეიარაღებულს არ მოგადგეს ზიანი და არ დაემონო ეშმაკს“.

ეკლესიაში მიღებული ღვთის ლოცვა-კურთხევით, შენი საქმეები უკეთესად წავა.

— რატომ მუშაობ კვირას? — ჰკითხა ერთმა ვაჭარმა ხელოსანს.

— იმიტომ, რომ ღარიბი ვარ, — უპასუხა მან.

— რამდენი წელია მუშაობ?

— მთელი ჩემი სიცოცხლე.

— მაგრამ მდიდარი ვერ გახდი! მოდი, შევთანხმდეთ, რომ დაიცავ კვირა უქმეს. ექვსი დღე იმუშავე ბეჯითად, ხოლო კვირას წადი ტაძარში. მე შემოვივლი შენთან ნახევარი წლის შემდეგ და დაგიფარავ ზარალს, რომელიც გექნება ეკლესიაში სიარულის გამო.

— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა მან ექვსი თვის შემდეგ.

— არა უშავს, — იყო პასუხი, — ძორხაც ვიყიდე...

მართალი ყოფილა ის, ვინც თქვა: „მე ვიცი გაღარიბების ორი უტყუარი ხერხი: ქურდობა და კვირა დღეს მუშაობა!“ გაიხსენეთ, ვის დაცვას ვცდილობთ? ჩვენი ოჯახის წევრების. ასევე ღმერთიც იცავს მათ, ვინც მის ეკლესიას ეკუთვნის.

ღვთის მცნება

ძველ აღთქმაში ნათქვამია: „მოიხსენე დღე იგი შაბათთა და წმიდა ყავთ იგი“ (გამ.20.8). ამისთვის ღმერთმა უბრძანა მოსეს აღთქმის კარვის მოწყობა, რომელიც ღვთისმსახურის ცენტრად იქცა. უფალმა დაწვრილებით განსაზღვრა ყველაფერი, რაც ეხებოდა სამღვდელოების მოვალეობებს და მსხვერპლშეწირვას.

თორმეტი წლის ყრმა იესო იპოვეს ტაძარში. ის შემდეგშიც მუდმივად დადიოდა შესაკრებელში, სოლომონის ტაძარში. „და შევიდა, ვითარცა ჩვეულ იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა“ (ლუკა 4.16).

მოციქულებიც მორწმუნეებთან ერთად დადიოდნენ ტაძრებში და აღასრულებდნენ ლიტურგიას ქრისტიანთა სახლებში. „და იყვნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განმტეხასა პურისასა და ლოცვასა“ (საქ. 2.42). და იქვე: „და დღითიდღეად განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლმდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მჩიარულითა და განმარტებულითა გულითა“ (საქ.2.46).

მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი გვაძცნობს, რომ პირველი ქრისტიანები იკრიბებოდნენ ღვთისმსახურებაზე ყოველ კვირას: „ჩვენ ვაწყობთ ხოლმე კრებებს. ამ დღეს ქალაქებისა და სოფლების ყველა მცხოვრები იკრიბება ერთ ადგილზე და კითხულობენ წინასწარმეტყველთა წერილებს. როდესაც წამკითხველი დაამთავრებს, წინამძღვარი სიტყვით ასწავლის და შეგაგონებს ყველას, მიბაძონ გაგონილს. შემდეგ ყველა ერთად ვდგებით და აღვავლენთ ლოცვებს. ლოცვის დამთავრების შემდეგ იწირება პური, ღვინო და წყალი და წინამძღვარი აღავლენს ლოცვებს და სამადლობლებს. ხალხი გამოხატავს თავის თანხმობას სიტყვით — „ამინ“. ყველა იღებს ზიარებას. იქ არმყოფთ კი ეგზავნებათ იგი დიაკონთა მეშვეობით“.

ვინც დაარღვევდა მეოთხე მცნებას და ზედიზედ სამ კვირას არ მივიდოდა ტაძარში, ელოდა მკაცრი ეპიტიმია — ეკლესიიდან განკვეთა!

„თუ ვინმე, რომელსაც არ აიძულებდეს რაიმე გაჭირვება ან მარცხიანი საქმე, მრავალი დღის განმავლობაში დააკლდეს ეკლესიას, ქალაქში ტრიალებდეს სამ კვირას და სამი შვიდეულის (კვირის) განმავლობაში არ მივიდეს ეკლესიაში, თუ ეკლესიის მსახური იყოს, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი იყოს, ზიარების უფლება არ მიეცეს“ (XI მსოფლიო კრების მე-80 კანონი).

ანდა როგორ შეიძლება არ დავიცვათ მცნება, მოცემული თვით ღვთის მიერ.

ჩვენი დანიშნულება

რა არის ადამიანის დანიშნულება? ღვთის სამსახური! ჩვენ შექმნილნი ვართ ყოვლადუსასრულო და ყოვლადსრულქმნილი ღვთის სამსახურისთვის. თანაც არა აქვს მნიშვნელობა, შევიმეცნებთ ჩვენ ამას თუ არა. მსახურება — ეს ყველას საქმეა.

ადამიანის ბედნიერება ღვთის სამსახურშია. ბედნიერების ზომა მსახურების პროპორციულია. რაღაც ამგვარი ხდება მუსიკოსებში. მხოლოდ მას, ვინც კარგად იცის თავისი საქმე, ვინც შეაღწია ჰარმონიის საიდუმლოებებში, შეუძლია დატკბეს მუსიკით. მაგალითად: ბეთჰოვენს მუსიკის მოსმენისას სამოთხეში წარმოედგინა თავი.

მილიონობით მოღვაწენი, მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა და ტანჯვისა, განიცდიდნენ ნეტარებას იმიტომ, რომ მტკიცედ იდგნენ ღვთის სამსახურში.

ჩვენი სურვილები მომავალ ცხოვრებაშიც ღვთისკენ იქნება მიმართული. როგორ შეეხვალ ღვთის სასუფეველში და როგორ მიიღებ ნეტარებას, თუ ამ ცხოვრებაში არ დადიოდი ტაძარში და არ ისწავლე ღვთის სამსახური? ის, ვინც არ დადიოდა სკოლაში და არ ისწავლა ანბანი, როგორ შეძლებს უნივერსიტეტში შესვლას?

მომავალ ცხოვრებაში, როდესაც ყველაფერს ნამდვილი შეფასება მიეცემა და ჭეშმარიტებას დავინახავთ, ბევრი მწარედ ინანებს და იტყვის: „რომ მცოდნოდა ამის შესახებ ადრე,“ მაგრამ გვიან იქნება. ვინც არ გაისარჯა ამქვეყნად თავისი დანიშნულების მიხედვით, მან დაკარგა სასუფეველი სამუდამოდ.

ლიტუჩია — ღვთისადმი ლოცვის უმოკლესი გზა

ბევრი, ვინც არ დადის ეკლესიაში, ხშირად ასე მსჯელობს: „არ არის საშიში. ღმერთი ყველგან მყოფია, შემიძლია სახლშიც ვილოცო“. რა თქმა უნდა, შეგიძლია, მაგრამ სახლში ვერ აღასრულებ საღმრთო ლიტურგიას. ეკლესიაში ლოცვა სულ სხვაა. ეკლესია თვით ქრისტეს სამყოფელია. მას ეკუთვნის სიტყვები: „სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მე მათთანა ვარ“. თუკი ორ ან სამ შეკრებილთაგან არის ქრისტე, როგორი სიხარულით იქნება იქ, სადაც იკრიბებიან ათეულები, ასეულები და ათასეულებიც კი. ყოველ საქმეს, რაც უნდა სთხოვოს ხალხმა ერთად, აკურთხევს უფალი. აღთქმის მიხედვით, ეკლესიაში ღვთისაგან ვალოდებით თხოვნის აღსრულებას და იგი გვაძლევს მეტს, ვიდრე ვთხოვთ. რომელი მამა არ შეასრულებს შვილების ერთობლივ კეთილ თხოვნას სიხარულით? აი, რატომ არის საჭირო, რომ ყველა მორწმუნემ, ვინც ეს იცის, მოიყვანოს ეკლესიაში ვდგებით. რაც უფრო მეტი მოუწოდებს სხვებს, მით უფრო მეტი გაიგებს და გამოეხმაურება. ამიტომაც, ეშმაკი ადამიანს ყოველთვის უშლის ხელს და ცდილობს, მოაცილოს იგი ეკლესიას. ომის დროს რას აზიანებს დამპყრობელი პირველ რიგში? კავშირგაბმულობის ხაზებს, რათა მოშალოს მომარაგება.

ერთხელ, კვირა დილით, ერთმა წმიდანმა გვერდით ჩაუარა სამლოცველოს, რომლის სახურავზეც უშფოთველად ეძინა ეშმაკს. მეზობელ სოფელში მისულმა მოღვაწემ დაინახა, როგორ იკრიბებოდა ხალხი ეკლესიაში. გარშემო ეშმაკების ბრბო ირეოდა.

— რა ხდება? — ჰკითხა ერთ მათგანს წმიდანმა, — აქაც ტაძარია, იქაც. რატომ ხართ აქ ამდენი და იქ მხოლოდ ერთი?

— იქ სამლოცველო ცარიელია და ერთი ეშმაკიც კმარა. აქ კი, როგორც ხედავ, ბევრი სამუშაოა, — იყო პასუხი.

მომზადებულია არქიმანდრიტი ხარლამპი ვასილოპულოსის ქადაგებების მიხედვით

ეკლესია

გიორგი გოგიჩაიშვილი სიმამაცეს ითხოვს

ბიბლიოთეკა-ლაბორატორიის ინიციატორი

გიორგი გოგიჩაიშვილი, იგივე გოგიჩა ყოველ სამშაბათ დღეს იმედის დიღმაში ინყებს და სახოგადოებასაც ეპატიჟებ განნყობაზე აყენებს. ჰოგოჩყ თავად ამბობს, ამ გადაწყვეტამ მისი ცხოვრება ხალიჯალიად შეცვალა და ღიოის ფასი ასნავეა.

გოგიჩა:

— ჩემი დილა საკმაოდ ადრე იწყება. ჩვენი გადაცემა იწყება რვის ნახევარზე, მაგრამ ვიღვიძებ ხუთ საათზე, რომ გამოვფიზიზდე, მოვწესერიგდე, გავიპარსო, ერთი საათით ადრე მივიდე სამსახურში და ეთერისთვის მოვემზადო. აი, გოგონები კი ოთხ საათზე დგებიან, იმიტომ, რომ მათ მეტი მოვლა სჭირდებათ.

— ხედავთ, რა კარგია მამაკაცი რომ ხართ?

— მაგარია, აბა რა! ეს დილის ეთერი რომ არ დამეწყო, ამას ხომ ვერ მივხედებოდი! გამიმართლა, ძალიან მაგარია, რომ კაცი ვარ!

— უკვე მიეჩვიეთ თუ ჯერ კიდევ გიჭირთ?

— არაფერი არ მიჭირს. იცი, რა კარგად ვარ! ეს არის ის სამსახური, რომელიც საჩემოა. ბევრი სამსახური გამოვიცვალე, მიმყავდა სხვადასხვა გადაცემები, მაგრამ დილის გადაცემაში არასდროს ვყოფილვარ. ახლა უფრო ფორმაში ჩავდექი და მივხვდი, თურმე რამდენ დროს ვკარგავდი, თურმე რა ადრე თენდება.

— დილის ხუთი საათი ნამეტანი ადრე არ არის?

— არა. ჩვენი წანაპრები ზუსტად მაგ დროს დგებოდნენ, იმიტომ, რომ ექვსის ნახევრისთვის გაზაფხულზე უკვე თენდება. ასეა ბუნებაში — ამ დროს ჩიტებიც იღვიძებენ და ჭიკჭიკეებენ, ძაღლიც, კატაც, თაგვიც ყველაფერი იღვიძებს. ეს ძალიან კარგია. ზოგს რომ ჰგონია 12 საათი დილაა, ეგ უკვე შუადღეა.

— ზამთარში რომ ცივა?

— არც ზამთარში მიჭირს ხუთ საათზე ადგომა. თან ჩემი სახლი კუთხის არის და არ ცივა. ამაშიც გამიმართლა. გარეთ რომ გავდივარ, როგორი ამინდია არ ვიცი. კარგი სახლი შეგვხვდა, იღბლიანი ვარ. რომ გამოვდივარ, მარტო ვირანგი მაცვია და ქურთუკი, არადა გარეთ შეიძლება ამ დროს მინუს ათი გრადუსი იყოს. კარგია, რომ მანქანა მყავს, ჩავჯდები და მივდივარ ხოლმე. კი არის ჩემი მანქანა 16 წლის, მაგრამ კარგად გამოიყურება, 7 წლის გეგონება. განა მართლა, ჩემი მანქანა 20 წლისას ჰგავს, მაგრამ შინაგანად არის შვიდი წლის. რაც მთავარია, არ ფუჭდება, იაპონელია და მაგარია.

— მეუღლე რას გეუბნებათ, ჩემი პროფესიისკენ რომ გადმოიხარე, კარგიაო?

— მე გადავიხარე მაგის პროფესიისკენ?

— აბა რა, ნათია ხომ ჟურნალისტია, ახლა თქვენც ჟურნალისტი გახდით.

— მე ჟურნალისტი ვარ?

— აბა რა!

— სადაური ჟურნალისტი ვარ, რას ამბობ! რა ჟურნალისტი, კაცო! მე უფრო მასპინძელი ვარ იმ სტუდიაში ჩემს კოლეგებთან ერთად.

— კითხვებს ხომ სვამთ, რესპონდენტებს ხომ იწვევთ, ჰოდა, ჩვენც შეტს კი არაფერს ვაკეთებთ.

— ეგ გასაგებია, მაგრამ ახლა ქუჩაში ვიღაცამ რომ მკითხოს, რომელი საათიაო და მე რომ ვუპასუხო ათი საათია-მეთქი, ის ჟურნალისტია და მე რესპონდენტი ვარ? მე არ ვარ ჟურნალისტი, არა! მე მასპინძელი ვარ და სტუმრებს ვეგებები ჩემს სტუდიაში.

— ხალი იბრალებს ჟურნალისტობას და თქვენ უარს ამბობთ?

— რაგომ უნდა დავიბრალო ჟურნალისტობა?! მე ხომ ვიცი, რომ არ ვარ და! ისე, პირდაპირ ეთერს კი ვიყავი მიჩვეული. რაც თავი მახსოვს, სულ პირდაპირ ეთერში ვმუშაობ.

— დილის გადაცემა სულ სხვა ფორმატია და არ გაგიჭირდათ?

— არანაირად, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ „იბერვიზიაში“, ჩემი პირველივე სამსახური პირდაპირი ეთერი იყო. 1991 წლიდან პირდაპირ ეთერში ვმუშაობ. მანამდე კიდევ სპექტაკლებს ვთამაშობდი, რაც მთლად პირდაპირი ეთერია. სცენაზე რომ დგახარ და სავსე დარბაზი გიყურებს, ამაზე რთული პირდაპირი ეთერი არ არსებობს. ამდენი მაყურებელი ზოგ გადაცემას საერთოდ არ ჰყავს.

— შეზღუდვები არ გაქვთ?

— არაფერში. ჩემი მეუღლისგან არაფერში არ ვარ შეზღუდული, მოიცა, ამაზე მეკითხებით?

— სულ არ მინდოდა ამის კითხვა, მაგრამ თვითონ დაიწყეთ საუბარი. გადაცემის ხელმძღვანელების მხრიდან რამე თემაზე ტაბუ გაქვთ დადებული?

— არა. რაზე უნდა მქონდეს ტაბუ. პირდაპირი ეთერი ისეთი სამსახურია, არ მესმის, რა ტაბუ უნდა არსებობდეს.

— თუნდაც რომელიმე სტუმრისთვის რაიმე კითხვის არდასმა.

— არა, ასეთი რამეები ჩვენთან არ ხდება. როცა მოდის სტუმარი, თვითონ ვხედავი, რა კითხვა უნდა დავუსვა და რა — არა. შეზღუდულები არანაირად არ ვართ. რა ტაბუ, ტაბუ მინდა ახლა მე! იმ დროს გავდივარ ეთერში, რომ მაგ დროს ტაბუ არ არსებობს.

— როგორი პარტნიორები გყავთ დილის ეთერში?

— ვაიმე, სიხარულები! ნამდვილი პრინცესები არიან! ამინდის მიმომხილველი კატო, ქრისტინე, ნუკი ჭკვიანები და ლამაზები არიან.

— ოჯახის წევრები უყურებენ თქვენს გადაცემას?

— ჩემი შვილები არა მგონია, რომ უყურებდნენ ჩემს გადაცემას, იმიტომ, რომ აგერ, რომელი საათია, მოვრჩი სამსახურს და ერთი სკოლაშია და მეორეს ჯერ სძინავს. მერე შეიძლება ინტერნეტში შედიან და რაღაცას ნახულობენ, მაგრამ პირდაპირ ეთერში არა.

— მეუღლე?

— ნათია იმ დროს უკვე უნდა იყოს სამსახურში, როცა მე სამსახურს ვამთავრებ. შეიძლება ცალი თვალით ჩართული ჰქონდეს, როცა ემზადება წასასვლელად, მაგრამ არა მგონია უყუროს. თავიდან ბოლომდე რომ დაჯდეს და უყუროს, ამის დრო არა აქვს. თავიდან ბოლომდე, რომ მოვალ სამსახურიდან, დასხდნენ და შემავლონ თვალი, მერე ვინ უშლის. ჩემს გადაცემას ჩემი მშობლები უყურებენ, ჩემი და უყურებს. ჩვენთან კრიტიკა რეალური და ჯანსაღია. ახლობელი რომ გეუბნება, ხომ ხვდები, როგორც გეუბნება? არავითარ შემთხვევაში არ უნდა „დაიგრუზო“, ხომ იცი, რომ შენთვის კარგი უნდათ, ისე გააწნია, რას გეტყვიან.

— გადაცემაში სტუმარი თქვენ გამო მოსულა?

— სტუმრებს ჩვენ არ ვეკონტაქტებით, ამაზე რედაქტორი ზრუნავს. სამივე არხზე არის დილის გადაცემა და ყველას ჰყავს სტუმარი. რამდენიმე ადამიანმა მითხრა, გოგიჩ, შენ რომ იყავი, იმიტომ მოვედიო. ეს ადამიანები მრავალი წელია მიცნობენ და ჩემი მეგობრები არიან. არ ვიცი, ჩემი ფაქტორი სტუმრების მოსვლაზე მოქმედებს თუ არა. პირველ რიგში, ადამიანს ეზარება დილით გაღვიძება. ამის მიუხედავად, რომ მოდიან, ამისთვის დიდი მადლობა მათ. სტუმრები რომ არ მოდიოდნენ, ჩვენი გადაცემა გაცილებით უინტერესო იქნებოდა. თან ხელოვანებს უჭირთ დილით გაღვიძება. თან მეორე კონკურსი დავიწყეთ — დუეტების შოუ. ძალიან ბევრი ხელოვანი იღებს მონაწილეობას და თანდათან, ბოდიშის მოხდით ვაჩვევთ დილას ადგომას. იმიტომ, რომ მათი სამუშაო დრო მაშინ არის, როცა ხალხს სძინავს — ხელოვანები ძირითადად ღამით ან შუაღამისას შრომობენ. ახლა, თვენახევრის განმავლობაში ჩვენთან ერთად იქნებიან გადაცემაში. ეს კი ძალიან გვახარებს. თან ბევრი მეგობარი შევიძინეთ. ალბათ ისეც ყოფილა, როცა უარი უთქვამს სტუმარს მოსვლაზე, მაგრამ ეს ჩვენამდე არ მოდის, ამას რედაქტორი წყვეტს.

— მუსიკალური პროექტები დილაობით საკმაოდ რთულია.

— რა თქმა უნდა. ჩვენთან ცოცხლად მღერიან, არანაირი ფონოგრამა. თეატრში რეპეტიცია 11 საათზე იწყება, ასეა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, იმიტომ, რომ ადამიანს გახურება სჭირდება. დილას ლაპარაკიც ძნელი და სიმღერა როგორი რთულია, ხომ წარმოგიდგენიათ. ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ არის დილა და ამიტომ ძალიან კრიტიკულად არ უნდა მოეკიდოს მაყურებელი ამ ყველაფერს.

— ფავორიტი გყავთ?

— ჯერ კონკურსი ახლა დაიწყო, მასში 32 ადამიანი იღებს მონაწილეობას და ჩათვალეთ, რომ 32-ვე ჩემი ფავორიტია, ისინი რომ არ მოდიოდნენ, მაყურებლისთვის უინტერესო იქნებოდა დილის პროგრამა, მათ კიდევ ერთხელ მადლობა, გენიოსები და ჩემი მეგობრები არიან.

— გოგონები გაბრაზებენ?

— არ მაბრაზებენ. დაუმორჩილებელი არც ერთი არ არის, ქრისტინე და ნუკი თოჯინები არიან, თან ასაკითაც პატარები არიან. კატოს ბლოკი რომ მთავრდება, უცებ გარბის, ბავშვი ჰყავს და მოვლა სჭირდება. ქრისტინესაც შვილი ჰყავს, მაგრამ ის ათ საათამდე იქ არის, კატო ათის ნახევარზე ამთავრებს მუშაობას და გარბის სახლში, დამშვიდობებასაც ვერ ვასწრებ. გადაცემის მერე გაბრაზებას ვერ ასწრებს კატო. აი, ასეთი სამი პრინცესა გვყავს, დამეთანხმებით, რომ ულამაზესები არიან!

— ისე ლაპარაკობთ, მგონი ბასტი-ბუბუში გგონიათ თავი.

— კი, კი, მაგ ასაკიდან ვერ გამოვედი.

— მანქანაში ისევ „კრიჭი კრიჭის“ უსმენთ?

— აგერ ნამდვილად ვუსმენდი „კრიჭი კრიჭის“. ახლა „ალილომ“ მაჩუქა თავისი დისკი და მას ვუსმენ. დილაობით ყველაზე ხშირად რადიოს ვუსმენ, გაცილებით კარგი რეპერტუარია, დილას ნაკლებ ხალხს ღვიძავს. მერე მთელი დღის განმავლობაში ყველანაირი გემოვნება უნდა დააკმაყოფილონ და რეპერტუარიც მრავალფეროვანია. დამეთანხმები, ყველა ასაკს თავისი ოფოფები აქვს. დილას ნებისმიერი რადიო კარგ განწყობას შეგიქმნის, ამიტომ დილას კარგ განწყობაზე მივდივარ სამსახურში.

— „ბასტი-ბუბუში“ ისევ ხართ?

— არა, სამწუხაროდ, აღარ ვარ. „ბასტი-ბუბუ“ მაინც საზოგადოებრივ მაუწყებელზეა და ეს ორი სხვადასხვა არხია. დიდი ხანია იქ აღარ ვარ. გამიმართლა, რომ „იმედზე“ ამ პროექტში აღმოვჩნდი. მინდა აქ ამის გარდა კიდევ რაღაც გავაკეთო.

— თოჯინა გოგიჩა რომ თქვენ ჰგონიხართ ბავშვებს?

— ეს ვიცი. ყველას ჰგონია, რომ ის გოგიჩა მე ვარ. ისე ტყუილად კი არ ჰგონიათ, ეგეთი ვარ მე. რომ დაღამდება და ბავშვებს რომ სძინავთ, ეგეთი ვარ. სიზმრებში დავდივარ და მეც სიზმრები მაქვს ძალიან მაგარი. ნახატ სიზმრებს ვნახულობ, თან იცი როგორ სიზმრებს? ხომ გამეღვიძება, მეორე დღეს რომ დავწვები, გაგრძელებას ვნახულობ.

— ცხოვრების სტილით ბუ ხართ თუ ტოროლა?

— არც ბუ ვარ და არც ტოროლა, სიმართლე რომ გითხრა, არნივი ვარ. ქართველი კეხიანი ცხვირით, როცა მინდა გავიღვიძებ, როცა მინდა დავიძინებ, ოღონდ ეს ეხება შაბათ-კვირას, როცა არ ვმუშაობ. დანარჩენი დღეები ჭოტი ვარ.

— კიდევ მსახიობობთ?

— ჯერჯერობით არა. ჯერჯერობით ისე ვთქვი, თითქოს 18 წლის ვიყო, აწი ბაბუის როლს თუ ვითამაშებ.

— რატომ?

— რა ვიცი, აბა! ოპტიმისტი ვარ და ძალიან კარგია, თუკი ბაბუის როლს ვითამაშებ. ნეტა ყველა იმ ასაკამდე მივიდეს, რომ ბაბუის და დიდი ბაბუის როლი ითამაშოს. ძალიან მინდა კინოში თამაში, ოღონდ მაშინდელივით არა, კედელთან რომ მიმაყენეს და დამხვრიტეს.

— თქვენს ქალიშვილ ნანუკაზეც ვისაუბროთ, რომელიც პირველი ვიცე მის საქართველოა. მას წინ კიდევ საერთაშორისო კონკურსები ელოდება. ნერვიულობთ?

— აბა რა! მე მამა ვარ და მამურად ვნერვიულობ!

— ია კიწმარიშვილი სულ აღნიშნავს, რომ ქართველ გოგონებს წინააღმდეგობა ძირითადად მამებისგან ხვდებათო. თქვენ ადვილად შეეგუეთ ნანუკას გადაწყვეტილებას?

— ქალბატონი ია მართალია. როცა კონტრაქტზე აწერდნენ ხელს, იქ ასეთი კითხვა იყო — ძმა გყავს? წარმოიდგინეთ, ასეთი კითხვა კონტრაქტშია შეტანილი. მერამდენედ ტარდება ეს კონკურსი და წარმოიდგენია ქალბატონი ია რა დღეში ჩააყენეს, რომ კონტრაქტში ასეთი კითხვა შეიტანა. მაინც ევროპა-აზიის გასაყარზე ვართ, გასაყარი არ ვიცი, მოკლედ, კავკასიელები ვართ! ბევრი მტკივნეულად ხვდება ამ ამბავს.

— მამა გყავს, ასეთი კითხვა არ არის?

— არა, მამა წინააღმდეგი ხომ არ იქნება, ასეთი კითხვა არის. ულამაზესი ბავშვები მივიდნენ კონკურსში და დარწმუნებული ვარ, ყველას მამა, ძმა ეყოლებოდა. არ მესმის, როცა მამას ფეხბურთზე შეყავს შვილი, იმიტომ, რომ ბიჭი ჰყავს, მაშინ რა დაავშავა გოგომ, რომელიც ლამაზია?! რადგან ბიჭი არ მყავს, გოგოს ფეხბურთზე ხომ არ შევიყვანო? ყველა გოგო ხომ არ იცეკვებს და ბალერინა ხომ არ იქნება? მით უმეტეს, თუ მონაცემები აქვს, გარეგნობა კარგი აქვს და გონება უჭრის, ეს ძალიან კარგია მისი კარიერის წინსვლისთვის, ეს სწორად უნდა გამოიყენო. არიან მოდელები, რომლებიც გაიხდიან და არიან მოდელები, რომლებიც წარმატებას აღწევენ გახდის გარეშეც, ანუ გონებით უნდა მიაღწიო წარმატებას. თუ გონება გაქვს ქალს, უკვე ლამაზი ხარ.

— გასაგებია, მაგრამ მოდელობა ის პროფესიაა, სადაც უნდა გაიხადო.

— ასეც არ არის. ძალიან ბევრი წარმატებული მსახიობია, რომელსაც ეკრანზე არ გაუხდია და გაცილებით დასაფასებელია, ვიდრე გამოვარდებიან და გაიხდიან.

— ელოდით ნანუკას ასეთ წარმატებას?

— ნანუკა პირველი ვიცე მისია და მეორე ადგილზე გავიდა. გუდწრფელად რომ გითხრათ, უფრო მინდოდა, რომ ვიცე მისი ყოფილიყო. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა მის საქართველობა. ცირა სუქნიძე ულამაზესი გოგოა, მაღალი, მოხდენილი, წარმოსადეგი. გაცილებით მეტი ტვირთი აქვს „მის საქართველოს“, ვიდრე ვიცე მისებს. ცირა ღირსეულად აბარებს ამ გვირგვინს, თან ყველაზე მაღალი იყო, ამასაც ხომ ექცევა ამ კონკურსში ყურადღება. რაც მთავარია, კარგად მღერის. გულის სიღრმეში მეშინოდა, ნანუკა მისი არ გამხდარიყო, მინდოდა ვიცე მისი ყოფილიყო და ასეც მოხდა.

— ქართველი მოდელები ამბობენ, რომ საცვლების ჩვენებაში არ მიიღებენ მონაწილეობას. თქვენ თუ აუკრძალავთ ნანუკას სამოდელო საქმიანობაში რამეს?

— ნანუკა ისეთი ბავშვია, მას ჩემგან აკრძალვები არ სჭირდება. 20 წლამდე ნანუკას არავინ იცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ დედამისიც და მამამისიც ტელევიზიებში მუშაობენ და ბევრი მეგობარი გვყავს ბეჭდურ მედიაში, ეს ბავშვი არავინ იცოდა. არც თვითონ ჰქონია გამოკვეთილი სურვილი, რომ აბა, სიმღერა ჩამიწერეთ, აბა, კლიპი გადამიღეთო. ნანუკას უფრო სხვა მიზნები აქვს, ჭკვიანი ბავშვია და არ სჭირდება ცენზი დაუწესო. ჩემი ოჯახი ისეთია, ჩემი მშობლებით დაწყებული და ჩემი დიდი ბებია-ბაბუებით და წინაპრებით მოყოლებული, ცენზები არ არის საჭირო. ყველაფერი აღზრდაზეა დამოკიდებული.

— მისტერ მსოფლიოსთვის არჩევენ ქართველ ბიჭებს. თქვენ რომ ბიჭი გყოლოდათ, მიაღებინებდით ამ კონკურსში მონაწილეობას?

— მე მორაგბე ვიყავი, თან სუხიშვილებში ვცეკვავდი, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ბიჭი რომ მყოლოდა, რაგბს ითამაშებდა. აქედან გამომდინარე, მორაგბე იქნებოდა, თან იცეკვებდა.

— რომ გამოეთქვა ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი?

— მორაგბეები უფრო სხვანაირი ადამიანები არიან, ამიტომ არ მგონია, რომ ამის სურვილი გამოეთქვა. ასეთი კონკურსები საჭიროა. მისტერ მსოფლიო უნდა იყოს ჯეიმს ბონდის ტიპაჟი და არა ვიღაც განაზებული ბიჭი. აქედანაც ამ ტიპის კონკურსზე ჯეიმს ბონდი უნდა წავიდეს.

— და მაინც, თქვენ გაუშვებდით თქვენს ბიჭს მსგავს კონკურსში?

— ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ ბიჭი არ მყავს. საერთოდ, ქალბატონი ია კარგ საქმეს აკეთებს. რატომღაც სხვანაირად უყურებენ ამ ყველაფერს, ძალიან ბევრი სამუშაოა, ძალიან შრომატევადი და ძალიან მაღალანაზღაურებადი. ჩვენთან ჯერჯერობით ასე არ არის, ამიტომ უნდა წავიდნენ საზღვარგარეთ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ მოდელ კაცებს ბეჭჰემზე და მესინე ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ძალიან ცდებიან. გავიდეს მისტერ საქართველო ამ კონკურსზე, გახდეს მისტერ მსოფლიო და კიდევ ერთი მილიონერი ეყოლება საქართველოს, მაგალ რა ჯობია! ქველმოქმედებას ჩაიდენს, თავის ქვეყანას დაეხმარება, ქვეყნის სახელს გაიტანს, ამ შემთხვევაში ვაჟკაცებზე მაქვს ლაპარაკი.

— იმ აზრს უკვე შეეგუეთ, რომ ნანუკაც წავა საზღვარგარეთ?

— ნანუკა თუ საზღვარგარეთ წავიდა, დარწმუნებული ვარ, რომ ბებიასაც თან წაიყვანს, შეიძლება ბებოებიც წაიყვანოს. ვნახოთ, ყველაფერი წინ არის. თუ გაფორმდა ხელშეკრულება, პირობას გაძლევთ, რომ მარტო არ წავა.

— ნანუკას თაყვანისმცემლებზე რა იცით?

— ნანუკა არის ჩვეულებრივი კარგი გოგო. ვინმეს სიმპათია გაუჩნდებოდა მის მიმართ, ღმერთმა დამიფაროს, გოგო მყავდეს ისეთი, რომ გაიაროს, არავის მოეწონოს, მაგრამ მანც მამა ვარ, ეგრე ხომ არ არის! ჩვენ ვმეგობრობთ, მაგრამ ასეთ საკითხებზე არაფერს ვეკითხები. თუ რამე აქვს საკითხავი, მას ჰყავს დედა, და და ბებოები. თუ რამის თქმა უნდა, თვითონ მეტყვის, მაგრამ რომ მივიდე და კითხვები დავუსვა, ასე არ არის. თუ სადმე მიდის, სულ ხაზზე მყავს, ან მე მიმყავს, ან თავის დასთან ერთად მიდის. მოკლედ, მგონია, რომ ვიცი, სად დადის. ასე ეგონა დედაჩემსაც და სახლში მოვაყენე ცოლი.

— მზად ხართ სიმამრობისთვის?

— ვაიმე, გაჩერდი, რას ამბობ!

— რატომ, წელან არ თქვით, ჯვარი მწერია, ისეთი გოგო მყავდეს, არავინ შეხედოსო?

— ჯერ არა, კაცო! ეგ კი ვთქვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომადგეს და... ჯერ პატარაა, რას ამბობ!

მალხაზ ასათიანი: „როდესაც შეურაცხყოფას მომაყენებენ, შემიძლია პასუხი გავცე“

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი ძალიან პოპულარულია რუსეთში და თითქმის დღე არ გავა, რომ რომელიმე ჟურნალისტმა არ შეაწუხოს. მალხაზიც საკმაოდ გულღიაა და ყველა თემაზე საუბრობს, თანაც ჟურნალისტებს ქართული ნუგბარით უმასპინძლდება, გამონაკლისი „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი აღმოჩნდა, რომელსაც საქართველოდან ჩატანილი ჩურჩხელა არ შეხვდა, რის გამოც „ქურდობაში“ ეჭვმიტანილი დიმიტრი სენიკოვი გახდა, რომელიც ასათიანის მეგობარია და ყველა შეკრებაზე მის ნომერშია. თუმცა, რუს ჟურნალისტს ჩურჩხელაზე მეტად ქართული ღვინო აინტერესებდა.

— მალხაზ, საქართველოდან ღვინო არ ჩამოგაქვთ?

— მომისმინე, რა თქმა უნდა, ღვინოს ვსვამ, მაგრამ იშვიათად, მხოლოდ ახალ წელს და ქრისტეშობას. იმასაც თუ დავლევ 4-5 ჭიქას საღამოთი. შეკრებებზე საერთოდ არ შეიძლება, მხოლოდ შვებულების დროს ვსვამ. არც შენთვის არ შეიძლება, თორემ რასაც გეტყვი, ყველაფერი დაგავიწყდება. მოსკოვში ნამდვილ ქართულ ღვინოს ვერ იშოვი — ემბარგოა დაწესებული. და თუ მაინც ბაზრობაზე ქართულ ღვინოს შემოგთავაზებენ, არ დაუჯეროთ, ფალსიფიცირებული იქნება. რა თქმა უნდა, საქართველოდან ღვინის ჩამოტანა შემიძლია, მაგრამ ძალიან ცოტა. ალბათ, ყველა ნაცნობს რომ გავუმასპინძლდე, არ ეყოფათ.

— რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა დაიწყო?

— ძალიან ბევრი უსიამოვნება შემხვდა. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი, ნებსით თუ უნებლიეთ, პოლიტიკურ ცხოვრებას პირად ცხოვრებაში ურევენ. ბევრი ქართულ პასპორტს ისე უყურებს, თითქოს ტერორისტის დოკუმენტი იყოს. ასე არ შეიძლება. ამასთან, ამ ქვეყნებს შორის გადაადგილების საშუალებაც ძნელია. ერევნიდან ან კიევიდან მიწევს სამშობლოში ჩასვლა. ორივე ქვეყნის ხალხს შევთავაზებდი, რომ ისევე ემეგობრათ, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ.

— სავიზო პრობლემები არ გაქვთ?

— მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას. ისინი პერიოდულად მიფორმებენ ერთწლიან ვიზას.

— „ლოკომოტივში“ უკვე რამდენი წელია თამაშობთ, ხოლო მომდევნო წელს უკვე 30-ის გახდებით. თანაგუნდელები ვეტერანად გთვლიან?

— სერიოზულად არავინ, თუმცა ხანდახან ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვგრძნობ მსგავს ფაქტს. ალბათ უფრო იმიტომ, რომ თმაც გამცვივდა და ბებერი ვგონივარ.

— ეს მემკვიდრეობით გაქვთ?

— ვერ გეტყვით მოსკოვში წყალია ცუდი თუ კლიმატი. ფაქტია, როგორც კი ჩამოვედი, მაშინვე დამეწყო თმის ცვენა.

— ჯერჯერობით ისევ უცოლო ხართ.

— ჯერჯერობით, 28 წლის ვარ — ეს არც ბევრია და არც გვიან არის ოჯახის შესაქმნელად.

— ძალიან კარგი ურთიერთობა გაქვთ „ლოკომოტივის“ მწვრთნელ იური სიომინთან. ეს მწვრთნელი სადაც კი წავიდა, თან წაგიყვანათ — კიევში და როდესაც მოსკოვში დაბრუნდა, აქაც დაგაბრუნათ.

— „ლოკომოტივი“ იმიტომ დავტოვე, რომ რაშიდ რახიმოვის მწვრთნელობისას ძირითად შემადგენლობაში სტაბილური ადგილი არ მქონდა. კიევში კარგი პერიოდი მქონდა, კიდევ ვთამაშობდი და ფეხბურთისგან სიამოვნებას ვიღებდი. ალბათ, სიომინი, როგორც იტყვიან, ჩემი მწვრთნელია — მენდობა. თუმცა, სხვა დროებაც მახსოვს. სიომინის ხელში თავიდან ვერ ვხვდებოდი ძირითად შემადგენლობაში, მაშინაც დიდი კონკურენცია იყო გუნდში. საერთოდ, კონკურენცია დიდებული საქმეა, მაგრამ ხშირად მწვრთნელიც ცუდ დღეშია, რადგან ზემოდან უბრძანებენ თუ ვინ დააყენოს შემადგენლობაში. არ მესმის ასეთი გუნდები რატომ არსებობენ და მსგავს გუნდში თამაშს არ ვისურვებდი. „ლოკომოტივში“ მწვრთნელზე დაწოლა არ არსებობს, გამორიცხულია — სიომინი თავად წყვეტს ყველაფერს.

— კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეძებს კრეატიულ თავდამსხმელს, გამოდის, რომ მცველების გარჯით კმაყოფილი არიან.

— როგორ გითხრათ. შესაძლოა, ხვალ „ლოკომოტივს“ გამოუჩნდეს კარგი ვარიანტი და ერთი მცველით გაიზარდოს რაოდენობა. ამიტომ ხელმძღვანელობის ინტერვიუურებით ორიენტირება არ ღირს, მთავარია შრომა.

— რატომ ხდება, რომ ფეხბურთელები შეკრებებზე ძალიან ხშირად იღებენ ტრავმებს?

— ათასგვარი მიზეზი არსებობს. ყველას უნდა მწვრთნელს თავი სეზონის დაწყებამდე მოანონოს. მე მაგალითად, ერთ-ერთი სანწვრთნელი მატჩისას „დნიპროს“ თავდამსხმელმა სელეზნიოვმა ცხვირი გამიტეხა. შურისმაძიებელი ადამიანი არ ვარ, მაგრამ თუ დაუშსახურებელ შეურაცხყოფას მომაყენებენ, შემიძლია პასუხი გავცე. სელეზნიოვისთვის კი არაფერი მითქვამს. ექიმებმა დამამშვიდეს — ძვლები მთელია. კარგია, რომ ძლიერი ცხვირი აღმომაჩნდა. ხდება ისეც, რომ ფეხბურთელები დატვირთვებს ვერ უძლებენ, რადგან ახალი გამოსულები არიან შვებულებიდან და მიკოროტრავმები ხშირი შემთხვევაა.

— თქვენ არასდროს მიგიყენებიათ ვინმესთვის ტრავმა?

— მოხდა მსგავსი ფაქტი დაახლოებით 5 წლის წინ. უნებლიეთ „სენიტის“ ფეხბურთელი კერჟაკოვი დავამტვრიე. მაშინ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი სიომინი იყო და მეგონა ობსტრუქციას მომიწყობდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან განიცდიდა, იური პავლოვიჩს სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის.

— რატომ თქვით უარი საქართველოს ნაკრებში თამაშზე?

— არანაირი უარი არ მითქვამს. ჯერ ერთი, წინა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა არასწორად გამიგო, მეორეც, გადაწყვიტა ჩემს გარეშეც იოლად გავიდოდა ფონს. თუმცა, ახლა საქართველოს ნაკრებში ახალი მწვრთნელია — თემურ ქეცბაია. მას როგორც ძველ თანაგუნდელს, ისე ვიცნობ — 2 თუ 3 მატჩი გვაქვს ერთად ჩატარებული. მოხარული ვარ, რომ ნაკრების მწვრთნელად თემური დანიშნეს, ჩვენს ნაკრებში ქართველი მწვრთნელის დანიშვნა სადღეისოდ, ოპტიმალური ვარიანტი იყო. მასთან უკვე ქმნდა საუბარი, რაღაც საკითხები განვიხილეთ. მარტის თვეში თბილისში ამხანაგური მატჩი გველის ესტონეთის ნაკრებთან და როგორც თემურმა მითხრა, ჩემი ეიმედება. მე იმედი მაქვს, რომ ისევ გამომიძახებენ საქართველოს ნაკრებში. ამასთან, შევპირდი, რომ შეკრებებზე თავს არ დავზოგავ, მაგრამ ნაკრებში ჩემს ოფიციალურ დებრუნებაზე საუბარი ჯერ ადრეა — როდესაც მოწვევა მომივა, მაშინ ვილაპარაკოთ ამ თემაზე.

— შესწევს თუ არა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელ ჯანო ანანიძეს თავი დაიმკვიდროს თემურ ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებში?

— გასაგებია, რომ ჯანო ჩვენი მომავალია. მასზე კარგის მეტი ჯერ არაფერი გამიგია, მაგრამ საქმეში პირველად შემოდგომაზე ვნახე — ძალიან პატარა ბავშვის სახე აქვს. თუმცა, მისი ბავშვური სახე მაშინ გავიწყდება, როდესაც დიდ მცველებს იოლად ატყუებს და გამიცდილი მეკარეებისთვის გოლი გააქვს. „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგ მივულოცე გამარჯვება და შევპირდი, რომ მოსკოვში ურთიერთობა გვექნება.

— სეზონის ბოლოს თქვენი ბედი „სპარტაკზე“ იყო დამოკიდებული. მათ ქულაც რომ აეღოთ, „ზენიტთან“ ბრინჯაოს მედლებს მოიპოვებდით.

— ფინიშზე მატჩები რთულად იყო განაწილებული. სულის სიღრმეში სასწაულს ველოდით და „სპარტაკის“ იმედად ვიყავით, მაგრამ „სენიტთან“ გასვლითი მატჩის ჩატარება რთული. არც ჩვენ არ შეგიწვედა იმის ძალა, რომ „ხიმკი“ 10 ბურთით დაგვემარცხებინა. ამიტომ, ყველაფერი შენ თავზე უნდა ააწყო. სწორედ იმის გამო მომავალ სეზონში მხოლოდ პირველთან ვეცგმავთ. ჩვენ სოლიდურ ხელფასს გვიხდიან, საპასუხოდ კი ხან მე-7 ადგილზე ვართ და ხან — მეოთხეზე.

ახრიკ ცვეიბა: „ცხოვრების ნახევარი ფეხბურთს შევწირე“

ახრიკ ცვეიბა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ. გუდაუთაში დაბადებულმა ბიჭუნამ ფეხბურთის თამაში სოხუმის „დინამოში“ დაიწყო, შემდეგ 4 წლის განმავლობაში თბილისის „დინამოშიც“ ითამაშა. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ კი საცხოვრებლად ჯერ უკრაინაში, შემდეგ კი რუსეთში გადავიდა. მასვე ეკუთვნის ერთი უნიკალური რეკორდი — ნათამაშები აქვს 4 ნაკრებში: საბჭოთა კავშირის, თანამეგობრობის, უკრაინისა და რუსეთის ნაკრებებში.

კარიერის დასრულების შემდეგ ცვეიბა ისევ ფეხბურთში დარჩა, ხოლო თუ რას საქმიანობს, ამას ქვემოთ შეიტყობთ.

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— ვცდილობ ახალგაზრდა ფეხბურთელები კლუბებში მოვაწყო. შეიძლება ითქვას ეს საქმიანობა საფეხბურთო აგენტობას განეკუთვნება, მაგრამ ოფიციალურად არ ვარ. ახალგაზრდა ფეხბურთელებს სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში ვეხმარები. ჩემი მიზანია, აღმოვაჩინო ტალანტის მქონე ფეხბურთელი და შემდგომში სწორი მიმართულება მივცე.

— კარიერის დასრულების შემდეგ იცოდით, რომ ფეხბურთში დარჩებოდით?

— რა თქმა უნდა. ცხოვრების ნახევარი ამ საქმეს შევწირე, ხოლო რაღა ნიახლით დაკავებულიყავი, არ მინდოდა. ბევრი ჩემი მეგობარი, ვინც ფეხბურთს თამაშობდა, ამ საქმეს არ ჩამოშორდა და მათ შორის თავს კომფორტულად ვგრძნობ.

— სამწვრთნელო საქმიანობის სურვილი არ გაგჩენიათ?

— სიმართლე გითხრათ, არა. შესაძლოა იმიტომ, რომ გაუთავებელმა შეკრებებმა დამღალა. მინდოდა ცოტა მეტი თავისუფალი დრო მქონოდა, სამწვრთნელო საქმიანობა კი ამის საშუალებას არ იძლევა. თუ დიდი მწვრთნელი გინდა გახდე, ძალიან ბევრ ნიუანსებში უნდა ერკვეოდე. ჩემ თავს კი ყველაზე კარგად ვიცნობ. ჩემი მეგობრებიდან ბევრმა სამწვრთნელო საქმიანობა დაიწყო და ნარკომანირით დაავადდნენ ამ საქმით — უარის თქმა არა შეუძლიათ. კარგად ვხედავ, ბევრი მათგანი წარუმატებლობას როგორ განიცდის და ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს საქმე საჩემო არ არის.

— ვეტერანთა ტურნირზე ლეგენდების თასზე ითამაშებთ. ეს ფეხბურთია თუ უფრო შოუ?

— უფრო მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ორივეს ნაზავი — შოუ ფეხბურთით. გუნდები მარტო იმიტომ კი არ ჩამოდიან, რომ გაერთონ, მოგებაც უნდათ. თუმცა, შოუს ელემენტები უფრო სჭარბობს, ყველას უნდა იდეალური გადაცემა გააკეთოს, ანაც ძალიან ლამაზი გოლი გაიტანოს.

— სათამაშო ფორმას რამდენად ინარჩუნებთ?

— ყოველდღიურად ვარჯიში ძნელია, მაგრამ კვირაში ორჯერ ვთამაშობ ფეხბურთს. შაბათის მატჩში გამოჩნდება, ვინ როგორ ფორმაშია.

— თქვენმა გუნდმა შარშან ჩემპიონობა მოიპოვა, წელს თქვენი მიზანი ტიტულის შენარჩუნება იქნება?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ.

— ტურნირის ფორმატით კმაყოფილი ხართ? თამაშები დიდი და მინი ფეხბურთის ჰიბრიდის მოედანზე გიწევთ.

— მომწონს. სწორედ ის არის, რაც გვინდა. ახლა ისეთ ასაკში ვართ, დიდ ფეხბურთს ვერ ვითამაშებთ და პატარაც არ იქნება საკმარისი. იმედი მაქვს, ფეხბურთს კარგ სიჩქარეებზე ვითამაშებთ.

გიორგი ციმაკურიძე: „ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა“

უკვე ნახევარი სეზონია ქართველი ფეხბურთელი გიორგი ციმაკურიძე სლოვაკეთში თამაშობს. „ჟილინა“ იქაურ ჩემპიონატს ლიდერობს და ამაში ქართველი ფეხბურთელის წვლილიც არის — ციმაკურიძე სტაბილურად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში.

ციმაკურიძეს სლოვაკეთში შევეხმიანეთ და სამიანელო გეგმებზე ვესაუბრეთ.

— როგორ შეეწყვეთ სლოვაკეთის ჩემპიონატს და რატომ მიინდომაინც ეს ქვეყანა არჩიეთ სათამაშოდ. როგორც ვიცით, შემოთავაზებები სხვა გუნდებიდანაც გქონდათ.

— უკრაინაში ძალიან ახალგაზრდული ასაკიდან ვთამაშობდი. იქ 8 წელი გავატარე და შესაძლოა, ითქვას, ფეხბურთელადაც უკრაინაში ჩამოვყალიბდი. იქ თამაშისას მქონდა როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად გასახსენებელი მომენტებიც. საფეხბურთო გარემოს შეცვლა მნამდეც მქონდა გადაწყვეტილი, წინადადებები იაპონიიდანაც კი მქონდა, ბოლოს სხვა უკრაინულ გუნდებსაც უნდოდათ ჩემი ლუგანსკის „ზარიადან“ გადაყვანა, მაგრამ ჩემმა მენეჯერმა შვეიცარიდან იმუშავა და კარგი გუნდი მიპოვა. ყოველთვის მინდოდა ისეთ კლუბში მეთამაშა, რომელსც სარეპპიონო ამბიციები აქვს და ევროთასებზეც ითამაშებდა. ამ მხრივ „ჟილინა“ იდეალური ვარიანტი იყო.

— ფინანსური თვალსაზრისითაც მომგებიანი იყო სლოვაკეთში გადასვლა? რამდენადაც ვიცით, უკრაინაში ფეხბურთში სოლიდური თანხებია ჩადებული.

— მარტო ფინანსები არ წყვეტს ფეხბურთელის ბედს. ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკა იყო, რასაც „ჟილინაში“ მივაღწიე. არც ფინანსური მხრით ვარ უკმაყოფილო. მართალია, სლოვაკურ ფეხბურთში ისეთი თანხები არ ტრიალებს, როგორც უკრაინაში, მაგრამ მოიძებნებიან ნელგამართული კლუბებიც.

— ჩემპიონატის დონით თუ არის სხვაობა უკრაინასა და სლოვაკეთს შორის?

— ბევრმა შესაძლოა, იფიქროს, რომ სლოვაკეთის ჩემპიონატი ბევრად ჩამორჩება უკრაინისას, მაგრამ მე ასე ვერ ვიტყოდი. ამ ქვეყნებს დაახლოებით ერთნაირი ჩემპიონატი აქვთ. სლოვაკეთში თამაში ჩემთვის უფრო იმიტომ არის მომგებიანი, რომ უფრო იოლად შემიძლია აქედან მაღალი დონის ევროპული კლუბების ყურადღება მივიპყრო.

— „ჟილინასთან“ რამდენხნიანი კონტრაქტი გაკავშირეთ?

— ორწლიანი ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული და არ მგონია ამ დროის მანძილზე კლუბი შევიცვალო. მომავალში არ ვიცი რა და როგორ იქნება, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, უფრო ძლიერ გუნდში აღმოვჩნდე.

— ახლა როგორ ფორმაში ხართ?

— ნორმალურ ფორმაში. „ჟილინაში“ მატჩების უმრავლესობა ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე. ხან მარჯვენა მცველად ვთამაშობ, ხანაც დაცვის ცენტრში მთამაშებს მწვრთნელი.

— ახალგაზრდულ ნაკრებშიც ყოველთვის თამაშობდით. მეტიც, კაპიტნობდით კიდევაც იმ გუნდს. ეროვნულ ნაკრებში კი ჯერ არ გითამაშიათ.

— ამის გამო ყოველთვის ვწუხვარ. არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე არ ოცნებობდეს. ჩემი მიზანიც ეს არის და ყოველნაირად ვეცდები მწვრთნელების ყურადღება მივიპყრო. თუ ერთი შანსიც მომეცა, შევეცდები ჩემთვის სასარგებლოდ გამოვიყენო.

— ნაკრების ახალი მწვრთნელი თემურ ქეცბაია ხომ არ შეგხმიანებიათ?

— ჯერ არანაირი კონტაქტი არ ყოფილა ჩვენ შორის. იმედი მაქვს, ჩემთვისაც დადგება ის დღე, როდესაც ქეცბაია დამირეკავს.

მაჭახელა ანდერძიერეულიანს

მარჯო არჩევნებით ხელისუფლებას ვერ შევცვლით

უნდა ვიაროთ ერთიანი ხელისუფლებისკენ

ზურაბ წიწაგელი

ოპოზიციის მიმართ შეფასებები იცვლება. ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ოპოზიცია რუსეთიდან იმართება და რომ ოპოზიციის კურსი არა პროდასავლური, არამედ პრორუსულია, ანუ ოპოზიცია ოკუპანტის მხარეს იხრება და ამაში დიდი როლს რუსული დაფინანსება თამაშობს.

ოპოზიციას ხელისუფლების ეს პიარი არ აშინებს და თავის მხრივ ამტკიცებს, რომ სწორედ საკაკაშვილის ხელისუფლებაა რუსეთის ინტერესების გამტარებელი.

ქალთა პარტიის ლიდერი, გუგული მაღრაძე, დარწმუნებულია, რომ პიარისა და დიდი ფულის ხარჯვის პირობებშიც კი შესაძლებელია საკაკაშვილის ხელისუფლების დამარხება ადგილობრივ არჩევნებში.

საკაკაშვილის ყოფილი თანაგუნდელი ფიქრობს, რომ დასავლეთის მხრიდან საკაკაშვილის ხელისუფლება გარკვეულ წნეხშია მოქცეული, თუმცა ეს ღიად არ ჩანს. შესაბამისად, გუგული მაღრაძე არ გამორიცხავს, ხელისუფლებას სულ უფრო მეტის დათმობა მოუწიოს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის.

გთავაზობთ ინტერვიუს „ქალთა პარტიის“ ლიდერ გუგული მაღრაძესთან.

— ქალბატონო გუგული, როგორ შეაფასებდით ოპოზიციურ ფლანგზე არსებულ ვითარებას? იკვეთება, რომ ხელისუფლებამ შეძლო ოპოზიციის მართვა...

— ეს ჩვენნაირ პირობებში ძნელი არ არის, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ოპოზიციაზე ზეგავლენის ბევრი საშუალება არსებობს, დაწყებული იქიდან, რომ მას ხშირ შემთხვევაში არ აქვს ნორმალური ფინანსები, რაც ხელს უშლის მის ოპოზიციურ საქმიანობას. ესა თუ ის ოპოზიციური ძალები იძულებული არიან, ელექტრარული ფინანსური სახსრებისთვის ისეთი დაჯგუფებები შექმნან, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო, თითოეულს კარგი დაფინანსება რომ ჰქონდეს. გარდა ამისა, საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყოველთვის არსებობენ ოპოზიციურ ძალებში ისეთები, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო მეტ-ნაკლებად თამაშობენ ხელისუფლებისთვის საჭირო თამაშს, ნებსით თუ უნებლიეთ. ასე რომ, ძნელი არ არის დღევანდელი საქართველოს პირობებში ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის გარკვეული მანიპულირება, მე არ ვიტყოდი მართვას. გარდა ამისა, ოპოზიციაში არიან ძალები, რომლებიც უფრო მეტად არიან ადეკვატურნი საკუთარი თავის მიმართ. ზოგს უფრო მეტი შეხედულება აქვს საკუთარ თავზე, ზოგს, უბრალოდ, პოლიტიკაში ყოფნა სჭირდება იმისათვის, რომ პოლიტიკოსობაა მათი არსებობის ერთადერთი გზა, იმიტომ რომ პროფესიონალი პოლიტიკოსები არიან და ისინი ვალდებული და იძულებული არიან, სულ იტივტივონ პოლიტიკაში, ამის გამო რაღაც დაჯგუფებებში ხან უნდა შევიდნენ, ხან — გამოვიდნენ. ეს პროცესი ბუნებრივია ჩვენნაირი ქვეყნებისთვის. ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩემთვის არ არის გაუგებარი, რატომ ხდება ოპოზიციაში ესა თუ ის გადაადგილება. პოლიტიკოსებს უნდათ, პოლიტიკაში ჩანდნენ. ამის გამო იძულებული არიან, ხანდახან, ვთქვათ, რასაც ამბობდნენ წინა წელს, მეორე წელს შესაძლოა ის რაღაც სახეცვლილებით წარმოადგინონ. მე, მაგალითად, ისეთ პოლიტიკოსებს ვეკუთვნი, რომლებიც ძალიან იცავენ გარკვეულ ხაზსა და პრინციპებს და ამის გამოც საკმაოდ ძნელია მნიშვნელოვანი საარჩევნო წარმატების მიღწევა. პიროვნულად, პატივისცემით და იმის მხრივ, რომ ხალხი გისმენს და შენი სჯერა, მე ამას არ ვუჩივი, მაგრამ იმისათვის, რომ არჩევნებში წარმატებას მიაღწიო, მარტო ეს საკმარისი არ არის. ამის გამო ესა თუ ის ოპოზიციური ძალები იძულებული არიან, ისეთ გაერთიანებებშიც მოხვდნენ, რომლებშიც გარკვეული პერიოდის წინ შეუძლებლად მიაჩნდათ ყოფნა. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ ხელისუფლება მართავს სიტუაციას. ოპოზიციას დაფინანსების წყაროები თითქმის გადაკეტილი აქვს. ვერც ერთი ბიზნესმენი, გნებავთ, საშუალო ან დიდი ბიზნესის წარმომადგენელი, ვერ ბედავს, ოპოზიციას ფინანსურად დაეხმაროს. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს, როდესაც წლების მანძილზე ერთად არიან. იქ უკვე რაღაც გარკვეულ ფინანსურ დახმარებას ეს ბიზნესმენი უწევს ამ ოპოზიციას, მაგრამ დღეს რომ ვიღაცას ძალიან უნდოდეს, რომელიმე ახალ პარტიას დაეხმაროს და ეს პარტია იყოს ძალიან დამოუკიდებელი, პრინციპული და ოპოზიციური, ალბათ, ამას ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ გარისკავს. როცა ჩვენ ოპოზიციის მიმართ რაღაც საყვედურები გვაქვს და ხალხისგანაც ისმის გარკვეული უკმაყოფილება ოპოზიციის მიმართ, მე მაინც ვფიქრობ, რომ დღევანდელი ოპოზიციური ძალებიდან ნებისმიერის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი სიტუაცია იქნება ქვეყანაში, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების დროს არის.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ახალმოსული პოლიტიკური ძალა ყოველთვის ცდილობს, ქვეყნისთვის უფრო სასიკეთო საქმეები გააკეთოს; მეორე, რაც მთავარია: ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც გავლილი აქვს ოპოზიციაში ყოფნის სიძნელე, ვერასდროს იქნება ისეთი, როგორიც დღევანდელი ხელისუფლებაა, იმიტომ რომ დღევანდელი ხელისუფლება ხელისუფლებიდან ხელისუფლებაში მოსული ძალაა. მათ არ განუცდიათ გაჭირვების ის წლები, რაც ოპოზიციაში ყოფნასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ეს გამოცდილება ოპოზიციაში ხანგრძლივად ყოფნისა და მით უმეტეს ჩვენნაირ ქვეყანაში ოპოზიციად ყოფნის სიძნელეები ყოველთვის წარმართავს და აიძულებს ოპოზიციას, როცა მოვა ხელისუფლებაში, გაცილებით უფრო გაიგოს ხალხის სატკივარი, გაცილებით დემოკრატიული იყოს, პატივი სცეს იმ უფლებებს, რომლებიც ამ ხელისუფლების პირობებში დარღვეულია როგორც ხალხის, ისე ოპოზიციისთვის. ამიტომ ყოველთვის შევეწინააღმდეგები იმას, ვინც იტყვის, რომ არაფერი შეიცვლება ხელისუფლებაში, გინდა ნაციონალები იყვნენ, გინდა ოპოზიცია. დღევანდელი ოპოზიციიდან მოსული ნებისმიერი ძალა გაცილებით უკეთესი იქნება ხელისუფლებაში, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებაა.

— ხელისუფლების რეიტინგმა მართლა აიწია? ოპოზიციის ნაწილს ამის არ სჯერა.

— ხელისუფლება ძალიან ბევრს შრომობს. მას აქვს ამის როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია, მშენებლობები გრძელდება და ამით იქ დასაქმებულები და მათი ოჯახები კმაყოფილი არიან. საზოგადოების ერთი ნაწილი იმის გამო უჭერს მხარს ამ ხელისუფლებას, რომ დასაქმებულია და ხელფასის დაკარგვის ეშინია. ხელისუფლებამ წამოიწყო ინგლისურისა და კომპიუტერის უფასოდ შესწავლის კურსები. კურსები ისეა დაგეგმილი, რომ მაისში მთავრდება და ივნისიდან დაელოდება ეს ხალხი დასაქმებას. შესაბამისად, ეს ადამიანები ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდებიან, იმ იმედით, იქნებ დაგვასაქმონო. ამას გარდა, არის გარკვეული სხვა სახის მუშაობა ხალხთან, რომელთა ნაწილზეც ასეთი მიდგომა მოქმედებს და ხელისუფლების სასარგებლოდ აკეთებენ არჩევანს. გარდა ამისა, ხელისუფლებას აქვს უზარმაზარი რესურსი მანიპულაციისა. მაგალითად, დღეისათვის დაახლოებით 300 ათასამდე ნარკოტიკების მომხმარებელია. ის კანონი, რომელიც დღეს მოქმედებს, გარდა ფინანსური სანქციებისა — 500-ლარიანი ჯარიმა და ა.შ., იძულებული არიან, ითანამშრომლონ პოლიციასთან. ეს არის ამომრჩეველთა უზარმაზარი არმია; ესეც ხელისუფლების მეორე წყაროა. გარდა ამისა, ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში არიან საჯარო სამსახურებში დასაქმებულები, რომლებიც ამ ხელისუფლების მიერ არიან დაქირავებული. ასე რომ, დღეს ხელისუფლება ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს ამაში. გააკეთეს გამგეობებთან იურიდიული დახმარების ცენტრები, სადაც ხალხი დასაქმეს და ამით მხარდამჭერთა რიგები გაზრდეს. ხელისუფლებას აქვს ფული, რომ ამ ადამიანებს მისცეს ხელფასი და ისინი ამით დაიინტერესოს. ბუნებრივია, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამათ შორის ცოტა თუ იქნება, ვინც მოახერხებს, თან ამათთან იმუშაოს და თან ხმა მისცეს ოპოზიციას. როდესაც ამბობენ, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობით, ყოველთვის უნდა გავიცნობიეროთ, რომ ასეთი ტიპის ხელისუფლება ვერ იქნება დაინტერესებული თითოეული ადამიანის კეთილდღეობით, იმიტომ რომ, ადამიანები თუ არ არიან ხელისუფალზე დამოკიდებულნი თავიანთი საარსებო მინიმუმით, ისინი გაცილებით თავისუფალნი იქნებიან. ჩვენთან ძლიერი საშუალო კლასი რომ იყოს, ისინი გაცილებით უფრო თამამად დაეხმარებოდნენ ოპოზიციურ ძალებს და ხმის მიცემასაც გაბედავდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ის ფაქტი, რომ დღეს მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს, ხელისუფლებას იმის საშუალებას აძლევს, რომ მცირე თანხებითაც მოახდინოს ხალხთან მანიპულაცია და მათი ხმების მოგროვება. ასე რომ, ხელისუფლება ამ მიმართულებით ძალიან ინტენსიურად მუშაობს, ოპოზიციას კი რეგიონებში გასვლისა და შეხვედრების ორგანიზების ფინანსური რესურსიც არ გააჩნია. გარდა ამისა, რეგიონებში გამგზავრებასა და იქ ხალხის შეკრებას სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც ახლავს. თუმცა, ხელისუფლებამ რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც ვხედავთ, რომ არაფერი რეალური არ კეთდება.

— ანუ ხელისუფლება შეძლებს ასეთი პოლიტიკით მხარდამჭერთა რაოდენობის გაზრდას?

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ძალიან ბევრ რამეს „აკეთებს“, რათა ხალხს თვალებში ნაცარი შეეყაროს და გარკვეული პროექტების ფარგლებში ფულიც გადაუხადოს, მე მაინც ვფიქრობ, რომ ხალხი ხვდება, ამ ხელისუფლების ხელში ქვეყანასა მომავალი არ აქვს. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და არანაირი ფინანსური რესურსი არ ეყოფა. იმედი მაქვს, მოსახლეობა ამას გააანობიერებს და არჩევანს სწორად გააკეთებს.

— ხელისუფლება ამტკიცებს, რომ თავად დასავლური კურსი აქვს, ოპოზიცია კი რუსეთისკენ იხრება, ანუ ვექტორი შეცვალა...

— ჩემი აზრით, აქ არის წმინდა საარჩევნო ტექნოლოგია. იმ მოვლენების გამო, რომლებიც ქვეყანაში ბოლო წლებში ხდება, საზოგადოების ნაწილმა დაინახა, რომ დასავლეთი და აშშ საქართველოს ქმედით დახმარებას ვერ უწევენ. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად დასავლეთზე ვართ მიერთებული, ქართველები უფრო მეტს ელოდნენ ამერიკისგან, რადგან მუდმივად ესმოდათ, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარია და ა.შ. ამიტომ ხალხში გარკვეული გულგატეხილობაა, განსაკუთრებით — 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ. ხალხის ნაწილი ფიქრობს, რომ უკეთესი ხომ არ იქნებოდა საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის დათბობა იმ ფონზე, რომ რუსეთში ბევრი ქართველი და მათი მეშვეობით აქ არაერთი ოჯახი არსებობს. პოლიტიკოსი, რომელსაც უნდა ხმების მოპოვება, ასეთ შანსს ყოველთვის ანგარიშს უწევს. ამიტომ ისინი ცდილობენ, ამ ხალხს დასჯერდნენ და იმათი ხმები თავად მიიღონ, ვინც ხმას არ მისცემს არც ხელისუფლებას და არც პროდასავლურ ძალებს. ამიტომ არის, რომ ცოტა ხნის წინ ძალიან პატრიოტული ძალები იყვნენ და იმიჯიც ჰქონდათ, დღეს კი უკვე რუსეთთან ურთიერთობაზე ლაპარაკობენ. ეს არის წმინდა საარჩევნო ტექნოლოგია, რომ იმ ამომრჩეველთა ხმები, რომელთაც რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა აწყობთ, მათთან მივიდეს. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ ჯერ ხელისუფლებაში უნდა მოხვიდე და მერე აანყო ურთიერთობა რუსეთთან, იმიტომ რომ ხელისუფლებაში მყოფზეა დამოკიდებული რელაური ურთიერთობის დათბობა რუსეთთან. ამ ადამიანებს ხმების მოპოვება უნდათ და რას იზამ, პოლიტტექნოლოგიას იყენებენ. მე არ მივეკუთვნები იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ, რუსეთთან კავშირით მოიპოვონ საქართველოში ნებისმიერი ხმები.

— რაიმე სახის კონსულტაციები თუ აქვს ქალთა პარტიას ნოღაიდელთან და მის გუნდთან?

— ადრე ჩვენ გვქონდა გარკვეული შეთავაზებები იმისა, რომ გავერთიანებულიყავით. მე მაშინ ვთქვი, თუ იქნება დიდი ოპოზიციური გაერთიანება, სადაც ყველა პარტია შევა ამ დიდ ბლოკში თავიანი თავისებურებებით და შედარებითი დამოუკიდებლობა ექნება მოქმედებისა, ჩვენი პარტია შევიდოდა ამ გაერთიანებაში. მაგალითად, როცა ქალთა პარტია იყო მტრადიციონალისტებთან ერთად ბლოკში, იმიტომ იყო ეს ბლოკი ჩემთვის მისაღები, რომ ჩვენ აბსოლუტურად დიდი დამოუკიდებლობა გვქონდა ჩვენი აზრების გამოხატვის კუთხით. რაღაცებში განსხვავებული შეხედულება გვქონდა, მაგრამ არ მახსოვს, კაკო ასათიანს ეთქვას, რატომ აკეთებთ ასეთ განცხადებებს, ეს ჩვენს შეხედულებებთან ახლოს არ არისო. თუ ასეთი შედარებითი დამოუკიდებლობა იქნება და გაერთიანებაზე მოხდება არჩევნებისთვის, მე ასეთ გაერთიანებაში შევალ, მაგრამ, თუ ეს არის რამდენიმე პარტიის გაერთიანება, ასეთ შემთხვევაში, ჯერ ჯერობით, ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ რომელიმე ბლოკში გავერთიანდე. საერთოდ, ეს ადგილობრივი არჩევნებიც არ არის ისეთი მომხიბლავი, იმ გაგებით, რომ ამ არჩევნებში ჩაბმასაც ძალიან დიდი ფინანსური და ორგანიზაციული ძალისხმევა უნდა. ჩემთვის, მაგალითად, გაცილებით უფრო საინტერესოა საპარლამენტო და საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობა, ისეთი კანონების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მთელი ქვეყნის ისტუაციას შემოაბრუნებს და შეცვლის, ვიდრე ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველა პარტიას აქვს არჩევანის უფლება. ისინი, ვინც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობენ, სწორად იქცევიან, იმიტომ რომ პარტია უნდა იყოს აქტივობასა და ცვლილებებში. თუ ადამიანებს არჩევანის თავისუფლად გაკეთების საშუალება ექნებათ, ეს არჩევნები გამოვა. მე, როგორც ერთი პიროვნება, ყოველთვის ვამბობ: ხელისუფლების ძალიან დიდი დანაშაული იყო, როდესაც მათ ვერ მოახერხეს, გაემიჯნათ პოლიტიკური პრინციპულობა და ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყანასთან, რაც კარგად გააკეთა ბალტიისპირეთმა. თუ რომელიმე ოპოზიციური ძალა ამას მოახერხებს, მისასალმებელი იქნება.

— ოპოზიციის ნაწილს იმედი ჰქონდა და აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე დასავლეთის მხრიდან სერიოზული პოლიტიკური წნეხი იქნება და რომ დასავლეთი არ დაუშვებს გაყალბებასთან შეგუებას...

— დასავლეთი საკმაოდ მკვეთრად გამოხატავს თავის პოზიციას. ორიოდე დღის წინ ვენეციის კომისიამ ძალიან ნათლად თქვა ის, რასაც ჩვენი ოპოზიციაც და ყველა გონიერი ადამიანიც დიდი ხანია იმეორებს. მე, მაგალითად, ამას მაშინაც ვამბობდი, როცა უმრავლესობის წევრი ვიყავი, რომ პრეზიდენტის ძალაუფლების ასეთი აბსოლუტიზაცია არ შეიძლება. აუცილებელია ბალანსი დამყარდეს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. ეს აუცილებელია და სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს. გარდა ამისა, ვენეციის კომისიამ ძალიან კარგად გამოხატა, რომ კანონი „მანიფესტაციებისა და შეკრებების შესახებ“, რომელიც 9 აპრილის აქციების შემდგომ სასწრაფოდ მიიღო ხელისუფლებამ, შესასწორებელია; რომ ეს კანონი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებლად უნდა იქნეს ამოღებული ის ნორმები, რაც საერთაშორისო სტანდარტებში არ ჯდება. არაერთხელ ითქვა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იქნეს მიღწეული. ასე რომ, შენიშვნების დონეზე დასავლეთი პრინციპულია. არ ვიცი, კულუარებში რას ეუბნებიან, მაგრამ არაერთგზის ყოფილა შემთხვევა, როდესაც რომელიმე ქვეყნის ელჩისთვის რიცა მოიქვამს, რატომ არ ახდენთ ზეწოლას, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი, უთქვამთ, ამას გარეთ არ ვლაპარაკობთ, მაგრამ კულუარებში საკმაოდ მკაცრად მივუთითებთ თქვენს პრეზიდენტს, რა შეცდომები აქვს და რა არასწორი ნაბიჯები აქვს საერთაშორისო არენაზეო. ასე რომ, დასავლეთი პირდაპირ რომ ჩაერიოს სხვა ქვეყნის საქმიანობაში, ძალიან იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. შიდა პროცესები უნდა იყოს ისეთი, რომელის მიმართაც დასავლეთი გამოხატავს ან მხარდაჭერას, ან პირიქით. ამიტომ ნამდვილად არ არის ახლა დასავლეთიდან პრეზიდენტის დიდი მხარდაჭერა. პირიქით, ძალიან ცუდია, რომ საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო არენაზე სრულ იზოლაციაშია და არავინ არაფრად გვაგდებს. მგონი, აღარც არავის ენაღვლება, აქ რა მოხდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის დაინტერესება აღარ არის, რაც ადრე იყო. ამიტომ ყველაფერი შიდა პროცესებზეა დამოკიდებული. იმიტომ იკლავს ხელისუფლება თავს და ყურებზე დგება ადგილობრივი არჩევნების წინ, რომ ეს არჩევნები ისე ჩაატაროს, დიდი გაყალბება არ დასჭირდეს, ანუ გაყალბება გარეგნულად არ იყოს გამოხატული. ხელისუფლებას უნდა, ბოლომდე იმუშაოს იმისათვის, რომ თავისთვის ამ არჩევნებზე დადებინი შედეგები მიიღოს.

— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას უკვე ამ ეტაპზე აქვს გარანტირებული ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვება. თქვენც ასე ფიქრობთ? „ალიანსი საქართველოსთვის“ დარწმუნებულია, რომ შეძლებს სააკაშვილს თბილისი წაართვას...

— მე ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებას გამარჯვება გარანტირებული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ბევრ რამეს აკეთებს, ყველაფერი ხალხის აქტიურობაზეა დამოკიდებული. თუ ის ადამიანები არ დაიზარებენ არჩევნებზე მისვლას, ვინც ფიქრობს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ქვეყანას მომავალი არ აქვს და ხმას ოპოზიციას მისცემენ, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება გამარჯვებას პირველ ტურში ნამდვილად ვერ მიაღწევს. ყველაფერი დამოკიდებულია ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მუშაობაზე, მაგრამ, სულ რომ არ გაინძრეს არც ერთი ოპოზიციური პარტია და რიგითმა ადამიანებმა იაქტიურონ ხელისუფლების შესაცვლელად, საკაკაშვილი და მისი რეჟიმი დამარცხდება. მოსახლეობის აქტიურობაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. თუ მართლა გამოვხატავთ ჩვენს სულისკვეთებას, მართლა მოვუგებთ სააკაშვილს ამ არჩევნებს.

— დაბოლოს, ბურჯანაძე და მისი თანამოაზრეები ფიქრობენ, რომ მხოლოდ რადიკალური ნაბიჯებით არის შესაძლებელი ამ ხელისუფლების შეცვლა. თქვენ აქციების მომხრე ხართ თუ არჩევნებში მონაწილეობის?

— ყველაზე გამართლებულია გაყალბებული არჩევნების შემდეგ ძლიერი საპროტესტო აქციები. თუ ოპოზიციამ გაიმარჯვა და ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბებით კიდევ ერთხელ გაგვაცუცურაკა, მაშინ საპროტესტო აქცია იქნება უფრო მხარდაჭერილი და გამართლებული. ამიტომ ვთვლი, რომ არსებობის უფლება აქვს არჩევნებსაც და აქციებსაც. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე, პირადად, არ მიმაჩნია, რომ არჩევნებმა კიდევ ერთხელ უნდა დაანახვოს ყველას, რომ ჩვენ გვაკვს ხელისუფლება, რომელსაც არ შეუძლია ჩაატაროს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, რაც მოხდა უკრაინაში. შინაგანად მე მაინც მიმაჩნია, რომ არჩევნების გზით ძნელი იქნება ამ ხელისუფლების წასვლა. მაგრამ ყველა ცდა უნდა იყოს გამოყენებული სწორედ იმის გამო, რომ ხელისუფლებს სათქმელი არ ჰქონდეს, თქვენ არ გინდათ არჩევნებში მონაწილეობაო.

სექს-სკანდალები პოლიტიკაში

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა პოლიტიკაში სექსუალური სკანდალების გრძელ მწკრივს დაუდო დასაბამი. 1998 წლის იანვარში ამერიკის პრესაში სექს-ბომბი აფეთქდა — ჟურნალისტებმა პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და თეთრი სახლის სტაჟიორის, მონიკა ლევინსკის სკანდალური ურთიერთობის შესახებ შეიტყვეს.

გაურკვეველია, თუ რა არის ამის მიზეზი, მაგრამ წარსულში თუ სექს-სკანდალების ცენტრში ძირითადად ახალგაზრდები ხვდებოდნენ, დღეისათვის, ტელევიზიისა და ინტერნეტის განვითარების ეპოქაში მათ რიცხვში ჭაღარათმიანი „ცუდი ბიჭებიც“ გამოერივნენ.

შესაძლოა, მიზეზი თანამედროვე მედიცინის წარმატებაა, ან შესაძლოა, ასაკში შესული „მეამბოხე“ თაობა თავისას არ იშლის, ყოველ შემთხვევაში, დღეს ხშირად სექს-სკანდალების ფიგურანტები 50-60 წლის პოლიტიკოსები არიან.

გთავაზობთ პოლიტიკოსთა სექს-სკანდალების თავისებურ რეიტინგს, რომელსაც ისრაელის ყოფილი პრეზი-



მორლი სადომაზოხისტური ვიდეოჩანაწერით ჩავარდა, სადაც იგი მეძავთან და მეგობარ ქალთან, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის, მი5-ის ერთ-ერთი აგენტის ცოლთან ერთად არის აღბეჭდილი.

კადრში მამაკაცი, რომელიც გარეგნულად მოსლის ძალიან ჰგავს, სადო-მაზოხისტურ თამაშში ხუთ მეძავთან ერთად ერთობა, თანაც მან თამაშების ადგილად ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი და წამების საკანი აირჩია. სკანდალურ ფირზე კარგად ჩანდა ნაცისტური სიმბოლიკა, ამიტომ მოსლის მაშინვე განსვენებული მამა გაახსენეს, რომელიც თვით ადოლფ ჰიტლერთან მეგობრობდა.

ფუნქციონერმა და პოლიტიკოსმა პოსტის შენარჩუნება კი მოახერხა, იძულებული გახდა ელიარებინა, რომ მსგავსი გართობები მისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ნაცისტობაზე კატეგორიული უარი განაცხადა და თამაშის ადგილად ნაცისტური ბანაკის შერჩევას სულელური შეცდომა უწოდა. ლიბერალურ ევროპაში, პურიტანული ამერიკისაგან განსხვავებით, მოსლი იოლად გადარჩა და პოსტიც შეინარჩუნა.

ნიუ იორკის 48 წლის გუბერნატორი ელიოტ სპიტცერი კი მორალისათვის მებრძოლის იმიჯს შეეწირა. სამაგალითო მამა, რომელმაც პროსტიტუციისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური კამპანიით გაიოქვა სახელი, თავისუფალ დროს თავადაც ხშირად ერთობოდა „გამძაღხების გოგონების“ მომსახურებით, რომლებსაც სააუში 5500 დოლარს უხდიდა.

გუბერნატორი საროსკიპო „ემფერიორის ქლაბ ვიპ“-ის ხშირი სტუმარი იყო. სკანდალი მისი გადადგომით, დაპატიმრებებით დამთავრდა, ერთმა ფიგურანტმა კი, ელიტური კლუბის დიასახლისმა „მადამ დიქთორიქთ ქოლამბიამ“ თავიც კი მოიკლა.

სპიტცერი მის უბის წიგნაკში, სადაც მის გარდა სხვა ამერიკელი პოლიტიკოსებიც მოხვდნენ, მე-9 ნომრად ფიგურირებდა. წმინდა ვალენტინის დღისათვის მან პატარა, ლამაზი შავგვრემანი ქალი, კრისტენი შეუკვეთა, რომელიც სულ რაღაც 48 კილოგრამს იწონიდა.

ეს პატარა ქალი 22 წლის ეშლი ალექსანდრა დიუპრე აღმოჩნდა, რომელმაც რიტმ-ენდ-ბლუზის სცენაზე კარიერა სწრაფად გაიკეთა. კრისტენის ფსევდონიმს სწორედ დიუპრე იყო ამოფარებული და ნიუ იორკის გუბერნატორთან ხშირად სტუმრობდა.

ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ელიტურ მეძავად არცთუ დალხინებული ცხოვრების გამო იქცა. ინტერნეტ

თლა, თავად მაცდუნა, მე ძალა არ დამიტანებიაო.

ბილ კლინტონის იმიჯი დღეს მის მეუღლეს, ჰილარი კლინტონს უშლის ხელს, რომელიც თეთრ სახლში დაბრუნებას ცდილობს, ოღონდ პირველ პრეზიდენტ ქალად.

თანამდებობა ვერც ამ ჟანრის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, მსოფლიო ბანკის ყოფილმა ხელმძღვანელმა პოლ ვულფოვიცმა შეინარჩუნა. სასიყვარულო სკანდალის შემდეგ მისი გადადგომა მისივე ხელქვეითებმა, უფრო სწორად, ბანკის მუშაკთა ასოციაციამ მოითხოვა, სადაც 10 ათასი ადამიანია გაერთიანებული.

როგორც გაირკვა, ვულფოვიცი ბლოგში თავისი მუსიკალური ნაწარმოებებიც გამოფინა.

სპიტცერის შემთხვევა მოწმობს, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის პოლიტიკოსების ორპირობასა და ფარისევლობას. მან სახელი იმით გაითქვა, რომ კორუფციისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ილაშქრებდა, თავად კი მეძავების მომსახურებით რეგულარულად სარგებლობდა.

რუსეთში სექსისა და პოლიტიკის სფეროში იური სკურატოვმა გამოიჩინა თავი, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა. მისი სკანდალი სპიტცერის სკანდალზე ერთი წლით ადრე გაღვივდა, მაგრამ მას იგივე ბრალდებები წაუყენეს. ვიდეოჩანაწერზე, რომელიც კეთილისმსურველებმა გაუხერხეს, ჩანს, თუ როგორ ერთობა სკურატოვის მსგავსი ადამიანი ორ მეძავთან ერთად სასტუმროს ნომერში.

სპიტცერის ნაცვლად ნიუ იორკის გუბერნატორად არჩეულმა უსინათლო შავკანიანმა პოლიტიკოსმა, დემოკრატმა დევიდ პატერსონმა ყოველი შემთხვევისათვის, ჭუჭყიანი თეთრეული წინასწარ გამოაშუერა. თანამდებობის დაკავებისთანავე აღიარა, რომ ადიულტერის ცოდვისაგან თავისუფალი არ იყო, მაგრამ დანაშაული მოინანია, გამოსწორდა და ქორწინება შეინარჩუნა.

რაც შეეხება ბილ კლინტონს, სექსუალური სკანდალების ჟანრის ფუძემდებლს ალბათ წარდგენა არ სჭირდება, მისი ისტორია ყველამ კარგად იცის, გოგონას კაბა წაუხდინა, თავად კარიერა გაიფუჭა, თანაც თავი იმარრეგულარულად ურიცხავდა მსხვილ თანხებს თავის საყვარელ შაჰა რიზას, რომელიც სექს-სკანდალამდე ორი წლით ადრე მსოფლიო ბანკიდან სახელმწიფო დეპარტამენტში გადაგზავნეს. იმავდროულად, ვულფოვიცის ინსტრუქციებით მას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ისედაც მსხვილ ხელფასზე წელიწადში 60 ათასი დოლარი დუმატეს. შედეგად მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის რჩეული შაჰა რიზა თეთრი სახელმწიფო დეპარტამენტის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ქალად იქცა — კონდოლიზა რაისზე მეტ ხელფასს იღებდა.

ამ ისტორიაში სასიამოვნო ალბათ მხოლოდ ის არის, რომ ბანკირის შეყვარებულად სასიამოვნო გარეგნობის, მაგრამ მაინც სრულიად ჩვეულებრივი, შუა ხნის ქალბატონი იქცა და არა უწლოვანი სტაჟიორი ან სიყვარულის რომელიმე „ტაძრის“ ფასიანი ქურუმი.

ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი კი არცთუ დიდი ხნის წინ ქერათმიან სტიუარდესასთან კავშირზე ჩავარდა. სკანდალმა ჩეხურ პრესაში მას შემდეგ გამოუთნა, რაც პრაღის ერთ-ერთ ძვირადღირებულ სასტუმროში ფარული კამერით გადაღებული კადრები დაიბეჭდა. ამ ფოტოზე ჩანს, თუ როგორ გამოდის ჩეხეთის პრეზიდენტი სასტუმროდან ახალგაზრდა საყვარელთან ერთად და პრეზიდენტის ლიმუზინში ჯდება.

66 წლის პრეზიდენტის საყვარელი სტიუარდესა პეტრა ბედნაროვა აღმოჩნდა. როგორც ამბობენ, იგი 28 წლისაა, ზოგი 25-საც არ აძლევს. სად და როგორ გაიცნო პრეზიდენტი და მათ ურთიერთობაში ვინ გამოიჩინა ინიციატივა, ცნობილი არ არის. სექსუალური სკანდალი ვაცლავ კლაუსის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო.

კლაუსმა ცოლის ღალატი საჯაროდ აღიარა და მეუღლეს და ჩეხეთს პატიება სთხოვა. განაცხადა, რომ იმედი აქვს, შეძლებს შეინარჩუნოს ურთიერთობა მეუღლე ლივიასთან, ვისთანაც 40 წლიანი ქორწინება აკავშირებს, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ეს ადვილი არ იიქნება.

არავინ იცის, რა ხდება პრეზიდენტის ოჯახში ამჟამად, მაგრამ მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ამ სკანდალს ზეგავლენა არ მოუხდენია.

ცოტა ხნის წინ კი ცნობილი გახდა, რომ არც ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი ყოფილა ფრთაწესხმული ანგელოზი და მასაჟისტ ქალთან მასაც ჰქონდა „რაღაცა“.

ყოფილი პრემიერი ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტს უმიზნებდა და სკანდალები არაფერში სჭირდებოდა. ლეიბორისტების პარტიისათვის სახსრების შემგროვებელმა, ლორ ლევიმ განაცხადა, რომ მასაჟის ძალიან ხანგრძლივი სეანსების შესახებ შეკითხვა პირდაპირ რომ დაუსვეს, ტონი ბლერი განითლდა.

„ჩვენი გუნდის წამყვანი წევრები მარწმუნებდნენ, ამეხსნა მისთვის, რომ პირად მნვრონელთან და მასაჟისტთან ურთიერთობა ამომრჩევლებსა და კოლეგებს შორის პოპულარობას არ შემატებდა, მისი კარიერაც კი შეიძლება დაეღუპა. კეროლ კეპლინი ხშირად სტუმრობდა პრემერ-მინისტრის ქალაქგარეთ მდებარე რეზიდენციაში. ამბობენ, რომ მასაჟს უკეთებდა“, — ასეთი რამ თქვა ლევიმ კოლეგის შესახებ.

როგორც კეროლის ყოფილი მეგობარი ვაჟი ამბობენ, მათ ნამდვილად ჰქონდათ ინტიმური კავშირი და კეროლმა ბლერის შესახებ ისეთი რამ იცის, რისი გამოქვეყნებაც ბლერის კარიერას სამუდამოდ გაანადგურებს.



კანადის საგარეო საქმეთა მინისტრს მაქსიმ ბერნიეს კი ორიოდე წლის წინ პოსტის დაკავება პიკანტური სკანდალის შემდეგ მოუხდა, რომელშიც მისი საყვარელი და დაკარგული დოკუმენტები აღმოჩნა გარეული.

თავისი მეგობარი ქალის 38 სლის ჯულია კუილარდის ბინაში მას საიდუმლო დოკუმენტები დარჩა. კუილარდი წარსულში ბაიკერული კრიმინალური ბანდის, „ჯოჯოხეთის ანგელოზების“ წევრებთან იყო დაახლოებული და მას შემდეგ, რაც ამ ამბავმა პრესამდე მიაღწია, საგარეო საქმეთა მინისტრს იგი პორტფელად დაუჯდა.

დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური ლიდერის მორალურ სახეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მსგავსი სკანდალები აქ დიდ რეზონანს იწვევს. ამერიკასა და ევროპაში მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

თუმცა, პოლიტიკოსების სასიყვარულო თავგადასავლებს შორის რომანტიკული ისტორიებიც გვხვდება. ასე, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ფოტომოდელი კარლა ბრუნი ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ორივენი განქორწინებული იყვნენ. მათი ურთიერთობა დიდი პოლიტიკის ფონზე და აღმოსავლეთში ეგზოტიკური მოგზაურობების დროს განვითარდა. ასაკით ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მათი კავშირი არათანაბარ ქორწინებას არ ჰგავს. სარკოზი თუ პრეზიდენტია, არც კარლა ბრუნია ღარიბი და ნაკლებად ცნობილი ადამიანი. ბოლოს და ბოლოს, მათი ურთიერობა ქორწინებით დაგვირგვინდა.

ამომრჩეველს „წესიერი“ სასიყვარულო ისტორიები ნაკლებად იზიდავს. ფრანგული მედიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბრუნისთან ურთიერთობამ სარკოზის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, სამშობლოში პოპულარობა ვერ შემატა, პირიქით, ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური რეიტინგი შემცირდა.



ჩვენს საყვარელ

გიორგი უძილაურს

ვუღოცავთ დამადგმის დღეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, მოდნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და ჟურნალისტურ საქმიანობაში. უფლის წყალობა ან მოგვეხმაროს!

სიყვარულით, „ახალი თაობა“



სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს სექსუალური დამოკიდებულებისგან განკურნებას ურჩევენ

სამხრეთ აფრიკის პარლამენტის ერთ-ერთი გავლენიანი წევრის, კენეტ მეშოეს განცხადებით, ქვეყნის პრეზიდენტმა ჯეიკობ ზუმამ სექსუალური დამოკიდებულების მკურნალობის კურსი უნდა გაიაროს.

ამ განცხადებით დეპუტატი მას შემდეგ გამოვიდა, რაც ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ აფრიკის 67 წლის პრეზიდენტს, რომელსაც ოფიციალურად სამი ცოლი ჰყავს, ცოტა ხნის წინ ქორწინების გარეშე შვილი ეყოლა.

ქვეყნის მმართველმა აფრიკის ეროვნული კონგრესის პარტიამ დაადასტურა, რომ ზუმამ ბავშვის დედას კომპენსაცია გადაუხადა.

ბავშვის დედა 39 წლის სონონა ხოზა, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის და პრეზიდენტის ახლო მეგობრის შვილია.

ქორწინების გარეშე შეძენილი ბავშვისათვის სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ტომში დედის ოჯახისათვის კომპენსაციის გადახდა გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს, რაც იმას მოწმობს, რომ ზუმა ბავშვს თავის შვილად აღიარებს.

ქვეყნის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა კენეტ მეშოემ განაცხადა, რომ ქორწინების გარეშე შეძენილი ბავშვი მოწმობს იმას, რომ ქვეყნის ლიდერი უსაფრთხო სქესობრივი კავშირის წესებს არ იცავს.

სამხრეთაფრიკელი ქრისტიან-დემოკრატების აზრით, ეს ინფორმაცია სკანდალურია, რადგან იგი შიდსის პრობლემის აქტუალობასთან დაკავშირებით ქვეყანაში უსაფრთხო სექსის პროპაგანდას უთხრის ძირს.

შიდსი სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ინფიცირებულთა რაცხვი 5 მილიონს აღწევს და აივ-ინფექციის გავრცელების დონით სამხრეთ აფრიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

პრეზიდენტი ზუმა ხუთჯერ იყო დაქორწინებული, ამჟამად მას სამი ცოლი ჰყავს, ერთზეც დანიშნულია. გავრცელებული ცნობების თანახმად, სხვადასხვა ქალებთან მას 19 შვილი ჰყავს.

ცნობილი არ არის, მოხვდა თუ არა ამ ბავშვებს შორის ის ახალშობილი, რომელმაც სამხრეთ აფრიკაში პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია.

მმართველი პარტია, აფრიკის ეროვნული კონგრესი, პრეზიდენტს უჭერს მხარს და აცხადებს, რომ ქვეყნის ლიდერს კანონი არ დაურღვევია და ორი სრულწლოვანი ადამიანის ურთიერთობაში სამარცხვინო არაფერია.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის სასიყვარულო თავგადასავლები სამხრეთ აფრიკაში სკანდალის მიზეზი პირველად არ ხდება. 2006 წელს შიდსით ავადმყოფ ქალთან სქესობრივი ურთიერთობისათვის ბოდში მოიხადა.

საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პრეზიდენტმა იცოდა ქალის ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ თავი არ დაუზღვევია.

მაჩხდა ფანდი თეურს

არიან რობენი: „ბაიერნში ოჯახური ატმოსფეროა“

დასაწყისი მე-16 გვერდზე

იქმნება, რადგან ეს ერთი ჩვეულებრივი ურთიერთგაგების შემადგენელი ნაწილია.

— გულშემატკივრებს უფრო თქვენი წითელი რეტტუზები მოსწონთ.

— კიდევ მაქვს შავი, მაგრამ ნაცრისფერი ყველას მირჩევნია.

— კარგით, ეს თემა ამოვწეროთ და ახლა თქვენს სამშობლოზე ვისაუბროთ. გერმანელებს უყვართ ჰოლანდიელებზე ანეკდოტების შეთხზვა. თქვენ შეგიძლიათ გვითხრათ რომელიმე ხუმრობა გერმანელებზე?

— არა, ამ საკითხში ძლიერი არ ვარ. ამის გარდა, ჰოლანდიელები ანეკდოტებს გერმანელებზე კი არა, ბელგიელებზე იგონებენ.

— ყველა ქვეყანას თავისებური დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აქვს. მაგალითად, ჰოლანდიელები ცხოვრების დიდ ნაწილს გზაში ატარებენ, თავიანთ პაღებს კი ტიტებით რთავენ.

— ასეთ დეტალებს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ სადაც არ უნდა წახვიდეთ, აზიასა თუ სამხრეთ ამერიკაში, ყველა ქვეყანაში იციან ამსტერდამული ყავახანები, მაგრამ მე ამსტერდამიდან არ ვარ.

— წარმოშობით ბედუმიდან ხართ, რომელიც გრონინგემის პროვინციაში მდებარეობს. თქვენს ქალაქში დგას ცნობილი ბედუმის დახრილი კოშკი.

— დიახ და ეს ჩვენი სიმბოლოა. მართალია კოშკი ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ პიზას კოშკზე უფრო დახრილია. ჩემი აზრით, ეს არის მსოფლიოში ყველაზე დახრილი კოშკი.

— მაპატიეთ, მაგრამ ასე არ არის. სპეციალურად ვნახე გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე დახრილი კოშკები და პირველ ადგილზე სურპუესენის ეკლესიის სამრეკლოა... ხშირად სტუმრობთ ბედუმს?

— ეს ჩემი მშობლები და დები ცხოვრობენ, მე წელიწადში ერთი-ორჯერ თუ მოვახერხებ ჩასვლას. თუმცა, ოჯახური სიმყუდროვე, აქაც არის, „ბაიერნში“.

— რას გულისხმობთ?

— „ბაიერნში“ არსებულ ოჯახურ ატმოსფეროს. კლუბს გულშემატკივრებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს. 5 წლის განმავლობაში ქომაგებთან და პრესასთან სიახლოვის გარეშე მიწევდა ვარჯიშები. „ბაიერნში“ ყველაფერი საჯაროდ ხდება. ამის გარდა, ოჯახურ გარემოს ქმნიან კლუბში მომუშავე ადამიანები, რომლებიც ლეგენდებად არიან ქცეული, რადგან „ბაიერნში“ დიდი ხანია მუშაობენ.

— ოჯახურის გარდა „ბაიერნში“ ჰოლანდიური გარემოც არის შექმნილი. თქვენ გარდა გუნდში თამაშობს კაპიტანი მარკ ვან ბომელი, აგრეთვე მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი და მისი სამწვრთნელო შტაბი. ამით „ბაიერნის“ ისტორიაში ახალი ერა იწყება?

— ვფიქრობ, ჰოლანდიელებს ბუნდესლიგაში თამაში გვიადვილდება, ერთი იმიტომ, რომ ჩვენი ენები ძალიან გვანან ერთამანეთს. ასევე ძალიან მიახლოებულია ჰოლანდიური და გერმანული საფეხბურთო მენტალიტეტიც, რის გამოც ადაპტაცია არ გვიჭირს. ერთ ამბავს გეტყვით — მადრიდის „რეალში“ 6 ჰოლანდიელი ვიყავით და როდესაც გუნდს კრიზისული პერიოდი დაუდგა, გამოგვიცხადეს, რომ გუნდიდან მხოლოდ ჰოლანდიელები უნდა წავსულიყავით. ჩემი აზრით, ასეთ დროს საუბარი ეროვნებაზე კი არა, საფეხბურთო ხარისხზე უნდა იყოს.

— თქვენ გითამაშიათ ინგლისში, ესპანეთში და ახლა უკვე გერმანიაში. რა სხვაობაა ამ სამი ქვეყნის ჩემპიონატებს შორის?

— სამი განსხვავებული კულტურაა. ინგლისურ ფეხბურთში ჯერაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთელის ფიზიკურ მომზადებას. თუმცა, ბოლო ათწლეულში უცხოელი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების წყალობით, პრემიერლიგა განვითარდა. ესპანეთში უფრო დიდი მნიშვნელობა ტექნიკასა და ტაქტიკას ექცევა. ნებისმიერი ესპანური კლუბი ცდილობს კარგი ფეხბურთი მაშინაც კი ითამაშოს, როდესაც „ბერნაბეუზე“ „რეალს“ ხვდება. აუტსაიდერად მიჩნეული გუნდებიც კი თამამად მიდიან შეტევაზე. პრემიერლიგაში ასეთი რამის წარმოდგენა რთულია — გუნდების უმეტესობა უპირატესობას დაცვით ფეხბურთს ანიჭებს და მხოლოდ შანსს ელოდება.

— ბუნდესლიგაში?

— გერმანული ფეხბურთი შესანიშნავი ნაზავია. აქ უყვართ ფეხბურთი და სტადიონები ყოველთვის ივსება. გერმანიაში ბევრ გუნდს შეუძლია როგორც ევროტურნირებზე მოხვედრა, ასევე ჩემპიონობა. სხვა ქვეყნებში კი მაღალი მიზნებისთვის მხოლოდ 4-5 გუნდი იბრძვის.

— რუუდ ვან ნისტელროის სახით ბუნდესლიგამ შესანიშნავი შენაძენი მიიღო. გერმანიაში ისიც „რეალიდან“ გადმოვიდა. ეს ხაზს უსვამს, რომ მადრიდულ კლუბში მოხვედრა ყველას არ სურს. ამის გამო ფრანკ რიბერის თემას მინდა შევეხოთ. შეგიძლიათ დაარწმუნოთ, რომ არ გადავიდეს „რეალში“?

— რუუდის ბუნდესლიგაში გადმოსვლით მოხარული ვარ, ის ჩემი მეგობარია. ერთია, ტრავმებმა მნიშვნელოვნად გაურთულეს საქმე და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 33 წლის ასაკში ჯერ კიდევ ფეხბურთს თამაშობს. მას ბრძოლა სურდა და არა ლოდინი. რუუდი კვლავაც რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად. რაც შეეხება რიბერის, ის „ბაიერნში“ ვარსკვლავია, „რეალში“ კი ერთი რიგითი ფეხბურთელი იქნებოდა, ამიტომ მან ყველაფერი კარგად უნდა მოიფიქროს.

— მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტი ეწურება მარკ ვან ბომელს.

— მარკი აუცილებლად უნდა დარჩეს გუნდში, ის ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია და გუნდში მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

— „ვერდერთან“ მატჩისას ლუის ვან გაალი თქვენ გამო კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, თუ შეიცვალა მწვრთნელი მას შემდეგ, რაც გუნდმა წარმატებული თამაში დაიწყო და მოგებებს დაიწვია?

— არანაირად. მას სურს გუნდისგან კვლავაც მაქსიმალური შედეგი მიიღოს. ვან გაალი ნამდვილი პროფესიონალია და ყოველთვის 200 პროცენტით იხარჯება, ამასვე ითხოვს ფეხბურთელებისგან.

— გუნდში ყველაფერი მის მიერ დადგენილი წესებით ხდება? ამბობენ, ვან გაალი საკმაოდ მკაცრი და შეუვალი მწვრთნელია და მისთვის დისციპლინა უმთავრესია.

— საბაბშვო ბაღში ხომ არ ვართ, რომ წესები შემოვიღოთ. ამასთან, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. პუნქტუალურობა საჭიროა, მაგრამ ყველა დეტალში არა. ჰოლანდიაში ამბობენ — თუ დისციპლინა არსებობს მოედნის გარეთ, მაშინ ის მინდორზეც იარსებებს, მაგრამ პირადად ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. მაგალითად, ინგლისში მატჩის წინ ფეხბურთელები თავისუფლად უსმენენ მუსიკას და საუბრობენ ტელეფონებზე, მაგრამ როდესაც მოედანზე გადიან, ყველა თამაშზეა კონცენტრირებული. ამ მხრივ დიდი სიმკაცრე არც ესპანეთშია.

ცნობილ ლიტველ კალათბურთელს, არვიდას საბონისს დიდი წარდგენა არ სჭირდება. საბასი თავის ქვეყანაში უცნობილესი და უპოპულარულესი ადამიანია, მაგრამ თავად არცთუ კარგი შეხედულების არის ლიტვაზე. რუსი ჟურნალისტის შეკითხვისას, როდესაც ბავშვებზე (4 შვილი ჰყავს) დაეკითხნენ, საბონისმა ჩართული დიქტოფონი მაგიდიდან აიტაცა და ხმამაღალი განაცხადა — მინდა, რომ ეს ჩაიწეროთ, ცხოვრებისგან ყველაზე დიდი საჩუქარი რაც მივიღე, ჩემი შვილებია და მადლობა ღმერთს, რომ ისინი ლიტვაში არ ცხოვრობენ.

საერთოდ საბონისი სიტყვაძუნწია და მშრალი პასუხებით გამოირჩევა, თუმცა ამ ერთხელ გაბედა და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა.

— თქვენი ვაჟი, ტაუდვატისი ესპანეთში ცხოვრობს, კალათბურთსაც საკმაოდ წარმატებით თამაშობდა, მაგრამ როგორც ჩანს, პროფესიულ კარიერას არ გაპპყვება.

— ახლა გაცილებით მეტი არჩევანია ცხოვრების გზაზე, რაც ადრე არ ყოფილა. რატომ უნდა დაიტანჯონ ბავშვები ჩემი გულისთვის? ბიჭმა უნდა ისწავლოს და პროფესიას დაეუფლოს. ჩვენი ქვეყანა პატარაა და აქ რომ ეცხოვრა, მის არჩევანს ყურადღებას არავინ მიაქცევდა, უიმისოდ გადაწყვეტდნენ მის საკითხს.

— ახლა არ შეიძლება მისი საკითხი სხვებმა „გადაწყვიტონ“? ხომ შეიძლება ესპანეთში ტაუტვიდასის სახელზე ჩავიდეს მიწვევა ლიტვის ნაკრებიდან?

— ვფიქრობ, რომ არ ჩაუვა.

— „ოთხთა ფინალის“ დაჯილდოებისას თქვენ გერგოო უნიქსი, რომელსაც ვალდებარას ხომიჩუსი წვრთნის. შეგეძლოთ როდესმე წარმოგედგინათ, რომ ვერცხლის მედალს გადასცემდით თქვენს მეგობარს და ძველ თანაგუნდელს „ჟალგირისიდან“?

— ამაზე მეც ვიფიქრე. როდესაც მედალი დავკიდე, მაშინ ვუთხარი — ნახე, რა მოგვიწყვეს. ორივეს გაგვეცინა. საერთოდ, ყველაფერი ლამაზი იყო. ჩვენს დარბაზს 71 წელი შეუსრულდა, გადაწყვეტილია, რომ ამ უდიდესი ისტორიის დარბაზს არსად არ გადაიტანენ, ეს ლიტველ ხალხს დამატებით 3 მილიონი დაუჯდება. მიმაჩნია, რომ ასეთი ობიექტი ლიტვის სპორტულ მუზეუმად უნდა იქცეს. ვილნიუსში ძალიან ბევრი დაწესებულებაა, ამიტომ სპორტული მუზეუმი ჩვენთან, კაუნასში უნდა გაიხსნას და არა დედაქალაქში. არ არის მთავარი, ეს მუზეუმი მარტო კალათბურთს ეკუთვნოდეს.

— გული არ გწყდებათ, რომ „სპორტჰალეს“ „დარბაზში ამის შემდეგ დიდი კალათბურთი აღარ იქნება?

— ჯერ აქედან კალათბურთი არსად არ მიდის. საჭიროა ახალი არენის აშენება, ამიტომ ნუ ჩქარობთ.

— როგორ, ახალი სპორტკომპლექსის აშენება 2010-11 წლის სეზონისთვის არ იგეგმება?

— თქვენ, ჟურნალისტებმა, ყველაფერი იცით და ხედავთ, მაგრამ ჩვენ სანამ დარბაზში არ შევალთ, მანამ ვერ დავიჯერებთ. იცით რამდენი ხანია გვჯერა, რომ ახალი დარბაზი აშენდება? სტადიონებს კი აშენებენ და აშენებენ. უკვე 45 წლის ვარ, ვეტერანადაც გადავიქეცი, ალბათ ბავშვებიც ვეტერანები გახდებიან, მაგრამ დარბაზს ჯერ კიდევ ველოდებით. შესაძლოა, თქვენც მოიგოთ ერთხელ, მონიფულ ასაკში „ჟალგირისის“ ახალ დარბაზში შესვლა.

— თქვენი საყვარელი საბჭოთა ფილმი რომელია?

— ასეთი ორი. გინდათ გამოიცნოთ?

— ბრილიანტის ხელი.

— არ არის ცუდი ფილმი, მაგრამ უფრო მეტად უდანაზოს თეორი მზე მიყვარს.

— მეორე?

— არ მინდა ყველაფერი სიმართლე გითხრათ, თქვენ ხომ ინერთ ამ საუბარს. ჰო, დიქტოფონზე წითელი ნათურა რატომ ციმციმებს? არ მომწონს, უფრო მწვანე ფერი მიყვარს.

— მწვანე ფერი ალბათ იმიტომ, რომ „ჟალგირისისა“ და ლიტვის ნაკრების მაისურების ფერია. როგორ შეაფასებდით ლიტველთა მე-11 ადგილს ევროპის ჩემპიონატზე?

— 2003 წლის შემდეგ ჩემპიონები აღარ გავმხდარვართ. ყოველ წელიწადს იკრიბება გუნდი და ამბობენ, რომ ოქროს მედლებს ავიღებთ. და რა ქნეს? მოიგეს? გასაგებია, რომ წაგებასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, მაგრამ როდესაც სახლში უშედეგოდ ბრუნდები, წინასწარ არ არის საჭირო ხმამაღალა ყვირილი. სჯობს მერე ვიყვაროთ, როდესაც ჩემპიონები გავხდებით.

— რატომ გაქვთ ჩემს კოლეგებთან ყოველთვის მინი-დიალოგები?

— გინდათ თქვათ, რომ თქვენ ბევრი იციან ჩემ შესახებ?

— კი. ბავშვობიდან ვავხედი საერთო რვეულს, რომელშიც შემქონდა ჩანაწერები თქვენი წარმატებების შესახებ. ერთხელ ცოლიც კი შემეკითხა — ვინ უფრო ძვირფასია შენთვის, მე თუ საბონისი. სიმართლე გითხრათ, უცებ ვერც კი ვუპასუხე.

— გამოდის, ცოლი ბავშვობაში მოგიყვანიათ.

— თქვენი აზრით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს რაში სჭირდებათ ვი-თი-ბის გაერთიანებული ლიგა?

— პირადად მოხარული ვარ, რომ ასეთი ტურნირები არსებობს. როგორი იქნება მისი მომავალი, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ სადღეისოდ, ჩვენი ახალგაზრდა გუნდისთვის, ძალიან სასარგებლოა. კარგად მახსოვს კონფლიქტი ფობა-ევროპასა და ულეხს შორის, როდესაც გუნდებს თავად უნდა ამოერჩიათ, თუ რომელ ევროტურნირზე მიიღებდნენ მონაწილეობას. მაშინ „ჟალგირისმა“ არჩევანი ულეხის მხარეს გააკეთა. შემდეგ იქ აღმოჩნდა ყველა უძლიერესი კლუბი. ახლაც იქ უნდა წავიდეთ, სადაც ძლიერები იყრიან თავს. რუსეთში მაღალი კლასის გუნდები არიან და მათთან თამაში ახალგაზრდობას გამოცდილებას შესძენს. თავის დროზე მეც ვიყავი ახალგაზრდა, მაგრამ ვერც ერთ წიგნში ვერ წაიკითხავთ, თუ რამხელა გამოცდილებას შეგძენს სათამაშო პრაქტიკა. შენს ტყავზე მეტოქის სულს მოედანზე უნდა გრძნობდე. თუ გუნდი მომავალზე ფიქრობს, სათამაშოდ ახალგაზრდებსაც უნდა მისცეს შანსი. არ შეიძლება პატარა ბიჭი ადგე და მხოლოდ განაცხადში შეიყვანო, სკამზე დასვა და უთხრა — უყურე სხვის თამაშს და ისწავლე. კალათბურთელი თამაშით უნდა დაიკაჟო. რატომ იყო ადრე სპორტული დავალებები? იმიტომ, რომ ბავშვს რაღაც სისულეებზე ფიქრისთვის დრო არ დარჩენოდა.

— „ოთხთა ფინალის“ საუკეთესო ცენტრად დასახელებული ალექსანდრ კაუნი როგორ მოგწონათ?

— კარგია, როდესაც ეს კალათბურთელი სლემ-დანქს აკეთებს და კალათიდან ხელების ამოწევას ასწრებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შეუძლია კალათში ხელები ჩაყოს და ბურთი შორტებში ჩაიდოს. ისე ლიტვურად გვარად კაუნი კი არ არის, არამედ — კაუნასი, ამიტომ ის ჩვენებურია.

— თქვენთვის რომელი ცენტრები იყვნენ ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგეები?

— რამდენადაც ოლაუჯოუნი კარგი მოთამაშე იყო, იმდენად სასიამოვნო იყო მის წინააღმდეგ თამაში. ის ყველაფერს მაღალ სისწრაფეზე აკეთებდა. თუმცა, იყო მომენტები, როდესაც შენთვის სასურველი მომენტი დგებოდა და მას აღებატებოდი. აქედან კი დიდ სიამოვნებას ვიღებდი. ყველაზე არასასურველი მოწინააღმდეგე კი ზაკილ ონილი იყო. საერთოდ, ძნელია ასეთი ფიზიკურად ძლიერ ცენტრებთან თამაში. ამასთან, მსაჯებიც სულ მის სასარგებლოდ უსტვენდნენ. მაჩვენებდნენ კიდეც — არ შეეხო შაკს, მისი ბანაწყენება არ შეიძლება. არადა, ასეთ კალათბურთელს გაანაწყენებ? რაც არ უნდა გექნა, შეეხებოდი, დაარტყავდი თუ ფეხსაც იხმარდი, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს ვერ გაიგებდა.

— ფიზიკურად ტკაჩენკოც დიდი იყო, მასთან თამაში უფრო გიადვილდებოდათ?

— ტკაჩენკო, მაინც ტკაჩენკოა. თუმცა, მის გარშემო შემოვლას მაინც ვახერხებდი, ყოველგვარი ჯახის გარეშე, იმის მიუხედავად, რომ ის ჩემზე ძლიერიც იყო და უფროსიც. კარგი გასახსენებელია მასთან ურთიერთობა, მაგრამ სიტყვებით გადმოცემა ძნელია.

— დაბოლოს. რატომ არ გიყვართ ინტერვიუების მიცემა?

— აზრს ვერ ვხედავ. სიმართლის თქმა ჟურნალისტებთან არ გამომდის, რადგან შემდეგ ყველაფერს მის ჭკუაზე წერენ და გამოდის, რომ ტყუილს ვამბობ. ამიტომ გადაწყვიტე, რომ სანამ ისინი ტყუილს მომიგონებენ, მე მოვიტყუები. თქვენ მაინც გადააკეთებთ და შესაძლოა, მერე ნათქვამი მართალი გამომივიდეს.

მაჭახა მჭელიძრეულისს

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

ჯაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

თად ვიზრუნოთ ტაძარზე.

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 8 თებერვალი

07.00 ჩვენი დილა **11.00**

სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოიამბე **12.30** სერ. **"აწალეი-ას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "ალიტრა" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"ირრისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუუბ **18.00** დოკ. ფილმ "ვარელი დეკოდირონ" **19.05** მეხსიერება **19.45** ნანინა **21.00** სერ. **"აწალეი სახე"** **22.00** თოქ-შოუ "არენა" **23.30** ერთი ისტორია **00.00** კიკბოქსინგი **01.30** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით: ა) მხ. ფილმი **"ბლეიდი: სამება"** (15) (უ. სნაიპი) ბ) მხ. ფილმი **"გაღამეფვეები მოგმენი"** (U)

19.00 ან. სერ. **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუუბ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"ირრისპირ"** **22.00** სერ. **"აწალეი სახე"** **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ეგნეს ზლუბლლეგნა"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცისტლში"** **11.00** ვანოს შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.40** კულინარი **12.20** სერ. **"ბზა ღიდზინსაკნ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილესი აწალეოლზუ"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"ბულის კახილი"** **16.50** სერ. **"ღერნ ხუანი და ლაპარაზანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ბლეიდ: სამეფოვარი"** **19.50** სერ. **"აწალეი საიღუფლეო"** **22.00** "ისი პარის" გათამაშება **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრეული **02.00** მხ. ფილმი **"რრსი"** **04.00** მხ. ფილმი **"რრსი 2"**

08.00 ან. ფილმი "ნანანი" **09.00** სერ. **"კონნინ ფლიილის ქრონიკეფი"** **10.00** სერ. **"ჩვი ფეფუკარეფუფლი"** **11.00** სერ. **"ბუუკეფი"** **12.00** სერ. **"ხი-ეს-ეი"** **12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ბერალეი"** **16.00** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ბუუკეფი"** **19.00** სერ. **"ჩანნრო ეფრინგ"** **20.00** ზღაპარიფო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქუმ შოუ" **22.30** სერ. **"ჩვი ფეფუკარეფუფლი"** **23.30** სერ. **"ხი-ეს-ეი"** **00.30** მხ. ფილმი (სუბტიტრით)

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორიგეკი თეკეკი"** **11.25** დოკ. ფილმ "პოლიეფფოს წყვილები" **12.00** სერ. **"ფარფლი ეზეკა"** **13.00** სერ. **"ბარფლიფლი გრანრეკა"** **14.40** მფფის ღამე **16.00** სერ. **"შურისძიების ნილუკი"** **17.30** სერ. **"ყეეეუფეეკი ელეანსტეინ"** **18.25** ან. ფილმი "სამსონაძეები" **18.50** სერ. **"ბარაფლიფლი გრანრეკა"** **21.00** სერ. **"შურისძიების ნილუკი"** **22.00** იუმორარა **2009** **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00** სერ. **"24-5"** **01.00** მხ. ფილმი **"ეელეფაფეს ეიტრაფეს სამი ფასაფლაეეეა"** (12) **03.10** ქრონიკა **03.25** სერ. **"კლონი"**

08.30, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **09.00** სერ. **"ბამოგრამი"** **09.30** სერ. **"ხამლის ბეგბოგრამი"** **10.30**, **19.30** სერ. **"ეს ბაფეიაა"** **11.45**, **21.00** სერ. **"ცხოვრების ქარაცხუსლში"** **12.45** სერ. **"ფასეეეს უფლლეა"** **14.50** "ეკონომეეეეა" **15.50** სერ. **"ილუფალი სტუფარი"** **18.00** სერ. **"ბამოგრამი"** **19.00** ნოვოსტი **19.30** სერ. **"ბაფეეეი"** **22.00** პერსონი **23.00** სერ. **"ხალეფეა"** **00.00** მხ. ფილმი **"ეეზოსანი"**

ერთსულოვნება **08.30**

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** ახალი აღთქმის განმარტებანი **10.30** სადა უფრნრფდენიან ჩემპიონები. **10.55** კეთრიაკე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შეიდეზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.10** მხ. ფილმი **"ეაპლოორალი"** **13.30** კინ�**17.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** დოკ. ფილმი "გეეპატიეეეთ ბარტ ეეულეი" **15.35** სპეციალი **"ეეიიმ ეეეეეეა"** **17.10** დოკ. ფილმი "ეეულერი ბუნება" **17.35** მოკლემ. ფილმი **18.05** ჩვენ ეუკრავეთ კლაესიას **18.30** საქ. აროკეიდიდან **18.55** ფოტო გალერეა **19.15** მხ. ფილმი **"ეეეეეეას ბოლიეეეი"** **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დედა ეკლესია **22.00**, **00.00** სიახლეები **22.20** ერთსულოვანი ოფკახი **22.45** წმ. ანტონ მარტყოფელი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მართლმადიდებელური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

სამშაბათი 9 თებერვალი

07.00 ჩვენი დილა **11.00**

სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოიამბე **12.30** სერ. **"აწალეი-ას სახე"** **13.30** დოკ. ფილმ "ალიტრა" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"ირრისპ	r"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუუბ **18.00** დოკ. ფილმ "სამყარო" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"აწალეი სახე"** **22.00** დიალოგი **23.00** სერ. **"ხალეფამაა ბოლიეეეეეე

როგორ დაემსგავსა ქართული ჩოხა ჩერქეზულს

ნატ ფრიდონ

ჩოხის ქართული ტიპიფიკაციი მეთოდით ჯეჰის ეთნოდეთი ექსპერტი ახსენ მთიანშვილი თოქმის 60 წელია ჯეჰავს ქართელ ჩოხებს. ბოლო სამი თვის განმავლობაში ეი მან ახალთი მასტერკლასი ჩაუტარა ახალგაზრდა ქართველ დიზაინერებს. ამ პროექტის მიზანი თანამედროვე დიზაინერებისთვის ჩოხის ტიპიფიკაციი ქართული მეთოდით ჯეჰის ხელობის დაუფლება იყო.

პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე მასტერკლასების მიმდინარეობისას შეკერილი ცამეტი ჩოხა ახალგაზრდა ფოლკლორულ გუნდს „გულანი“ გადაეცა, რომლსაც ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი გიორგი ნატროშვილი ხელმძღვანელობს.

ქართული ჩოხა-ახალუხის ისტორიული განვითარების ასპექტები:

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში ქართული ტანსაცმლის მრავალფეროვანი სახეების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ბაზაზე ქართულ-კახეთში ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ტანსაცმელი, რომელიც თავადაპირველად ვრცელდებოდა მთელ საქართველოს ბარში და შემდგომ მთაში. ამასთან არსებობა განაგრძო გარკვეული სახეცვლილებებით საქართველოს ცალკეული თემებისათვის დამახასიათებელმა ტანსაცმელმა და საზოგადოების კლასობრივი მდომარეობისა და პროფესიის მიხედვით განსხვავებულმა ტანსაცმლის სახეებმა — გლეხის, ხელოსნის, თავადის, ვაჭრის, სასულიერო პირთა და ა. შ.

XIX საუკუნის II ნახევარში ეს სხვაობა ქართულ ჩაცმულობაში აშკარად წარმოჩინდა, თუ სოციალურად პრივილეგირებულ კლასებში ტანსაცმლის გაბატონებულ ტიპს მამაკაცის ყურთმაჯიანი კაბა წარმოადგენდა, გლეხის ტანსაცმლის ძირითადი ტიპი იყო ქართული ჩოხა. აქვე აღსანიშნავია, რომ კოსტუმის ეს ელემენტი - ჩოხა საერთო იყო კავკასიის თითქმის ყველა ხალხისათვის და მათ საერთო ეროვნულ კუთვნილებას შეადგენდა.

ქართველი მამაკაცის ეროვნული კოსტუმის ძირითადი ტიპის - „ჩოხა-ახალუხის“ კომპლექსში შედიოდა: პერანგი, ქვედა საცვალი, ახალუხი, ჩოხა, შარვალი, ქუდი და სარტყელი. ამ კოსტუმის აუცილებელ ელემენტს შეადგენდა ქამარ-ხანჯალი.XIX საუკუნის II ნახევარის საქართველოში მამაკაცის ტანსაცმლის რამდენიმე სახეობა არსებობდა: გლეხის კოსტუმი (ქართლურ-კახური), თავადის კოსტუმი (ქართლურ-კახური) და მამაკაცის ტანსაცმლის თავისებური სახეები — ხევსურული, იმერული, გურული, რაჭული და ა. შ.

თავადაზნაურობა და გლეხობა უმთავრესად ატარებდა შავი ან ლურჯი ფერის ტანსაცმელს, აგრეთვე მიხაკისფერ, ნაცრისფერ და სხვა ფერის ტანსაცმელს. გლეხის ჩოხას, ზოგჯერ შარვალსაც კი, კერავდნენ შინ ნაქსოვი ან ლეკური შალისაგან. თავადის ჩოხა (კაბა) კი ფაბრიკული მაუდისაგან მზადდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XIX საუკუნის ქართლ-კახური ჩაცმულობა იმეორებდა XVIII საუკუნისას.

გლეხის ჩოხა ორი სახეობის იყო: ნაოჭიანი და ჩაქუბიანი. ორივე ერთი თარგით იკერებოდა, განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ წელი სხვადასხვა წესით ქონდათ გამოყვანილი. გლეხის ჩოხა, სხვა ჩოხების მსგავსად, წელში იყო გადაკერებული, ზემო ნაწილი გაწყობილი ტანზე წელამდე, ქვემო ნაწილი კი — განიერი. ეს უკანასკნელი შედგებოდა ორი პატარა წინკალთის, ორი გვერდის კალთისა და წელში ნაოჭად ასხმული რამდენიმე უკანა კალთისაგან. თუ ჩოხა ნაოჭიანი იყო, უკანა კალთების რაოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ მთავარი მისი სიგანე იყო — წელზე ნაოჭით, რომელიც წელის სიგანეს არ სცილდებოდა. თუ ჩოხა ჩაქუბინი იყო, მისი უკანა კალთა რამდენადმე ვიწრო და სწორი კალთისაგან ანუ ჩაქისაგან შედგებოდა. ქართულ-კახური ჩოხის ჩაქუბი ხევსურულის მსგავსი იყო. ჩოხის გვერდის კალთები ქვემოთ ოდნავ შეხსნილი, ზედა ტანსა და სახელოებს კი სარჩული ჰქონდა გამოკერული, წინიდან, მკერდის ორივე მხარზე დაკერებული ჯიბეებით მასრებისათვის.

ჩოხის თითოეულ ნაკერს ზემოდან სიმაგრისათვის დაკერებული ჰქონდა ჩაფარიში, ხოლო ორგვლივ შემოყოლებული ყაითანი. ჩოხა, ანუ გრძელი სამოსელი, მამაკაცს კანჭებამდე სწვდებოდა, შესაბნევი არ ჰქონდა და წელზე ქამრით მაგრდებოდა, რომელზეც ხშირად გაწყობილი იყო ხანჯალი.

თავადის ჩოხა, რომელსაც ძველთაგანვე კაბა ეწოდებოდა, მოკლე იყო, მუხლამდე. კაბის ქვემო ნაწილი ფართო, ზემო ნაწილი კი წელში გამოყვანილი და ნაოჭასხმული გახლდათ, მდიდრულად გაწყობილი ქამარ-ხანჯლით. გლეხის ჩოხისაგან განსხვავდებოდა სახელოების თარგი. სახელოები გრძელი და თითქმის მთელ სიგრძეზე გახსნილი იყო, გაკერილი იღლიებით და ყოშიანი მაჯებით. ღია სახელოები, როგორც წესი, ჩამოყრილი უნდა ყოფილიყო ქვემოთ ან მხრებზე აკეცილი და ბეჭებზე გადაფენილი. თავადის ჩოხის სახელოები მსგავსებას ამჟღავნებენ ქართველი და კახელი ქალის ქათიბთან, თავადის ჩოხა, საერთოდ, ქათიბის ტიპის სამოსელია.

ისტორიული კედლის მხატვრობის მიხედვით კაბა (ჩოხა) ძირითადად იყო ერთი გრძელი (კანჭებამდე) და წელში გადაკერებული, მეორე კი მოკლე (მუხლებამდე) და მთლიანი. კაბა (ჩოხა) წელში გაწყობილი იყო, კალთები კი განიერი ჰქონდა. სახელოები ვიწრო, მაჯები — მოჭერილი. გრძელი კაბა უსაყელო იყო, მოკლეს კი პატრა საყელო ჰქონდა, ისიც წინიდან. საერთოდ, ქართულ ტანსაცმელს არ ახასიათებდა მაღალი საყელო.ძველ ქართულ კაბასთან ყველაზე მეტი მსგავსება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ახალუხს აქვს, რომელიც ხასიათდება გრძლად გულამოჭრილი მკერდით (ეს დეტალი საერთოდ დამახასიათებელია მაღალი წოდების სამოსელისათვის), ძველი ქართული კაბა არა მარტო თავისი თარგით გამოირჩეოდა, არამედ მეტად თავისებური შემკულობითაც.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საყელოს, ბეჭებისს, გულმკერდის, სახელოების, მაჯებისა და კალთების შემკულობას ოქრომკედით, ძვირფასი ბეწვით და ა. შ.

საზაფხულო და საზამთრო კაბას (ჩოხა) შორის განსხვავება ძირითადად საკერავ მასალაში გამოიხატებოდა. საზამთრო კაბის შესაკერად, როგორც ჩანს, ტყავსაც იყენებდნენ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, XIX საუკუნის მიწურულამდე შემონახული თავადის კაბა (ჩოხა) არსებითად განსხვავდებოდა იმ კაბისაგან, რომელიც ძველ საქართველოში იყო ცნობილი. მართალია ამ ტიპის სამოსელი ძველადაც არსებობდა, მაგრამ იმ დროს ის კაბის ზემოთ ჩასაცმელის ერთ-ერთ სახეხვაობას წარმოადგენდა (აღსანიშნავია, რომ ამგვარი სამოსელისათვის დამახასიათებელი სახელოები, სხვა სახის ზამთრის ტანსაცმელსაც ჰქონდა. მაგალითად, ზარზმის მონასტრის კედლის მხატვრობაზე XIII-XIV საუკუნის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის ბეჭა მანდატურთუხუცესის ტყავის სამოსს სახელოები გახსნილი აქვს). მამაკაცის სამოსელის ეს ტიპი უკვე გაბატონებული ჩანს XVII საუკუნეში (წინარეხის კედლის მხატვრობაზე) ფეოდალ მაღალაძის ოჯახის გამოსახულება, დავით-გარეჯის მონასტრის კედლის მხატვრობაზე — კახეთის მეფეთა პორტრეტები, ცაიში ფრესკა და ა. შ. დროთა ვითარებაში სამოსელის ამ ტიპმა თანდათანობით შეცვალა კაბა, ხოლო ძველი კაბა გარკვეული ტიპის ახალუხად გადაიქცა. თავადის ახალუხი, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაშია შემონახული, ემსგავსება ძველებურ კაბას. ამავე თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სვანეთში ახალუხს კაბა (კაბ) ეწოდება.

გლეხის ახალუხი თითქმის ისევე იყო შეკერილი, როგორც ჩოხა. ახალუხი ორგვარი გახლდათ - ნაოჭიანი და ჩაქიანი. ჩოხასთან შედარებით ახალუხი მოკლე, თეძოებამდე ან მუხლებამდე იკერებოდა. მას შიგნიდან მთელ ტანზე გამოკერული ჰქონდა სარჩული, კისერზე კი დამდგარი საყელო. ახალუხს არ ჰქონდა ჩოხისთვის დამახასიათებელი სამასრეები, ამიტომ ის დუგმებით ან ღილკილოებით იკვრებოდა.

XIX საუკუნეში საზოგადოების ყველა ფენაში ასახვა ჰპოვა ჩერქეზული ტიპის თარგით შეკერილმა ჩოხა-ახალუხმა, რომელიც მანამდე დასავლეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. აღმოსავლეთ საქართველოში ჩერქეზული ტიპის ჩოხა-ახალუხი იმერეთის გზით გავრცელდა. ამით აიხსნება ის, რომ ქართლელები და კახელები მას იმერულ ჩოხა-ახალუხს უწოდებდნენ.

ძველად იმერეთისთვისაც მოკლე ჩოხა იყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით რაფიელ ერისთავი წერდა — იმერელები ახალუხს ზემოთ მოკლე ჩოხებს ატარებდნენ, ნვივებზე შალის პაიჭებს, რომლებსაც ლეკვერთხებით იკრავდნენ, თავზე სარჩულდადებული ფაფანაკი ეხურათ. ზოგჯერ იმერეთში გვხდება ჩერქეზული ტიპის სამოსი, ნაბადი და ყაბალახი, მაგრამ მათ ეს ჩერქეზებისა ან აფხაზებისაგან აქვთ გადმოღებული. ჩერქეზული ტიპის ჩოხის იმერეთში გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც. ფრანგი კონსულის — გამბას ჩანახატით XIX საუკუნის I მეოთხედში აფხაზებს მოკლე ჩოხები ეცვათ. შვეიცარიელი ფრანგი სწავლული ფრედერიკ დიუბა და მონპერეე 1833 წელს აღნიშნავდა, რომ ჩერქეზული ჩოხა წელშია გამოყვანილი და მისი თარგი ზუსტად შეესაბამება სკვითების, ანუ სარმატების ჩაცმულობასო.

მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შარვალს. თავადის და გლეხის შარვალს ერთი და იგივე თარგი ჰქონდა. შარვალს გრძელი და მეტად განიერი ტოტები ჰქონდა, მიუხედავად ამისა, ტოტებს შუა უბე იყო ჩაგდებული. ჩაცმისას მისი ტოტები პაიჭებში იკეცებოდა.

გლეხის სამუშაო ფეხსაცმელი ქალამანი იყო, სადღესასწაულო კი წაღები. განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდებოდა თავადის ფეხსაცმელი, რომელიც მაღალყელიანი იყო, გვერდზე იკვრებოდა თასმებით და წვერზე ჭვინტი ჰქონდა. ჭვინტიანი ფეხსაცმელი გვხვდება კედლის მხატვრობაში. იგი ცნობილი იყო დაღესტნის ხალხებში და გენეტიკურად ხეთურ ჩაცმულობას უკავშირდებოდა. ქალაქის მდიდარი ფენისა და ვაჭრების, ხელოსნების ჩაცმულობა კი მიაგავდა თავადურ ყურთმაჯიან კაბას, მაგრამ ჩაცმის მსგავსი მათ თავისებური ჰქონდათ.

დასაბეჭდ საქართველოში ჩაცმულობის თავისებურ კომპლექტს წარმოადგენდა გურულ-აჭარულ-ლაზური კოსტუმი — „ჩაქურა“, რომელიც ერთი ტიპის იყო, თუმცა ჩაცმულობის მანერაში გარკვეული თავისებურება ნი უეიმჩნეიოდა. ამ კოსტუმის ელემენტებს — ჩოხა, ახალუხი (აჭარლები ზუბუნს უწოდებდნენ), ჩაქურა ან შარავალი, პერანგი, სარტყელი, წუფა, ქალამანი, წინდა, პაიჭი, ყაბალახი წარმოდგენდა. რაც შეეხება თვით ტერმინს „ჩოხა“, ეთნოგრაფიული მონაცემებით მას როგორც ჩასაცმელს, ასევე ქსოვილსაც (შალს) უწოდებდნენ. სულხან-საბას ეს სიტყვა განმარტებული აქვს, როგორც მატყლის სამოსელი. ჩოხა სამოსელის მნიშვნელობით გვხვდება ქართულ ისტორიულ წყაროებშიც. იგი მოხსენებული აქვს ჭერწულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ლაშა-გიორგის მემატიანეს, XIII საუკუნის ყამთაალმწერელს, ფ.გორგიჯანიძეს (XVII ს.). სპეციალისტთა აზრით, ეს ტერმინი ქართულში VIII-X საუკუნეებში უნდა შემოსულიყო. ჩოხის შესახებ ამ მასალებს გვაწვდიან: ციციშვილი, ბეზარაშვილი, გიორგი ჩიტაია, ლეონა მარგოშვილი და ნინო გვათუა.

SMS-განცხადებები - 3090

იყიდება

◆ კაპიტალური გადასატანი რკინის კონსტრუქციის ავტოფარეხი, ზომები: 3X6, სიმაღლე 2,5 მ. ტელ: 893-93-25-74 გელა.

◆ ოპელ-ასტრა ფურგონი, 1998 წლის გამოშვება, კონდიციონერით, სრული ელპაკეტით, აერბაგიანი, ერთი თვის ჩამოყვანილი, მიზეზთა გამო იაფად იყიდება. ფასი 5.200 დოლარი. ტელ: 893-34-94-33; 822-33-30-28.

◆ 75 კვ.მ. მაღაზია თემქაზე, ხალხმრავალ უბანში. მიწის ფართი 160 კვ.მ. საწყისი ფასი 75.000 დოლარია. ტელ: 892-642-642.

◆ სასწრაფოდ ავტომობილი ჟიგული „ვაზ 2106“, 1986 წლის. ფასი 800 დოლარი. ტელ: 891-601-008.

◆ ქალაქ თელავში ძალიან კარგ ადგილას სასადილო 1300 კვ.მ. მდებარეობის მიხედვით გამოდგება სხვადასხვა საქმიანობისთვის. ფასი 100.000 აშშ დოლარი. ტელ: 899-91-09-07.

◆ ოროთახიანი ბინა ლოგით სანზონაში, ან იცვლება ერთოთახიან ბინაზე ბათუმში თანხის დამატებით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ჩარგლის №26. ტელ: 855-48-48-52.

◆ სასწრაფოდ! ავტომობილი მიცუბაში-შარიოტი, 2000 წელს გამოშვებული, 7-ადგილიანი, ტიპ-ტრონიკი, სრული ელპაკეტით, განბაჟებული, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი 5.200 აშშ დოლარი. ტელ: 855-39-59-03.

◆ სოფელ დიღმის დასაწყისში ორსართულიანი სახლი, ხეხილიანი ბაღით, სარდაფებით. საერთო ფართი 1500 კვ.მ. ფასი 120.000 დოლარი. ტელ: 52-91-64.

◆ ოთახნახევრიანი ბინა ავჭალაში (16 სართულიანებში), VII სართულზე, ფასი 20.000 დოლარი.

◆ ბაგრატიონის №5-ში გაიხსნა ფიტნეს-კლუბი — აერობიკა, კულტურიზმი, მასაჟი. 1 თვე — 60 ლარი. ტელ.: 899-96-01-70.

ქირავდება

◆ 75 კვ.მ. მაღაზია თემქაზე, ხალხმრავალ ადგილას. საწყისი ფასი 800 ლარი, ტელ.: 892 642-642;

განცხადებები

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშინო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● იყიდება ან ქირავდება ავტომანქანა „ივეგო“, 1993 წლის გამოშვება (პროდუქტის მაცივარი), 2,5 ტ ტვირთამწეობის, საუკეთესო მდგომარეობაში, 2-სკამიანი, ძრავი 2,5 ტონობიანი-დიზელი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 893-36-44-07; 61-71-73 ჯემალი.

● იყიდება ავტომანქანა მერსედესი „ეშკა“, 1994 წლის გამოშვება, საუკეთესო მდგომარეობაში, 2.0 ძრავით დიზელზე, სრული ელექტრონავაროტკით, 2 აირბაკით. ტელ: 893-36-44-07; 61-71-73 ჯემალი.

● პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას და ცელულიტის მოცილებას ყველაზე ეფექტური ვაკუუმმასაჟის მეთოდით. საჭირო კურსის ჩატარების შედეგად გარანტირებული გექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. ტელ: 895-47-17-39.

● ოსტეოპარეზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების, კოქსართრიტების მკურნალობა, ძვლის ცვეთის შეჩერება, დაზიანებული ხრტილის აღდგენა და ტკივილის სინდრომის მოხსნა. ტელ: 858-21-77-93 ქნი ფატი.

● უძილობა, შიში, აკვიატებური აზრები, დეპრესიები, ნევროზი, კლიმაქსური ფონი, პოტენციის დაქვეითება ქალებსა და მამაკაცებში, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: ულიამოვნო სუნი პირიდან, დისბაქტერიოზი, კოლიტი, ღვიძლისა და ნაღვლის გაწმენდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ტოქსინებისაგან, ყველაფერი უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-თან მიახლოებული შედეგით. ტელ: 899-90-54-78; 34-02-38 ქნი ქეთევანი.

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის მკურნალობა, დამოკიდებულების მოხსნა, ორგანიზმის განმენდა ტოქსინებისაგან, ნერვული სისტემის მოწესრიგება, იმუნიტეტის გაძლიერება მცენარეული პროდუქციით, შედეგი გარანტირებულია 100%-ით. ტელ: 893-44-58-65; 57-66-90 (საღამოს). ექიმი-სპეციალისტი ქნი დეა.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სახის დაავადებას, უშვილობას, სქესობრივ სისუსტეს, კონსულტაცია უფასოა. ტელ: 99-95-33; 893-60-60-44.

● შვეიცერ ყველა სახის წიგნს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● კომპიუტერების, ლეპტოპების პროგრამული და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა (ვინდოუსის გადაყენება და ვირუსებისგან გაწმენდა) ხელმისაწვდომ ფასად, გარანტირებული შედეგით. ტელ: 895-236-444. გიორგი.

● ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილაცია, რომელსაც გთავაზობთ

● უმაღლესი ხარისხით, მოსკოვის პროსპექტის ბოლოში. ტელ: 70-68-73; 855-492934 მერი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული სტილისტი შეგასწავლით სტილისტიფაჟისტის პროფესიას მაღალ დონეზე: ქალისა და მამაკაცის თმის შეჭრა-დავარცხნა, დახვევა, საქორწილო ვარცხნილობები, ფასი 400 ლარი. მანიკურ-პედიკიურის შესწავლა — 300 ლარი. მის: მეტრო „შარჯანიშვილი“, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● ალკოჰოლისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, შიში, უძილობა, მკურნალობა გარანტიით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის! იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდვისას. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ მიმატებით 25 წლამდე, იმუნიტეტის გაძლიერებით, ასევე გახდომა თვეში 7-20 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299 ექიმი ინგა.

ქმარი არ მიყვარს, მაგრამ არ ვეყრები

მშობლებს ხშირად მიაჩნიათ, რომ თუკი შვილი მათ დაუჯერებს და ცხოვრების თანამგზავრსაც მათი მოწონებით შეარჩევს, მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნება და მშობლებს სიცოცხლის ბოლომდე მადლობას გადაუხდის.

თინიკოსი დღეს ბევრ ქალს შურს — ულამაზესი შვილები ჰყავს, ბოლო მოდელის მანქანით დადის, რომ იტყვიან, „მოდის ბოლო წივილზე“ აცვია და ქმარიც ბევრისთვის საოცნებო თანამდებობაზე მუშაობს, მაგრამ მას ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი — სიყვარული — აკლდა, სანამ მის ცხოვრებაში ნიკუშა არ გამოჩნდა.

თინიკო:

— შორიდან რომ შემომხედოთ, ალბათ, თქვენც შეგშურდებათ ჩემი. მე ხომ ამ ცხოვრებაში ყველაფერი მაქვს — კარგი ბინა, თანამდებობაზე მომუშავე ქმარი, შვილები, მანქანა, აგარაკი, მაგრამ ყველაზე მთავარი, სიყვარული, მაკლდა, სანამ ნიკუშა არ გავიცანი.

— თქვენი მეუღლე არ გიყვართ?

— ისე, რომ შეხედოთ თემოს, რა საჭირო ჩემი დასაწუნი? მშვენიერი კაცია, კარგ სამსახურში მუშაობს, ფული არ გვაკლია, რესტორნებში ვახშამს არ ვიკლებთ და საზღვარგარეთ დასვენებებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩემი ქმარი არ მიყვარს და ეს მან ძალიან კარგად იცის.

მთელი ცხოვრება დედაჩემისგან მხოლოდ ის მესმოდა, რომ მისთვის უნდა დამეჯერებინა და ცხოვრებაში ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. ხომ გაგიგიათ, შეძახილმა ხე გაახმოო და მე თვითონაც არ ვიცი, როგორ გავხდი მისი მონა, დიახ, მონა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რასაც დედა მეტყოდა, მხოლოდ იმის მჯეროდა, არც კი ვცდილობდი, ჩემეული დასკვნა გამეკეთებინა ან ამა თუ იმ მოვლენისთვის სხვა თვალით შემეხედა.

— ასე ცხოვრება მოგწონდათ?

— ახლა რომ ვუფიქრდები, ჩემი ცხოვრება არასოდეს მქონია, მე მხოლოდ დედიკოს გოგო ვიყავი, რომლის სიტყვაც ჩემთვის კანონი იყო. შეწინააღმდეგების სურვილიც კი არასოდეს გამომითქვამს. ისე გავხდი თემოს ცოლი, არასოდეს მიფიქრია, ვუყვარდი თუ არა ან მიყვარდა თუ არა. რადგან დედაჩემმა მითხრა, კარგი ბიჭია, უკვე მუშაობს, კარგი ბინა აქვს, დედისერთაა და ყველაფერი შენთვის ენდომებაო, ჩავთვალე, რომ ასე იყო საჭირო.

— დედის ნათქვამს დაუჯერეთ და ასე თავალდახუჭული გათხოვდით?

— მთელი ცხოვრება მესმოდა, რომ დედაჩემზე კარგი ამქვეყნად ჩემთვის არავის უნდა, ამიტომ მის სიტყვებში ეჭვი რატომ უნდა შემპარვოდა? თემო ჩვენთან მოვიდა, ჩემი ხელი ოფიციალურად ითხოვა და ორ თვეში გრანდიოზული ქორწილიც გადავიხადეთ. ამ ხნის განმავლობაში დედაჩემს ერთხელაც არ უკითხავს ჩემთვის, მომწონდა თუ არა ეს ადამიანი ან თუნდაც სულ ცოტათი მიყვარდა მაინც თუ არა. ყოველდღე დედაჩემი იმას ჩამჩიჩინებდა, რომ მთავარი უზრუნველი ცხოვრებაა, როცა საკუთარი ჭერი გაქვს და მატერიალურად უზრუნველყოფილი ხარ, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

თემო ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით მექცეოდა, მასთან პრობლემები არასოდეს მქონია, არასოდეს ამიღია ვალი, არასოდეს მიწუწუნია რაიმე პროდუქტის არქონის გამო, ამიტომ მეგონა, რომ სწორედ ეს არის ბედნიერება.

— აზრი რამ შეგაცვლევინათ?

— რამ კი არა, ვინ — ნიკუშამ.

— ნიკუშა ვინ არის?

— ჩემი თანამშრომელი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ და ძალიან მიყვარს. მოკლედ, ძალიან დიდხანს ვებრძოდი ჩემს ქმარს, რომ სამსახურში გაეგზავნა, სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რა გაკლია, სამსახური რად გინდა, რასაც მეტყვი, ყველაფერს მოგიტანო, მაგრამ სახლში ყოფნამ დამღალა, ის როკოკო ჭურჭელიც მომბეზრდა, ის აუზიც და რესტორანში ვახშმობაც. რაღაც ახალი მინდოდა, ამიტომ ჩემი მაინც გავიტანე და სამსახური ერთ-ერთი ფირმაში დავიწყე.

— ნიკუშაც იქ გაიცანით?

— კი. თავიდან ნიკუშას მიმამაგრეს, რომ ჩემთვის ელექტრული მოვალეობები გაეცნო. ძალიან მარტივი სამსახური მაქვს, ბევრს არ მიხდიან, მაგრამ თავი რეალიზებული მგონია და ამით ბედნიერი ვარ.

— თემომ იცის თქვენი და ნიკუშას ურთიერთობის შესახებ?

— არა, ამას ეჭვითაც კი ვერ ხვდება.

— თუ ნიკუშა გიყვართ, თემოსთან რატომღა ცხოვრობთ?

— იმიტომ რომ ჩემს შვილებს მამა სჭირდებათ. თემოსთან არაფერი მაკლია — დედოფალივით ვარ და ფუფუნებაში ვცხოვრობ, მაგრამ სიყვარული არ მაქვს. ალ, ნიკუშა კი სულ სხვაა — მას რომ ვხედავ, უზომო სიობო მეღვრება სულში და ვხედავი, რომ მის გარეშე ვერ გავძლებ. მართალია, ნიკუშა მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ამის გამო თემოს რატომ უნდა გავშორდე? მასთან შვილები მყავს და ბავშვებს უზრუნველი მომავალს ვერ წავართმევ. მთა ყველაფერი აქვთ — საუკეთესო კერძო სკოლაში სწავლობენ, ზაფხულობით საქართველოს კურორტებს ვერ ვაკადრებთ და საზღვარგარეთ ვასვენებთ. მძღოლს დაჰყავს სკოლაში.

— გამოდის, რომ საყვარელი გყავთ?

— საყვარელი? არა ნიკუშა ჩემი საყვარელი არ არის. ნიკუშა ჩემი სიყვარულია.

— აბა, თემო ვინღაა?

— თემო ჩემი ქმარია, რომელთანაც ოფიციალურად ვარ დაკავშირებული და მისი შვილების დედა ვარ.

— თემო რას ამბობს?

— თემო ვერაფერს ხვდება. არც მას ვაკლებ იმას, რაც ცოლს ეკალება, ამიტომ ჩემში ეჭვის შეტანის არანაირი საბაბი არ აქვს.

— ნიკუშა?

— რა ნიკუშა? ნიკუშას იმის ნახვერის ნახეკარიც არ აქვს, რასაც თემო მთავაზობს. მას სულაც არ უნდა, ზედმეტი მოვალეობები აიღოს საკუთარ თავზე და ჩემზე, როგორც ცოლზე, იზრუნოს, თან ნიკუშა ჩემზე პატარაა. მას მთელი ცხოვრება წინ აქვს. ამ ეტაპზე ასე ცხოვრება ორივეს ძალიან მოგვწონს და არც მე მინდა ოჯახის დანგრევა.

— ამას ოჯახს ეძახით?

— ოჯახია, აბა, რა? დიდი ამბავი, თუკი ცოტა გავერთობი, თან, არ დაგავიწყდეთ, თემო არ მიყვარს. ეს მისთვის პირშიც მაქვს ნათქვამი, მაგრამ მან იცის, რომ როგორც მამაკაცსა და როგორც ჩემი შვილების მამას, პატივს ვცემ. ნიკუშა კი ჩემი სიცოცხლის ნათელი წერტილია, რომელმაც ჩემი აზროვნება და მსოფლმხედველობა მთლიანად თავდაყირა დაადგა. ძალიან გვიან მივხვდი, რომ დედას ყველაფერში არ უნდა დავთანხმებოდი და ჩემს პირად ცხოვრებაზე თვითონ უნდა მეზრუნა. სხვა თუ არაფერი, პირადი ბედნიერებისა და ჭეშმარიტი სიყვარულისთვის მაინც უნდა მებრძოლა.

— ახლა გვიანია?

— ასე მეგონა მანამდე, სანამ სახლში ვიყავი გამოკეტილი და თემოს მოსვლას ველოდი. ახლა მიმაჩნია, რომ გვიანი არაფერია და თურმე ცხოვრებაში ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

— დედა ბედნიერია?

— რა თქმა უნდა, დედა ძალიან ბედნიერია, იმიტომ რომ, მისი აზრით, თავის უსაყვარლეს შვილს საუკეთესო ცხოვრება მისცა და თემოს სახით ჩემთვის იდეალური ქმარი იპოვა. აბა, ახლა მე მკითხოს! ძნელია უსიყვარულოდ ქმართან ცხოვრება, მაგრამ, რაც ნიკუშა გავიცანი, ამაზე დიდად არ ვნაღვლობ.

— და თქვენ მოგწონთ ასე ცხოვრება?

— რატომაც არა. ყველაფერი ძალიან კარგად არის და მჯერა, კიდევ დიდხანს ძალიან კარგად ვიქნები. ახლა ვგრძნობ, რომ ბოლომდე რეალიზებული ქალი ვარ და ცხოვრება მართლაც მშვენიერია.

თეკლა ჩხაიძე

„მუზეუმი კედლების გარეშე“ თბილისშია

ეკატერინა ფეფილი

სამხატვრო აკადემიაში ბრიტანეთის საბჭოს წაყვანი ბრიტანელი მხატვრების გრავიურები წარმოადგინა. „ქვა, ქაღალდი, მაკრატელი“ — ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელიც სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა.

— გსურთ ჰენრი მურის, დეიმიენ ჰერსტისა და ანიშ კაპურის ნამუშევრების ხილვა? ბრიტანეთის საბჭო სამხატვრო აკადემიასთან თანამშრომლობით ასეთ უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს ყველას, ვისაც თანამედროვე ბრიტანული ხელოვნება აინტერესებს, — განაცხადეს ბრიტანეთის საბჭოში.

თიბისი ბანკის ხელშეწყობით განახლებულ სამხატვრო აკადემიის ვრცელ საგამოფენო დარბაზში ბრიტანეთის საბჭოს გრავიურები ცოცხალ აკადემიის ერთ-ერთ ოთახში ეკიდა. ამ ადგილას ეს ოფორტი, სერინ-ჰრინტი, ლინოგრავიურა თუ ლითოგრაფია, კვლავ რჩება მოქანდაკეთა იდეების განვითარებისა და მათი პორტფოლიოების გამდიდრების პოპულარულ საშუალებად. გამოფენის მიზანია აჩვენოს, როგორ იკვლევენ მოქანდაკეები ორ და სამგანზომილებიან სივრცეებს შორის ურთიერთმიმართებას — ერთი მხრივ და გრავირების მეთოდით შემოთავაზებულ შესაძლებლობებს — მეორე მხრივ. ნამუშევრებში მკაფიოა, რომ გრავიურები გამოიყენებოდა არა მხოლოდ მომავალი სკულპტურული ქმნილებების დახვეწის გზების შესასწავლად, არამედ ისინი ორიგინალებსაც ასახავენ.

ნამუშევრებს შორის, რომელთაგან რამდენიმე ახალშეძენილია და პირველადაა წარმოდგენილი, რამდენიმე შესანიშნავი გრაფიკული ქმნილება ჰენრი მურს ეკუთვნის, რომლებიც მოქანდაკემ 1984 წელს ბრიტანეთის საბჭოს 50 წლისთავთან დაკავშირებით გვისახსოვრა. ქართველ დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, თანამედროვე ბრიტანული ვიზუალური ხელოვნების ისეთი პიონერების გვერდით, როგორებიც იყვნენ ჰენრი მური, ედუარდო პაოლოცი და უილიამ თერნბული, იხილოს თანამედროვე წაყვანი მხატვრების ქმნილებები. მათ შორის არიან დეიმიენ ჰერსტი, ტრეისი ემინი, ანიშ კაპური, ანია გალაციო და მაიკ ნელსონი. ზოგიერთი მათგანი მთელ მსოფლიოშია ცნობილი, ზოგი ჯერ კიდევ ელის საერთაშორისო აღიარებას, თუმცა უკვე ყველამ თქვა თავისი სიტყვა ბრიტანული ხელოვნების ისტორიაში.

— დიდი სიამოვნებითა და მღელვარებით წარმოგიდგენთ გრავიურებს ბრიტანეთის საბჭოს კოლექციიდან, ვინაიდან მჯერა, რომ ხელოვნების ნიმუშების ნახვა, მათ შესახებ საუბარი და ხელოვნებასთან შეხება საშუალებას გვაძლევს შეეცნოთ გარესამყარო, გავუგოთ სხვებს და იქნებ რაღაც ვისწავლოთ კიდეც განსხვავებული კულტურული რეალობის შესახებ, — აღნიშნავს ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი, პოლ დაბლდეი.

ბრიტანეთის საბჭო უკვე 60 წელზე მეტია აგროვებს ბრიტანული ხელოვნების, ხალხური შემოქმედებისა და დიზაინის ნიმუშებს. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, კოლექცია იქცა XX და XXI საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ კოლექციად 8000-ზე მეტი ექსპონატით, რომელიც მოიცავს ბრიტანული ხელოვნებისა და დიზაინის ყველა სფეროსა და ასპექტს. ამ კოლექციას არ აქვს მუდმივი შენობა და ამიტომ იგი ხშირად მოიხსენება, როგორც „მუზეუმი კედლების გარეშე“. კოლექციის მიზანი ბრიტანელი მხატვრების, ხალხური შემოქმედების ოსტატებისა და დიზაინერების მიღწევებისა და შემოქმედებითი იდეების პოპულარიზაციაა.

სამხატვრო გალერეაში ბრიტანეთის საბჭოს კოლექციის გამოფენა 12 თებერვალამდე გასტანს.

სამგლოვიარო განცხადებები

ჯემალ და ლონდა გაბისონიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სულიკო გრიგოლის ასული გაბისონია

პანაშვიდი: 5, 6 თებერვალს;
დაკრძალვა: 7 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე;
მისამართი: გრიბოედოვის 20, V სადარბაზო, III სართული, ბინა 62.

მეუღლე მანანა ბასარია, შვილები ეკა და მაკა, და მანანა ოჯახით, სიძე გია ჭუმბურიძე იუწყებიან

ვაჟა ნიკოლოზის ძე სართანიას

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 6, 7, 8 თებერვალს, ცოტნე დადიანის №34, XIV კორპუსი, ბინა 22.
გამოსვენება: 9 თებერვალს, 15 საათზე, საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.



ჯოსვოხდი ბ

ვერტიკალურად: 1. არგენტინელი მწერალი; 2. კარსტული მღვიმე იმერეთში; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. საღამოს სადილი; 5. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 10. აშშ-ის პარლამენტის ზედა პალატა; 11. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 12. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 13. სასაცილო, სასეირო უცნაური შემთხვევა; 16. ერთ-ერთი კონტინენტი; 17. ღვინის სპირტი; 19. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნილაბი; 21. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ლიფონზე ან ხეზე რელიეფურად გამოყვანილი სურათის, ნახატის ან ნახაზის ანაბეჭდი.

თარაზულად: 6. საქართველოში ფოტოხელოვნების ფუძემდებელი; 7. მხარე გერმანიაში; 8. პოლიციის განყოფილების უფროსი აშშ-ში; 9. სვანური ციხე-კოშკი; 14. რაიმეს არასრულფასოვანი შემცველი; 15. სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა; 18. კათოლიკე მღვდელი; 20. სიმდიდრის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 22. მძლავრი სტიქიური მოვლენა ბუნებაში; 24. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 25. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 26. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული.

შაჯიანმეზიანშელი

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

ვერტიკალურად: 1. გულანი; 2. ტურინი; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. რეკეტი; 8. ანგინა; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. ყარაუნი; 15. იურისტი; 19. ბორა.

თარაზულად: 1. გოლფსტრიმი; 4. სამხარი; 7. ლინდერი; 9. ვაჩნაძე; 10. ათენა; 12. ერისთავი; 16. კატმანდუ; 17. რეკორდი; 18. დარბაზობა; 20. ტოსკანა; 21. მერი; 22. ჩასპანდი.

კროსვორდი ბ

ვერტიკალურად: 1. ბარხანი; 2. დეპარდიე; 3. მზეჭაბუკი; 4. ბოდრუმი; 5. ნაპოლიტანო; 10. სენაკი; 11. კარტინგი; 12. გავიალი; 13. მოცარტი; 16. ბუკმეკერი; 17. ქობულეთი; 19. არლეკინო; 21. საუნა; 23. ჯეელი.

თარაზულად: 6. მარსელიოზა; 7. გონდოლა; 8. საფარი; 9. პაპირუსი; 14. პოლიტიკა; 15. შავკაპიტო; 18. გაგრა; 20. მოლუსკი; 22. მიჯნური; 24. კარატე; 25. ფელეტონი; 26. გელათი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლის 6 თებერვლის დარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაუფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,7325

ევრო —2,4335

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

ქართული ფლორის საოცრება „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუსისლის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

6 თებერვალი — ეს დღე მშვიდად ჩაივლის.

ვერძი — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ჯარი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — ახალი სამსახური მოგვწონებათ, სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ქალწული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **სასწორი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **ღრმანქანი** — საღამო მშვენიერი იქნება. **მშვილდოსანი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, უფრო თბილად მოეპყარით მას. **მერწყული** — დიდ ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თევზები** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება.

7 თებერვალი — ისნავლეთ პაციენტი.

ვერძი — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **ჯარი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — საკუთარ თავს მეტი დრო დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ქალწული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრმანქანი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — გელით რომანტიკული შეხვედრა და საჩუქარი. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** — ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი 2

შვეულად: 1. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 2. ფეხბურთელთა გუნდი საქართველოში; 3. მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, კინორეჟისორი; 5. ცხენების შეჯიბრი; 6. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ისრაელის პარლამენტი; 14. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის" პერსონაჟი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. სამშობლოდან გაძევება; 9. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 10. რაიონული ცენტრი ქართლში; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 16. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. სამეფო რეზიდენცია საფრანგეთში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 22. ირანის საინფორმაციო სააგენტო.

შეადგინა მ. ალიევმა



არიენ რობენი: „ბაიერნში ოჯახური ატმოსფეროა"

მიუნხენის „ბაიერნის" ჰოლანდიელი ფეხბურთელი ამიერ ჩობენი გერმანელ ჰოლანდიელ ინტერვიუში თავის სამშობლოზე, ბავარიელ ყლუბში ახლანდელ ატმოსფეროზე და ასევე ინგლისური, ესპანური და გერმანული ფეხბურთის ელიტურ საუბრობს.

— თავდაპირველად მოდაზე უნდა გკითხოთ. ამის მიზეზი კი თქვენ ხართ. ბოლო მატჩები გრძელი, ნაცრისფერი რეიტუზით ითამაშეთ, რამაც დიდი დისკუსია გამოიწვია. ამის გარდა, მწვანე ბუცებითაც თამაშობთ.

— რეიტუზები კლუბში მომცეს, რადგან მომწონს, როდესაც კუნთები თბილად მაქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენისთვის და ამის წყალობით გაცილებით უკეთ ვთამაშობ. მართალია, კარგი სანახავი არ არის, მაგრამ შედეგი მოაქვს.

— თუ შეგიძლიათ გვითხრათ, ამ საკითხზე რას ფიქრობს თქვენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე თვლის, რომ ასეთ მდგომარეობაში არცთუ ლამაზად, ცოტა უცნაურად და სასაცილოდ გამოვიყურები.

— კოლეგები?

— რა თქმა უნდა, ისინიც ხუმრობენ და იცინიან ჩემზე, მაგრამ ამის გამო არანაირი პრობლემა არ

გაგრძელება მე-12 გვერდზე

სიგარეტის აფეთქებამ მწეველს ექვსი კბილი დააკარგვინა

ინდონეზიაში სიგარეტების მწარმოებელმა კომპენსაცია გადაუხადა მამაკაცს, რომელმაც სიგარეტის აფეთქების შედეგად ექვსი კბილი დაკარგა.

აფეთქების მომენტში 31 წლის ანდი სუსანტო მოტოციკლით მგზავრობდა და სიგარეტი კბილებით ეჭირა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რა გახდა აფეთქების მიზეზი, მიუხედავად ამისა, დაზარალებულმა სიგარეტის წევისათვის თავის დანებება გადაწყვიტა.

კომპანია „ფითი ნოჯორნონ თობაქომ" მას ხუთი მილიონი რუპია (535 დოლარი) კომპენსაცია გადაუხადა და მკურნალობის ხარჯებიც აუნაზღაურა.

გაზეთ ჯაკარტა პოსტის ინტერვიუში ანდი სუსანტომ განაცხადა, რომ სიგარეტის წევა მან სკოლაში დაიწყო და დანებებაზე არასდროს უფიქრია.

— აფეთქება ჩემთვის სრულ მოულოდნელობად იქცა, — განაცხადა მან. მისი თქმით, სიგარეტების მწარმოებელმა მას საქმის სასამართლოს გარეშე მოგვარება და კომპენსაციის გადახდა შესთავაზა.

კომპანიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს კომპანია სიგარეტების ბაზრიდან განვევას არ აპირებს.

კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ისინი ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს ელოდებიან.

ინდონეზია მწეველების რიცხვის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია. იქ მოსახლეობის 60%-ზე მეტი სიგარეტს ეწევა.

ჯგ

იუმორი

— ათი წლის განმავლობაში მე და ჩემი ქმარი მხოლოდ ერთხელ გამოვედით სახლიდან ერთად.

— რა, თეატრში იყავით?

— არა, ჩვენს ბინაში ხანძარი გაჩნდა...

— ბედნიერი ხარ მაშინ, როდესაც დილით სამსახურში მიგეჩქარება, საღამოს კი შინ...

— ამბობენ, ქალებს ყურებით უყვართო, ერთი მითხარით, როგორ შეიძლება, რომ ადამიანს ყურებით ფული უყვარდეს.

— ქალებს ფულის შარიშური უყვართ...

— ღმერთო, მადლობელი ვარ, რომ ქალის შექმნის დროს მამაკაცს ნეკნი ამოცალე და არა ტვინი...

ტიპმა ოქროს თევზი დაიჭირა. თევზი, რა თქმა უნდა, სამი სურვილის ჩაფიქრებას სთავაზობს.

— ჯერ ერთი, მინდა სახლი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, სიმპათიური დიასახლისი მაღალი მკერდით და სამი მილიონი დოლარი ანგარიშზე, მეორე...

— ალო, ექიმო, შეგიძლიათ ტელეფონით დიაგნოზი რომ დამისვათ?

— შემიძლია, გაიხადეთ...

ხახთ თუ ახა იდეალური ნყვილი?

1. იცნობ და წელიწადზე მეტია ხვდები.
2. იგი ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარია.
3. დედამისი შესანიშნავი მზარეულია.
4. ვერ იტანთ, როდესაც ტანისამოსი ოთახშია დაფანტული.
5. თქვენგან ერთ-ერთი ტოროლაა, მეორე ბუ.
6. ორივეს გიყვართ კინოში სიარული.
7. ახალშობილები გაშინებენ, არ იცით, რა მოუხერხოთ მათ.
8. მიგაჩნიათ, რომ კომპიუტერი შინ საჭირო არ არის, ოფისშიც საკმარისია.
9. აღმერთებ ლუდს.
10. მას შინ ძაღლი ჰყავს.
11. უყვარს ძმიმე როკი და ალტერნატიული მუსიკა.
12. თქვენ ორივენი დედისერთა ხართ.

პასუხები

უარყოფითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:

0-3 ქულა: ზოგჯერ თქვენი მეგობარი ვაჟის საქციელი ისე გაღიზიანებთ, რომ მზად ხართ თავი გაუტეხოთ. ხშირად კამათობთ, ისწავლეთ კომპრომისის გზა.

4-8 ქულა: მეგობრებს იდეალური წყვილი ჰგონიხართ, თუმცა თქვენ იცით, რომ ასე არ არის. უბრალოდ, ახერხებთ, პრობლემების გადაწყვეტას და სკანდალების გარეშე ახერხებთ მასთან მორიგებას.

9-12 ქულა: ასეთი რამ იშვიათად ხდება, თქვენი ურთიერთგაგება, ერთმანეთზე ზრუნვა მხოლოდ პატივისცემას იწვევს. ალბათ უკვე ერთად ცხოვრობთ, ტესტი კი ისე, ცნობისმოყვარეობის გამო შეავსეთ.